საქართველოს მთავრობასა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება

პრეამბულა

საქართველოს (შემდგომში წოდებული, როგორც „საქართველო“) და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის (შემდგომში წოდებული, როგორც „ჩინეთი“) მთავრობები, შემდგომში ერთობლივად წოდებულნი, როგორც „მხარეები“:

შთაგონებულნი არიან რა იმ ხანგრძლივი მეგობრული და მზარდი ორმხრივი ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობებით, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა 1992 წელს დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების შედეგად;

ეხმიანებიან რა, 1993 წლის 3 ივნისის *საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას შორის გაფორმებულ სავაჭრო და ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებას,* რომელიც მიზნად ისახავს მხარეებს შორის ღრმა და სტაბილური ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობების გაძლიერებას;

ამყარებენ რა ურთიერთობებს თავიანთი უფლებებისა და ვალდებულებების საფუძველზე მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის დაფუძნების შესახებ მარაკეშის შეთანხმების შესაბამისად;

იცავენ რა თავიანთი მთავრობების უფლებებს რეგულირების შესახებ ეროვნული პოლიტიკის ამოცანების მიღწევისა და მათი მოქნილობის შენარჩუნების მიზნით, რათა უზრუნველყოფილ იქნეს საზოგადოებრივი კეთილდღეობა;

სურთ რა გააძლიერონ პარტნიორობა ეკონომიკურ სფეროში და განახორციელონ ორმხრივი ვაჭრობის შემდგომი ლიბერალიზაცია და ხელი შეუწყონ ინვესტიციებს ეკონომიკური და სოციალური სარგებლის მიღების, დასაქმების ახალი შესაძლებლობების შექმნის, თავიანთი ხალხისთვის ცხოვრების სტანდარტების გაუმჯობესებისა და ჯანმრთელობის, უსაფრთხოების და გარემოს დაცვის მიზნით;

კიდევ ერთხელ ადასტურებენ რა თავიანთ სწრაფვას მდგრადი განვითარების მიმართულებით;

გადაწყვიტეს რა, რომ შეიქმნას გაფართოებული ბაზარი საქონლისა და მომსახურებისთვის, რომელიც აწესებს ვაჭრობის მარეგულირებელ წესებს, რომელიც უზრუნველყოფს პროგნოზირებად, გამჭვირვალე და თანმიმდევრულ სავაჭრო ჩარჩოს ბიზნესსაქმიანობისთვის;

სურთ რა შექმნან ვაჭრობის განვითარებისა და დივერსიფიცირებისთვის ხელსაყრელი პირობები საერთო ინტერესის სფეროებში კომერციული და ეკონომიკური თანამშრომლობის ხელშეწყობის მიზნით;

აღიარებენ რა, რომ თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების გზით ეკონომიკური პარტნიორობის განმტკიცება, რომლითაც იხსნება ბარიერები საქონლითა და მომსახურებით ვაჭრობისას, ორმხრივ სარგებელს მოუტანს მხარეებს; და

სწამთ რა, რომ წინამდებარე შეთანხმება გააღრმავებს გლობალურ ბაზარზე თავიანთი ფირმების კონკურენტუნარიანობას და შექმნის ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობების ხელშეწყობის პირობებს;

შეთანხმდნენ შემდეგზე:

თავი 1

საწყისი დებულებები და ტერმინთა განმარტებები

მუხლი 1.1. თავისუფალი სავაჭრო სივრცის შექმნა

მხარეები, GATT 1994-ის XXIV მუხლისა და GATS-ის V მუხლის შესაბამისად ქმნიან თავისუფალ სავაჭრო სივრცეს.

მუხლი 1.2. სხვა შეთანხმებებთან ურთიერთქმედება

მხარეები ადასტურებენ თავიანთ უფლებებსა და ვალდებულებებს, რომლებიც გამომდინარეობს WTO-ს შეთანხმებიდან და სხვა WTO-ს ფარგლებში მოლაპარაკებული შეთანხმებებიდან, რომელთა მხარესაც ორივე მხარე წარმოადგენს და ყველა სხვა საერთაშორისო შეთანხმებიდან, რომელთა მხარესაც ორივე მხარე წარმოადგენს.

მუხლი 1.3. მოქმედების სფერო[1]

1. საქართველოსთან მიმართებით, წინამდებარე შეთანხმება ვრცელდება საქართველოს მთელს ტერიტორიაზე, როგორც ეს დადგენილია საქართველოს შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით, მათ შორის სახმელეთო ტერიტორიაზე, მის წიაღსა და საჰაერო სივრცეზე მის ზემოთ, შიდა წყლებსა და ტერიტორიულ წყლებზე, ზღვის ფსკერზე, მის წიაღსა და საჰაერო სივრცეზე მათ ზემოთ, რომელთა მიმართ საქართველო ახორციელებს სუვერენიტეტს, აგრეთვე ტერიტორიულ წყლებთან მომიჯნავე მიმდებარე ზონაზე, განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაზე და კონტინენტურ შელფებზე, რომელთა მიმართ საქართველო ახორციელებს სუვერენულ უფლებებს და/ან იურისდიქციას საერთაშორისო სამართლის შესაბამისად.

2. ჩინეთთან მიმართებით, წინამდებარე შეთანხმება ვრცელდება ჩინეთის მთელ საბაჟო ტერიტორიაზე, მათ შორის სახმელეთო ტერიტორიაზე, ტერიტორიის ზემოთ არსებულ საჰაერო სივრცეზე, შიდა წყლებზე და ტერიტორიულ წყლებზე, ისევე როგორც მათ ფსკერზე და წიაღისეულზე, და ნებისმიერ ტერიტორიაზე ტერიტორიული ზღვის ფარგლებს გარეთ, რომელთა მიმართ ჩინეთი შესაძლოა ახორციელებდეს სუვერენულ უფლებებს და/ან იურისდიქციას საერთაშორისო სამართლისა და მისი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის შესაბამისად;

3. თითოეული მხარე ვალდებულია სრულად დაიცვას წინამდებარე შეთანხმების დებულებები და მიიღოს მის ხელთ არსებული ყველა გონივრული ზომა ადგილობრივი მთავრობისა და საკუთარ ტერიტორიაზე მოქმედ ხელისუფლების ორგანოთა მიერ აღნიშნული დებულებების შესრულების მიზნით.

მუხლი 1.4. ზოგადი განმარტებები

თუ სხვაგვარად არ იქნა დადგენილი, წინამდებარე შეთანხმების მიზნებისთვის:

(a) **დღეები** ნიშნავს კალენდარულ დღეებს;

(b) **არსებული** ნიშნავს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლის თარიღისთვის მოქმედს;

(c) **GATS** ნიშნავს გენერალურ შეთანხმებას მომსახურებით ვაჭრობის შესახებ, რომელიც მოცემულია ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (WTO) შეთანხმების 1B დანართში;

(d) **GATT 1994** ნიშნავს 1994 წლის გენერალურ შეთანხმებას ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ, რომელიც მოცემულია ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის შეთანხმების 1B დანართში;

(e) **ზომები** ნიშნავს ნებისმიერ შიდასახელმწიფოებრივ კანონს, რეგულაციას, პროცედურას, მოთხოვნასა თუ პრაქტიკას;

(f) **WTO** ნიშნავს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციას; და

(g) **WTO შეთანხმება** ნიშნავს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის დაფუძნების შესახებ მარაკეშის შეთანხმებას, რომელიც შესრულდა 1994 წლის 15 აპრილს ქ. მარაკეშში.

თავი 2

საქონლით ვაჭრობა

მუხლი 2.1. მოქმედების სფერო

წინამდებარე თავი გამოიყენება მხარეთა შორის საქონლით ვაჭრობასთან დაკავშირებით.

მუხლი 2.2. განმარტებები

წინამდებარე თავის მიზნებისთვის:

(a) იმპორტის ლიცენზირების პროცედურების შესახებ შეთანხმება ნიშნავს *შეთანხმებას იმპორტის ლიცენზირების პროცედურების შესახებ*, რომელიც მოცემულია ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (WTO) დამფუძნებელი მარაკეშის შეთანხმების 1A დანართში;

(b) „საბაჟო გადასახადი" მოიცავს ნებისმიერი სახის საბაჟო ან იმპორტის გადასახადს და ნებისმიერი ტიპის მოსაკრებელს, ნებისმიერი სახის დამატებითი გადასახადის ან მოსაკრებლის ჩათვლით, რომელიც დაწესებულია საქონლის იმპორტთან დაკავშირებით, თუმცა არ მოიცავს არცერთი სახის:

(i) მოსაკრებელს, რომელიც GATT 1994-ის III მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად დაწესებული შიდა გადასახადის ეკვივალენტურია და ეხება ერთ-ერთი მხარის მსგავს ან პირდაპირ კონკურენტულ ან ჩანაცვლებად საქონელს, ან ისეთი ტიპის საქონელს, რომლიდანაც განხორციელდა იმპორტირებული საქონლის წარმოება მთლიანად ან ნაწილობრივ;

(ii) ანტიდემპინგურ ან საკომპენსაციო გადასახადებს, რომელიც დაწესებულია ერთ-ერთი მხარის შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის შესაბამისად და გამოიყენება GATT 1994-ის VI მუხლის დებულებების, GATT 1994-ის VI მუხლის განხორციელების შესახებ შეთანხმების და GATT 1994-ის სუბსიდიებისა და საკომპენსაციო ზომების შესახებ შეთანხმების შესაბამისად; ან

(iii) გადასახდელებს ან სხვა მოსაკრებლებს, რომლებიც შეესაბამება გაწეული მომსახურების ხარჯებს.

მუხლი 2.3. ეროვნული რეჟიმი შიდა დაბეგვრასა და რეგულაციებზე

თითოეული მხარე აწესებს ეროვნულ რეჟიმს მეორე მხარის საქონელთან მიმართებით GATT 1994-ის III მუხლის შესაბამისად. ამ მიზნით, GATT 1994-ის III მუხლი ასახულია წინამდებარე შეთანხმებაში და წარმოადგენს მის ნაწილს, შესაბამისი ცვლილებების გათვალისწინებით mutatis mutandis.

მუხლი 2.4. საბაჟო გადასახადების გაუქმება

1. გარდა წინამდებარე შეთანხმებით დადგენილი შემთხვევებისა, ამ შეთანხმების ძალაში შესვლის თარიღიდან, მხარეებმა უნდა გააუქმონ ყველა საბაჟო გადასახადი მეორე მხარის ტერიტორიაზე წარმოშობილ პროდუქციაზე (როგორც განსაზღვრულია 3.2 მუხლში) დანართი I (2.4 (საბაჟო გადასახადების გაუქმება) მუხლთან დაკავშირებული განრიგი) განრიგის მიხედვით.

2. არცერთმა მხარემ არ უნდა გაზარდოს არსებული საბაჟო გადასახადი ან შემოიღოს ახალი საბაჟო გადასახადი მეორე მხარეში წარმოშობილი საქონლის იმპორტზე, გარდა წინამდებარე შეთანხმებით განსაზღვრული შემთხვევებისა.

მუხლი 2.5. საქონლის კლასიფიკაცია

მხარეებს შორის საქონლით ვაჭრობის კლასიფიკაცია უნდა ეფუძნებოდეს თითოეული ხელშემკვრელი მხარის სატარიფო ნომენკლატურას 2012 წლის ჰარმონიზებული სისტემის და მასში შეტანილი

შემდგომი ცვლილებების შესაბამისად.

მუხლი 2.6. არასატარიფო ზომები

გარდა წინამდებარე შეთანხმებით დადგენილი შემთხვევებისა, არცერთმა მხარემ არ უნდა დააწესოს ან შეინარჩუნოს რაიმე ტიპის აკრძალვა ან შეზღუდვა ან მსგავსი ძალის მქონე ზომა, მათ შორის, რაოდენობრივი შეზღუდვები, რომელიც უკავშირდება მეორე მხარის ტერიტორიაზე წარმოშობილი საქონლის იმპორტს, ან მეორე მხარის ტერიტორიაზე შესასვლელად განკუთვნილი საქონლის ექსპორტს ან საექსპორტოდ გასაყიდ საქონელს გარდა GATT 1994-ის XI მუხლის შესაბამისად. ამ მიზნით, GATT 1994-ის მუხლი ასახულია წინამდებარე შეთანხმებაში და წარმოადგენს მის ნაწილს, *mutatis mutandis.*

მუხლი 2.7. იმპორტის ლიცენზირება

თითოეული მხარე უზრუნველყოფს, რომ მეორე მხარის ტერიტორიაზე წარმოშობილი საქონლის მიმართ გამოყენებული იმპორტის ლიცენზირების რეჟიმი გამოიყენება ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის შეთანხმების შესაბამისად, კერძოდ კი, იმპორტის ლიცენზირების პროცედურების შესახებ შეთანხმების დებულებათა შესაბამისად.

მუხლი 2.8. ადმინისტრაციული გადასახდელები და ფორმალობები

GATT 1994-ის VIII:1 მუხლის დებულებების შესაბამისად, თითოეული მხარე უზრუნველყოფს, რომ ყველა გადასახადი და მოსაკრებელი, განურჩევლად მისი ტიპისა (GATT 1994-ის VIII:2 მუხლის თანახმად გამოყენებული საბაჟო გადასახადების, შიდა გადასახადების ან სხვა შიდა მოსაკრებლების ეკვივალენტი მოსაკრებლების, ასევე, GATT 1994-ის VI და VII მუხლების, GATT 1994-ის VI მუხლის იმპლემენტაციის შესახებ შეთანხმებისა და სუბსიდიებისა და საკომპენსაციო ზომების შესახებ შეთანხმების თანახმად გამოყენებული ანტიდემპინგური და საკომპენსაციო გადასახადების გარდა), რომელიც დაწესებულია საქონლის იმპორტსა თუ ექსპორტზე ან მათთან დაკავშირებით, უნდა შეადგენდეს გაწეული მომსახურების სავარაუდო ღირებულებას და არაპირდაპირ არ უნდა იცავდეს შიდა პროდუქტს ან ფისკალური მიზნებისთვის იმპორტისა თუ ექსპორტის დაბეგვრას.

მუხლი 2.9. სავაჭრო რეგულაციების ადმინისტრირება

1. GATT 1994-ის X მუხლის შესაბამისად, თოთოეული მხარე ვალდებულია თანმიმდევრული, მიუკერძოებელი და გონივრული ფორმით განახორციელოს ყველა იმ კანონის, რეგულაციის, სასამართლო გადაწყვეტილებისა და ადმინისტრაციული გადაწყვეტილების ადმინისტრირება, რომელიც უკავშირდება საბაჟო მიზნებისთვის პროდუქციის კლასიფიკაციასა თუ შეფასებას, ან გადასახადების, გადასახდელების ან მოსაკრებლების, ან მოთხოვნების, შეზღუდვების ან აკრძალვების განაკვეთებს, რომლებიც დაწესებულია იმპორტსა თუ ექსპორტზე ან შესაბამისად, გადასახადების გადარიცხვაზე, ან რომელიც გავლენას ახდენს პროდუქციის გაყიდვაზე, დისტრიბუციაზე, ტრანსპორტირებაზე, დაზღვევაზე, დასაწყობებაზე, შემოწმებაზე, გამოფენაზე, დამუშავებაზე, შერევასა და სხვა სახით მათ გამოყენებაზე.

2. GATT 1994-ის VIII მუხლის შესაბამისად, არცერთ მხარეს არ აქვს უფლება, დააწესოს მკაცრი ჯარიმები საბაჟო რეგულაციების ან პროცედურული მოთხოვნების უმნიშვნელო დარღვევებისთვის. კერძოდ, არცერთი ჯარიმა საბაჟო დოკუმენტაციაში დაშვებული ისეთი ტიპის შეცდომისთვის, რომელიც მარტივად გამოსწორებადია და აშკარად არ არის დაშვებული თაღლითური მიზნით ან უხეში გაუფრთხილებლობით, არ უნდა იყოს იმაზე მეტი, ვიდრე ეს საჭიროა უბრალო გაფრთხილებისთვის.

მუხლი 2.10. დავების მოგვარება

მე-13 თავით (დავების მოგვარება) განსაზღვრული დავების მოგვარების დებულებები გამოიყენება წინამდებარე თავში მოცემულ ყველა საკითხთან მიმართებით.

თავი 3

წარმოშობის წესები

ნაწილი1. წარმოშობის წესები

მუხლი 3.1. ტერმინთა განმარტებები

წინამდებარე თავის მიზნებისათვის:

„საბაჟო ღირებულება“ ნიშნავს ღირებულებას, როგორც ეს განსაზღვრულია 1994 წლის ტარიფებსა და ვაჭრობის შესახებ გენერალური შეთანხმების VII მუხლის განხორციელების შესახებ შეთანხმებაში (შეთანხმება საბაჟო ღირებულების განსაზღვრის შესახებ);

„ფრანკო-ქარხნის ფასი“ ნიშნავს ქარხნის ფასს, გადახდილს პროდუქციაში მწარმოებლისთვის, რომელიც მდებარეობს მხარის ტერიტორიაზე, სადაც სრულდება პროდუქციის საბოლოო დამუშავება ან გადამუშავება, იმ პირობით, რომ ფასი მოიცავს ყველა გამოყენებული მასალის ფასს, ხელფასებსა და ნებისმიერ სხვა ხარჯსა და სარგებელს, გარდა შიდა გადასახადებისა, რომლებიც ანაზღაურებული იქნება ან შეიძლება ანაზღაურებულ იქნეს მიღებული პროდუქციის ექსპორტის შემდეგ;

„ურთიერთშემცვლელი მასალები“ ნიშნავს მასალებს, რომლებიც ურთიერთშემცვლელია კომერციული მიზნებისათვის, რომელთა მახასიათებლები არსებითად იდენტურია და რომელთა განსხვავება უბრალო ვიზუალური დათვალიერებით შეუძლებელია;

„საყოველთაოდ აღიარებული საბუღალტრო პრინციპები“ ნიშნავს მხარის აღიარებულ საბუღალტრო სტანდარტებს შემოსავლების, გასავალის, ხარჯების, აქტივებისა და პასივების აღრიცხვასთან, ინფორმაციის გამჟღავნებასთან და ფინანსური ანგარიშების მომზადებასთან მიმართებით. აღნიშნული სტანდარტები შეიძლება შეიცავდეს როგორც ზოგად სახელმძღვანელოლოებს, ასევე დეტალურ ნორმებს, პრაქტიკასა და წესებს;

„საქონელი“ გულისხმობს პროდუქტს ან მასალას;

„პროდუქტი“ გულისხმობს წარმოებულ პროდუქტს იმ შემთხვევაშიც კი, თუ მისი გამოყენება მოგვიანებით განზრახულია სხვა საწარმოო ოპერაციაში;

„მასალა“ გულისხმობს ნებისმიერ ინგრედიენტს, ნაწილს, კომპონენტს, კონსტრუქციების ნაწილებს და/ან საქონელს, რომელიც ფიზიკურად შერეულ იქნა სხვა პროდუქტთან ან გადამუშავებულ იქნა სხვა პროდუქტის წარმოებისას;

„წარმოება“ გულისხმობს საქონლის მოპოვების ნებისმიერ მეთოდს, მათ შორის და არა მხოლოდ, მოყვანა, გაზრდა, მოპოვება, მოსავლის აღება, თევზაობა, აკვაკულტურა, სოფლის მეურნეობა, ხაფანგით დაჭერა, ნადირობა, დაჭერა, შეგროვება, შეკრება, მოშენება, მოპოვება, წარმოება, საქონლის დამუშავება ან აწყობა;

„წარმოშობის მქონე მასალები“ გულისხმობს მასალებს, რომელიც კვალიფიცირებულია, როგორც წინამდებარე თავის დებულებების შესაბამისად წარმოშობილი;

„ჰარმონიზებული სისტემა“ გულისხმობს „საქონლის აღწერისა და კოდირების ჰარმონიზებული სისტემის შესახებ“ 1983 წლის საერთაშორისო კონვენციასა და მის შემდგომ ცვლილებებს.

მუხლი 3.2. წარმოშობის მქონე საქონელი

თუ წინამდებარე თავით სხვაგარად არაა განსაზღვრული, შემდეგი საქონელი შეიძლება ჩაითვალოს, როგორც წარმოშობილი მხარის ტერიტორიაზე:

(a) საქონელი, რომელის მთლიანად მიღებულია ან წარმოებულია მხარის ტერიტორიაზე, როგორც ეს განმარტებულია მე-3 მუხლში (მთლიანად მიღებული ან წარმოებული საქონელი);

(b) მხარის ტერიტორიაზე ექსკლუზიურად წარმოშობის მქონე მასალებიდან წარმოებული საქონელი; ან

(c) მხარის ტერიტორიაზე წარმოშობის სტატუსის არმქონე მასალებიდან წარმოებული საქონელი, იმ პირობით, რომ საქონელი შესაბამისობაშია რეგიონალური მნიშვნელობის კრიტერიუმებთან არანაკლებ 40%-ით, იმ საქონლის გარდა, რომელიც მოცემულია დანართში II (PSR), რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს აღნიშნულით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

მუხლი 3.3. ქვეყანაში მთლიანად მიღებული ან წარმოებული საქონელი

მე-2 მუხლის (წარმოშობის მქონე საქონელი) (a) ქვეპუნქტის მიზნებისათვის, შემდეგი საქონელი შეიძლება ჩაითვალოს, როგორც მთლიანად მიღებული მხარის ტერიტორიაზე:

(a) მხარის ტერიტორიაზე დაბადებული და გაზრდილი ცოცხალი ცხოველები;

(b) (a) ქვეპუნქტში მითითებული ცოცხალი ცხოველებიდან მიღებული საქონელი;

(c) მხარის ტერიტორიაზე გაზრდილი, მომკილი, აღებული ან შეგროვებული მცენარეული პროდუქტები;

(d) მხარის ტერიტორიაზე განხორციელებული ნადირობით, ხაფანგით დაჭერით, თევზაობით, აკვაკულტურით, შეგროვებით ან დაჭერით მიღებული საქონელი;

(e) მინერალები და სხვა ბუნებრივი ნივთიერებები, რომლებსაც არ შეიცავს ზემოხსენებული (a)-დან (d)-მდე ქვეპუნქტები და რომლებიც მოპოვებული ან მიღებულია მისი ნიადაგიდან, წყლებიდან, ზღვის ფსკერიდან ან ზღვის ფსკერის ქვეშ ქვენიადაგიდან;

(f) მხარის ტერიტორიული წყლების გარეთ წყლებიდან, ზღვის ფსკერიდან ან ზღვის ფსკერის ქვეშ ქვენიადაგიდან მოპოვებული საქონელი, იმ შემთხვევაში, თუ მხარეს აქვს ამგვარი წყლების, ზღვის ფსკერის ან ზღვის ფსკერის ქვეშ ქვენიადაგის ექსპლუატაციის უფლება, შესაბამისი საერთაშორისო შეთახმებების თანახმად, რომლის მხარესაც წარმოადგენს აღნიშნული მხარე;

(g) მხარის ტერიტორიაზე რეგისტრირებული და ამ მხარის დროშის ქვეშ მცურავი ხომალდის მიერ მხარის ტერიტორიული წლების გარედან მიღებული საზღვაო თევზჭერის საქონელი და სხვა საზღვაო პროდუქტები;

(h) მხარის ტერიტორიაზე რეგისტრირებული და ამ მხარის დროშის ქვეშ მცურავი გემის ბორტზე ქარხნის მიერ დამუშავებული ან დამზადებული საქონელი, რომელიც ექსკლუზიურადაა მიღებული (g) ქვეპუნქტში მითითებული საქონლიდან;

(i) მხარის ტერიტორიაზე გადამუშავების შედეგად მიღებული ჯართი და ნარჩენები, რომლებიც გამოიყენება მხოლოდ ნედლეულის აღსადგენად.

(j) იქ მოპოვებული გამოყენებული საქონელი, რომელიც გამოიყენება მხოლოდ ნედლეულის აღსადგენად; ან

(k) მხარის ტერიტორიაზე მთლიანად წარმოებული საქონელი, რომელიც ექსკლუზიურადაა მიღებული (a)-დან (j)-მდე ქვეპუნქტებში მითითებული საქონლიდან.

მუხლი 3.4. რეგიონალური ღირებულების მინიმალური მოთხოვნა (RVC)

1. რეგიონალური **ღირებულების მინიმალური მოთხოვნა** გამოთვლიილ უნდა იქნეს შემდეგნაირად:

ფრანკო-ქარხნის ფასი - VNM

RVC= ---------- x 100%

ფრანკო-ქარხნის ფასი

სადაც:

RVC არის **ღირებულების მინიმალური მოთხოვნა**, რომელიც გამოხატულია პროცენტებში; და

VNM არის წარმოშობის სტატუსის არმქონე მასალების ღირებულება.

2. VNM უნდა განისაზღვროს საბაჟო ღირებულების საფუძველზე წარმოშობის სტატუსის არმქონე, მათ შორის, გაურკვეველი წარმოშობის მასალების იმპორტის დროს. თუ აღნიშნული ღირებულება უცნობია და შეუძლებელია დადგენა, გამოიყენება პირველად დადგენილი ფასი, რომელიც გადახდილ იქნა ან გადასახდელია მასალისათვის მხარის ტერიტორიაზე.

3. თუ პროდუქტი, რომელმაც მოიპოვა წარმოშობის სტატუსი მხარის ტერიტორიაზე პირველი პუნქტის შესაბამისად, შემდგომ დამუშავებულ იქნა ამ მხარის ტერიტორიაზე და გამოყენებულ იქნა როგორც მასალა სხვა პროდუქტის საწარმოებლად, მხედველობაში არ უნდა იქნეს მიღებული ამ მასალის წარმოშობის სტატუსის არქონის კომპონენტი პროდუქტის წარმოშობის სტატუსის განსაზღვრისას.

მუხლი 3.5. კუმულაცია

ერთ-ერთი მხარის წარმოშობის მქონე მასალები, რომლებიც გამოიყენება მეორე მხარის ტერიტორიაზე საქონლის წარმოებისათვის, მიჩნეული უნდა იქნეს ამ უკანასკნელი მხარის ტერიტორიაზე წარმოშობილად.

მუხლი 3.6. არასაკმარისი დამუშავება ან გადამუშავება

1. მიუხედავად მე-2 (c) მუხლისა, საქონელი არ უნდა ჩაითვალოს წარმოშობის მქონედ, თუ მან მხოლოდ გაიარა ერთ ან მეტი ქვემოთ მოცემული ოპერაცია ან დამუშავება:

(a) კონსერვირების ოპერაციები პროდუქციის ვარგისიანობის შენარჩუნების უზრუნველყოფის მიზნით ტრანსპორტირებისა და შენახვის დროს;

(b) საგნების ნაწილების მარტივი აწყობა, რათა შეადგინოს მთლიანი საგანი, ან პროდუქტების დაშლა ნაწილებად;

(c) შეფუთვის, გახსნის ან ხელახალი შეფუთვის ოპერაციები გაყიდვის ან შენახვის მიზნებისათვის;

(d) ცხოველების დაკვლა;

(e) რეცხვა, წმენდა, მტვრის, ჟანგის, ზეთის, საღებავის ან სხვა სახის საფარების მოცილება;

(f) ქსოვილის დაუთოება ან დაპრესვა;

(g) ღებვისა და გაპრიალების მარტივი ოპერაციები;

(h) მარცვლეულისა და ბრინჯის გარჩევა, ნაწილობრივი ან სრული გაუფერულება, გაპრიალება და მომინანქრება;

(i) შაქრის ღებვის ან შაქრის ნატეხების დამზადების ოპერაციები;

(j) ხილის, თხილისა და ბოსტნეულის თლა, კურკის გამოცლა და ნაჭუჭის მოცილება;

(k) თლა, მარტივი ფქვა ან მარტივი ჭრა;

(l) გაცრა, გაცხრილვა, გადარჩევა, კლასიფიცირება, დაჯგუფება, მისადაგება; (ნაკეთობათა კომპლექტების შედგენის ჩათვლით); ჭრა, დასერვა, გატარება, დახვევა, ან გორგლის დაშლა;

(m) მარტივი მოთავსება ბოთლებში, თუნუქის ქილებში, კოლბებში, ჩანთებში, ჩემოდნებში, ყუთებში,

დამაგრება ბარათებზე ან დაფებზე და შეფუთვის სხვა მარტივი ოპერაციები;

(n) შტამპების, იარლიყების, ლოგოების და სხვა განმასხვავებელი ნიშნების მიმაგრება ან ბეჭდვა პროდუქციაზე ან მათ შეფუთვაზე;

(o) პროდუქციის მარტივი შერევა, მიუხედავად იმისა არის ეს სხვადასხვა ტიპის თუ არა;

(p) წყლით ან სხვა სითხით მარტივი გაზავება, რომელიც არსებითად არ ცვლის საქონლის მახასიათებლებს; ან

(q) ოპერაციები, რომელთა ერთადერთი მიზანია პორტში ტვირთის დამუშავების გაადვილება.

2. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მხარის ტერიტორიაზე მოცემული საქონლის წარმოებისას განხორციელებული ყველა ოპერაცია, მიუხედავად იმისა აღნიშნული საქონლის მიერ გავლილი ოპერაცია ან დამუშავება მიჩნეულია თუ არა პირველ პუნქტში მითითებულ არასაკმარისი დამუშავება ან გადამუშავებად.

მუხლი 3.7. დე მინიმის

საქონელი, რომელიც არ აკმაყოფილებს დანართით II-A (PSR) გათვალისწინებულ სატარიფო კლასიფიკაციაში ცვლილების მოთხოვნას, არის წარმოშობის მქონე, თუ წარმოშობის სტატუსის არ მქონე მასალის ღირებულება, რომელიც გამოყენებულ იქნა საქონლის წარმოებისათვის და არ განუცდია შესაბამისი ცვლილება სატარიფო კლასიფიკაციაში, არ აღემატება მოცემული საქონლის ფრანკო ქარხნის ფასის ღირებულების 10%-ს. ხსენებული წარმოშობის სტატუსის არმქონე მასალის ღირებულება განსაზღვრულ უნდა იქნეს 3.4. მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად (რეგიონალური მნიშვნელობის კრიტერიუმები).

მუხლი 3.8. ურთიერთშემცვლელი მასალები

როდესაც წარმოშობის მქონე და წარმოშობის სტატუსის არმქონე ურთიერთშემცვლელი მასალები გამოიყენება საქონლის წარმოებისათვის, შემდეგი ზომები უნდა იქნეს მიღებული, რათა განისაზღვროს გამოყენებული მასალა წარმოშობის სტატუსის მქონეა თუ არა:

(a) მასალების ფიზიკური განცალკევება; ან

(b) მატერიალურ-ტენიკური მომარაგების მართვის მეთოდი, რომელიც აღიარებულია ექსპორტიორი მხარის ბუღალტრული აღრიცხვის საყოველთაოდ მიღებული პრინციპებით და გამოყენებული უნდა იქნეს სულ მცირე ერთი ფისკალური წლისათვის.

მუხლი 3.9. ნეიტრალური ელემენტები

1. იმის დადგენისას საქონელი არის თუ არა წარმოშობის მქონე საქონელი, ნებისმიერი ნეიტრალური ელემენტი, როგორც ეს განსაზღვრულია მე-2 პუნქტში, უგულებელყოფილ უნდა იქნეს.

2. ნეიტრალური ელემენტი ნიშნავს საქონელს, რომელიც გამოიყენება სხვა საქონლის წარმოებისათვის, შემოწმებისა და ინსპექტირებისათვის, მაგრამ თავად არ არის ფიზიკურად შერეული ამ საქონელში, მათ შორის:

(a) საწვავი, ენერგია, კატალიზატორები და გამხსნელი ნივთიერებები;

(b) მოწყობილობა, ხელსაწყოები და დანადგარები, რომლებიც გამოიყენება საქონლის შემოწმების ან ინსპექტირებისათვის;

(c) ხელთათმანები, სათვალეები, ფეხსაცმელები, ტანსაცმელები, უსაფრთხოების მოწყობილობები და ხელსაწყოები;

(d) ინსტრუმენტები, შტამპები და ყალიბები;

(e) სათადარიგო ნაწილები და მასალები, რომლებიც გამოიყენება მოწყობილობებისა და შენობების ექსპლუატაციისათვის;

(f) საპოხი მასალა, საცხი, შემადგენელი ნაწილები და სხვა მასალები, რომლებიც გამოიყენება წარმოებაში ან გამოიყენება მოწყობილობებისა და შენობების მუშაობისათვის;

(g) ნებისმიერი სხვა საქონელი, რომელიც არ შედის საქონელში, მაგრამ რომლის გამოყენება საქონლის საწარმოებლად დასაბუთებულად ჩანს, რომ არის ამ წარმოების ნაწილი.

მუხლი 3.10. შეფუთვა, შეკვრები და კონტეინერები

1. კონტეინერები და შესაფუთი მასალები, რომლებიც გამოიყენება საქონლის ტრანსპორტირებისათვის არ უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული საქონლის წარმოშობის განსაზღვრისას.

2. შესაფუთი მასალებისა და კონტეინერების წარმოშობა, რომლებშიც შეფუთულია საქონელი საცალო გაყიდვისათვის უგულებელყოფილი უნდა იქნეს საქონლის წარმოშობის განსაზღვრისას, იმ შემთხვევაში, თუ შესაფუთი მასალები და კონტეინერები კლასიფიცირებულია საქონელთან ერთად.

3. მე-2 პუნქტის მიუხედავად, როდესაც საქონელი ექვემდებარება რეგიონალური მნიშვნელობის კრიტერიუმების მოთხოვნებს, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული საცალო გაყიდვებისათვის გამოყენებული შესაფუთი მასალებისა და კონტეინერების, როგორც წარმოშობის მქონე მასალების ან წარმოშობის სტატუსის არმქონე მასალების ღირებულება, შესაბამის შემთხვევაში საქონლის რეგიონალური მნიშვნელობის კრიტერიუმების გამოთვლისას.

მუხლი 3.11. აქსესუარები, სათადარიგო ნაწილები და ინსტრუმენტები

1. საქონელთან წარმოდგენილი და კლასიფიცირებული აქსესუარები, სათადარიგო ნაწილები და ინსტრუმენტები, მიჩნეული უნდა იქნეს, როგორც საქონლის ნაწილი, თუ:

(a) მათი ანგარიშ-ფაქტურა გამოწერილია საქონელთან ერთად; და

(b) მათი რაოდენობა და ღირებულება კომერციულად სტანდარტულია საქონლისათვის.

2. როდესაც საქონელი ექვემდებარება X დანართით (PSR) დადგენილ სატარიფო კლასიფიკაციაში ცვლილების კრიტერიუმს, პირველ პუნქტში მითითებული აქსესუარები, სათადარიგო ნაწილები და ინსტრუმენტები უგულებელყოფილი უნდა იქნეს საქონლის წარმოშობის განსაზღვრისას.

3. როდესაც საქონელი ექვემდებარება რეგიონალური მნიშვნელობის კრიტერიუმების მოთხოვნებს, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული პირველ პუნქტში მითითებული აქსესუარების, სათადარიგო ნაწილებისა და ინსტრუმენტების, როგორც წარმოშობის მქონე მასალების ან წარმოშობის სტატუსის არმქონე მასალების ღირებულება, შესაბამის შემთხვევაში საქონლის რეგიონალური მნიშვნელობის კრიტერიუმების გამოთვლასას.

მუხლი 3.12. კომპლექტები

კომპლექტები, როგორც ეს განსაზღვრულია ჰარმონიზებული სისტემის ზოგად მე-3 წესში, განიხილება როგორც წარმოშობის მქონე, როდესაც წარმოშობის მქონეა მისი ყველა კომპონენტი. მიუხედავად იმისა, რომ კომპლექტი შედგება წრმოშობის მქონე და წარმოშობის სტატუსის არმქონე პროდუქტებისგან, მთლიანი კომპლექტი განხილული იქნება, როგორც წარმოშობის მქონე, იმ პირობით, თუ წარმოშობის სტატუსის არმქონე პროდუქტების ღირებულება არ აღემატება კომპლექტის ფრანკო-ქარხნის ფასის 15%-ს.

მუხლი 3.13. პირდაპირი მიწოდება

1. წინამდებარე შეთანხმების შესაბამისად, პრეფერენციული სატარიფო რეჟიმი უნდა მიეცეს მხოლოდ წარმოშობის მქონე პროდუქტებს, რომელთა ტრანსპორტირებაც ხდება პირდაპირ მხარეთა შორის.

2. პირველი პუნქტის მიუხედავად, საქონელი, რომლის ტრანსპორტირებაც მოიცავს ერთი ან მეტი არახელშემკვრელი ქვეყნის ტერიტორიაზე ტრანზიტს, ამ არახელშემკვრელი მხარეების ტერიტორიაზე გადაზიდვებით ან სამ თვემდე შენახვით ან აღნიშნულის გარეშე, მიჩნეული უნდა იქნეს, როგორც მხარეთა შორის პირდაპირ ტრანსპორტირებულად, იმ პირობით, თუ:

(a) საქონლის ტრანზიტული შესვლა გამართლებულია გეოპოლიტიკური მიზეზით ან ექსკლუზიურად სატრანსპორტო მოთხოვნების გათვალისწინებით;

(b) არ გაუვლია რაიმე სხვა ოპერაცია, გარდა გადმოტვირთვისა და ხელახალი დატვირთვისა, ან სხვა რომელიმე ოპერაცია, რომელიც საჭიროა მათი ვარგისიანობის შენარჩუნებისთვის; და

(c) საქონელი დარჩება საბაჟო კონტროლის ქვეშ ან არახელშემკვრელი მხარეების ტერიტორიებზე ტრანზიტის განმავლობაში.

3. მე-2 პუნქტით დადგენილი მოთხოვნების დაცვა დადასტურებული უნდა იქნეს იმპორტიორი მხარის საბაჟო ორგანოებისათვის არახელშემკვრელი მხარეების საბაჟო დოკუმენტების, ან იმპორტიორი მხარის საბაჟო ორგანოების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად ნებისმიერი სხვა დოკუმენტების წარდგენით.

ნაწილი 2. წარმოშობის განხორციელების პროცედურები

მუხლი 3.14. წარმოშობის სერტიფიკატი

1. წარმოშობის სერტიფიკატი, როგორც ეს დადგენილია II-B დანართით, გაცემული უნდა იქნეს მხარის უფლებამოსილი ორგანოების მიერ (საქართველოს შემთხვევაში - საბაჟო ადმინისტრაცია; ჩინეთის შემთხვევაში – შესვლისა და გასვლის ინსპექტირებისა და კარანტინების ორგანიზაციები, რომლებიც ანგარიშვალდებულნი არიან ხარისხის ზედამხედველობის გენარალურ ადმინისტრაციასთან, ინსპექტირების და კარანტინის და ჩინეთის საერთაშორისო ვაჭრობის ხელშეწყობის საბჭოსთან და მის რეგიონალურ ქვესაბჭოებთან. ექსპორტიორის ან მწარმოებლის მოთხოვნით, იმ პირობით, რომ საქონელი შეიძლება მიჩნეულ იქნეს, როგორც ამ მხარის წარმოშობის მქონედ, რომელზედაც ვრცელდება ამ თავის დებულებები.

2. წარმოშობის სერტიფიკატი უნდა:

(a) შეიცავდეს სერტიფიკატის უნიკალურ ნომერს;

(b) მოიცავდეს ერთ ან მეტ საქონელს ერთი საქონლის პარტიაში;

(c) მიეთითოს რის საფუძველზე მიიჩნევა საქონელი ამ თავის მიზნებისათვის კვალიფიცირებულად, როგორც წარმოშობის სტატუსის მქონე;

(d) შეიცავდეს უსაფრთხოების მახასიათებლებს, როგორიცაა ხელმოწერების ან შტამპების ნიმუშები, ექპორტიორი მხარის მიერ იმპორტიორი მხარის რეკომენდაციიდან გამომდინარე; და

(e) შესრულებულ იქნეს ინგლისურ ენაზე.

3. წარმოშობის სერტიფიკატი გაიცემა გადაზიდვამდე ან გადაზიდვის დროს. იგი ძალაშია ექსპორტიორი მხარის ტერიტორიაზე გაცემის თარიღიდან 1 წლის განმავლობაში.

4. თითოეული მხარე ატყობინებს მეორე მეორე მხარის საბაჟო ორგანოებს თითოეული უფლებამოსილი ორგანოს სახელს, ასევე შესაბამის საკონტაქტო მონაცემებს და აწვდის თითოეული უფლებამოსილი ორგანოს მიერ გამოყენებული შესაბამისი ფორმებისა და დოკუმენტების ნებისმიერ უსაფრთხოების მახასიათებლებს, ამ ორგანოს მიერ რაიმე სერტიფიკატის გაცემამდე. ზემოხსენებულ ინფორმაციაში ნებისმიერი ცვლილების თაობაზე დაუყოვნებლივ ეცნობება მეორე მხარის საბაჟო ორგანოს.

5. წარმოშობის სერტიფიკატი შეიძლება გაცემულ იქნეს რეტროსპექტულად ერთი წლის განმავლობაში გადაგზავნის თარიღიდან და უნდა ფლობდეს წარწერას „გაცემულია რეტროსპექტულად“ და ძალაში

დარჩეს გადაგზავნიდან ერთი წლის განმავლობაში, თუ:

(a) იგი არ იქნა გაცემული გადაზიდვამდე ან გადაზიდვის დროს ფორსმაჟორული გარემოებების, უნებლიე შეცდომების, ხარვეზის ან სხვა საკმარისი მიზეზების გამო; ან

(b) აღნიშნული მოთხოვნილ იქნა იმპორტიორი ქვეყნის საბაჟო ორგანოს მიერ, სადაც გაცემულ იქნა წარმოშობის სერტიფიკატი მაგრამ არ იქნა მიღებული იმპორტის დროს.

6. წარმოშობის სერტიფიკატის მოპარვის, დაკარგვის ან შემთხვევითი განადგურების შემთხვევაში ექსპორტიორმა ან მწარმოებელმა შეიძლება წერილობით მიმართოს ექსპორტიორი ქვეყნის უფლებამოსილ ორგანოს გასცეს დამოწმებული ასლი, იმ პირობით, რომ მანამდე გაცემული დოკუმენტის ორიგინალი დადასტურებულ იქნა, რომ არ იყო გამოყენებული. დამოწმებული ასლზე უნდა იყოს წარწერა „ორიგინალი წარმოშობის სერტიფიკატის, ნომერი -------, თარიღი---------, დამოწმებული ასლი“. დამოწმებული ასლი ძალაშია ორიგინალი წარმოშობის სერტიფიკატის მოქმედების ვადის განმავლობაში.

მუხლი 3.15. წარმოშობის დოკუმენტების შენახვა

1. თითოეული მხარე სთხოვს თავის მწარმოებლებს, ექსპორტიორებსა და იმპორტიორებს, შეინახონ დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ საქონლის წარმოშობის სტატუსს, ასევე შეასრულონ ამ თავით დადგენილი მოთხოვნები, სულ მცირე 3 წლის განმავლობაში ან, თითოეული მხარის შიდა კანონმდებლობის შესაბამისად, უფრო დიდ ხანს.

2. თითოეული მხარე ითხოვს, რომ მათმა უფლებამოსილმა ორგანოებმა შეინახონ წარმოშობის სერტიფიკატებისა და სხვა დაკავშირებული დამხმარე დოკუმენტები სულ მცირე 3 წლის განმავლობაში ან, თითოეული მხარის შიდა კანონმდებლობის შესაბამისად, უფრო დიდ ხანს.

მუხლი 3.16. იმპორტთან დაკავშირებული ვალდებულებები

თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული წინამდებარე თავით, იმპორტიორმა, რომელიც ითხოვს პრეფერენციულ სატარიფო რეჟიმს, უნდა:

(a) მიუთითოს საბაჟო დეკლარაციაში, რომ საქონელი კვალიფიცირებულია, როგორც წარმოშობის მქონე საქონელი;

(b) ფლობდეს მოქმედ წარმოშობის სერტიფიკატს (a) ქვეპუნქტში მითითებული იმპორტის საბაჟო დეკლარაციის გაკეთებისას; და

(c) იმპორტიორი მხარის საბაჟო ადმინისტრაციის მოთხოვნისას წარადგინოს მოქმედი წარმოშობის სერტიფიკატი და საქონლის იმპორტთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტალური მტკიცებულება.

მუხლი 3.17. იმპორტის საბაჟო გადასახადების ანაზღაურება ან დეპოზიტი

1. როდესაც 3.16 მუხლის შესაბამისად (იმპორტთან დაკავშირებული ვალდებულებები), წარმოშობის სერტიფიკატი არ არის წარდგენილი იმპორტიორ საბაჟოზე იმპორტის დროს იმპორტიორის მოთხოვნით, იმპორტიორი მხარის საბაჟო ორგანოებმა შეიძლება დააკისრონ მოქმედი არაპრეფერენციული საბაჟო გადასახადები, ან მოითხოვონ აღნიშნულ საქონელზე საბაჟო გადასახადების სრულო ოდენობის ეკვივალენტური გარანტია, იმ პირობით, თუ იმპორტიორი იმპორტის დროს ფორმალურად განუცხადებს საბაჟო ორგანოებს, რომ აღნიშნული საქონელი კვალიფიცირებულია, როგორც წარმოშობის მქონე საქონელი.

2. იმპორტიორმა შეიძლება მოითხოვოს ზედმეტად დაკისრებული საბაჟო გადასახადების ან გადახდილი გარანტიის ანაზღაურება, თუ ისინი შეძლებენ წარადგინონ მე-16 მუხლით გათვალისწინებული ყველა საჭირო დოკუმენტაცია და იმპორტიორი ქვეყნის კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადაში.

მუხლი 3.18. წარმოშობის სერტიფიკატის წარდგენის ვალდებულებისაგან გათავისუფლება

1. მე-16 მუხლის (იმპორტთან დაკავშირებული ვალდებულებები) მიუხედავად, მხარემ შეიძლება გაათავისუფლოს ნებისმიერი წარმოშობის მქონე საქონლის ტვირთის წარმოშობის სერტიფიკატის წარდგენის ვალდებულებისაგან, რომელთა საბაჟო ღირებულება არ აღემატება 600 აშშ დოლარს ან მის ეკვივალენტურ ოდენობას ხელშემკვრელი მხარის ვალუტაში.
2. პირველ პუნქტში გათვალისწინებული ვალდებულებისაგან გათავისუფლება არ გამოიყენება, როდესაც იმპორტიორი მხარის საბაჟო ორგანოების მიერ დადგენილია, რომ იმპორტი წარმოადგენს იმპორტის სერიების ნაწილს, რომელიც გონივრულად შეიძლება იქნეს მიჩნეული, რომ განხორციელებულ და ორგანიზებულ იქნა წარმოშობის სერტიფიკატის წარდგენის არიდების მიზნით.

მუხლი 3.19. წარმოშობის შემოწმება

1. წარმოშობის სერტიფიკატი მორიგი შემოწმება შეიძლება განხორციელდეს დაუგეგმავად ან როდესაც იმპორტიორი მხარის საბაჟო ორგანოებს აქვთ საფუძვლიანი ეჭვი ამ დოკუმენტების ავთენტურობასთან, საქონლის წარმოშობის სტატუსთან ამ წინამდებარე თავის სხვა მოთხოვნების შესრულებასთან დაკავშირებით. იმპორტიორი ქვეყნის საბაჟო ორგანოებმა წარმოშობის შემოწმება შეიძლება განახორციელონ შემდეგი საშუალებებით:

(a) იმპორტიორისგან დამატებითი დოკუმენტების მოთხოვნით;

(b) ექსპორტიორი მხარის საბაჟო ადმინისტრაციისაგან ადმინისტრაციული დახმარების თხოვნით; ან

(c) შემოწმების ვიზიტის განხორციელებით ექსპორტიორი მხარის ტეროტორიაზე, მხარეთა მიერ ერთობლივად დადგენილი წესით.

2. იმპორტიორი ქვეყნის საბაჟო ორგანომ, რომელიც ექსპორტიორ მხარეს სთხოვს შემოწმებას, უნდა მიუთითოს მიზეზები, წარადგინოს ნებისმიერი დოკუმენტი და ინფორმაცია, რათა დაასაბუთოს შემოწმება.

3. ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებულმა იმპორტიორმა, ექსპორტიორმა, მწარმოებელმა ან ექპორტიორმა მხარემ, რომელიც იღებს მოთხოვნას შემოწმების თაობაზე, უნდა უპასუხოს მოთხოვნას დაუყოვნებლივ, შემოწმების თაობაზე შუამდგომლობის დაყენების თარიღიდან ექვს თვეში.

4. თუ ზემოხსენებულ პერიოდში არ იქნება პასუხი მიღებული, ან თუ პასუხი არ შეიცავს საკმარის ინფორმაციას დოკუმენტის ან განსახილველი საქონლის წარმოშობის სტატუსის ავთენტურობის დასადგენად, შუამდგომლობის წარმდგენმა საბაჟო ორგანომ შეიძლება უარი უთხრას პრეფერენციულ სატარიფო რეჟიმზე.

მუხლი 3.20. უარი პრეფერენციულ სატარიფო რეჟიმზე

წინამდებარე თავით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, იმპორტიორმა მხარემ შეიძლება უარი თქვას პრეფერენციული სატარიფო რეჟიმის მოთხოვნაზე, თუ:

(a) საქონელი არ აკმაყოფილებს წინამდებარე თავით დადგენილ მოთხოვნებს;

(b) იმპორტიორი, ექსპორტიორი ან მწარმოებელი ვერ ასრულებს წინამდებარე თავით გათვალისწინებულ შესაბამის მოთხოვნებს;

(c) წარმოშობის სერტიფიკატი არ აკმაყოფილებს წინამდებარე თავით დადგენილ მოთხოვნებს; ან

(d) 3.19 მუხლის (წარმოშობის შემოწმება) მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

მუხლი 3.21. წარმოშობის მონაცემების გაცვლის ელექტრონული სისტემა

ორივე მხარემ უნდა შექმნას წარმოშობის მონაცემების გაცვლის ელექტრონული სისტემა, რათა

უზრუნველყონ საბაჟო ადმინისტრაციებს შორის წარმოშობასთან დაკავშირებული ინფორმაციის რეალურ დროში გაცვლა, მათ შორის:

a) ინფორმაცია, რომელიც ეხება სერტიფიკატის უნიკალურ ნომერს;

b) ექსპორტირებული საქონლის მონაცემები, რომლებიც უფლებამოსილია ექსპორტიორი ქვეყნის საბაჟოს მიერ დამტკიცებულ პრეფერენციულ სატარიფო რეჟიმზე;

c) ინფორმაცია იმპორტიორი მხარის მიერ მიღებული პრეფერენციული სატარიფო რეჟიმის განხორციელების თაობაზე.

მუხლი 3.22. საკონტაქტო პირები

თითოეული მხარე განსაზღვრავს საკონტაქტო პუნქტებს, რათა უზრუნველყოს ამ თავის ეფექტური და ქმედითი იმპლემენტაცია. ყველა ინფორმაცია გაცვლილი უნდა იქნეს საკონტაქტო პირების მეშვეობით.

თავი 4

საბაჟო პროცედურები და ვაჭრობის ხელშეწყობა

მუხლი 4.1. მოქმედების ფარგლები და მიზნები

1. წინამდებარე თავი ვრცელდება საბაჟო პროცედურებზე, მხარეთა შესაბამის საერთაშორისო ვალდებულებებსა და შიდა საბაჟო კანონმდებლობასა და საბაჟო პროცედურებისთვის ზიანის მიყენების გარეშე, რომლებიც ეხება მხარეთა შორის საქონლით ვაჭრობასა და მხარეთა შორის სატრანსპორტო საშუალებათა მოძრაობაზე.

2. წინამდებარე თავის მიზნებია:

(a) მხარეთა საბაჟო პროცედურების გამარტივება და ჰარმონიზაცია;

(b) მხარეთა შორის ვაჭრობის ხელშეწყობა; და

(c) საბაჟო ადმინისტრაციებს შორის თანამშრომლობის ხელშეწყობა, წინამდებარე თავის ფარგლებში.

მუხლი 4.2. განსაზღვრებები

წინამდებარე თავის მიზნებისთვის:

(a) **საბაჟო ადმინისტრაცია** ნიშნავს:

(i) საქართველოს შემთხვევაში, შემოსავლების სამსახურს - ფინანსთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირს; და

(ii) ჩინეთის შემთხვევაში, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საბაჟოს მთავარ ადმინისტრაციას.

(b) **საბაჟო კანონმდებლობა** ნიშნავს იმ საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების დებულებებს, რომლებიც ეხება საქონლის იმპორტს, ექსპორტს, ტრანსპორტირებასა და დასაწყობებას, და რომელთა ამოქმედება და აღსრულება ექსკლუზიურად საბაჟო ორგანოების ფუნქციაა, და ნებისმიერ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტს, რომელსაც საბაჟო ორგანოები გამოსცემენ კანონით მათთვის მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში;

(c) **საბაჟო პროცედურები** ნიშნავს რეჟიმს, რომელსაც საბაჟო ადმინისტრაცია იყენებს საბაჟო კონტროლის ქვეშ მყოფი საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების მიმართ;

(d) **საბაჟო ღირებულების განსაზღვრის შესახებ შეთანხმება** გულისხმობს *ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის დაფუძნების შესახებ მარაკეშის შეთანხმების* 1A დანართის ნაწილის *GATT 1994-ის VII მუხლის განხორციელების შესახებ შეთანხმებას*;

(e) **სატრანსპორტო საშუალებები** ნიშნავს სხვადასხვა ტიპის საზღვაო, სახმელეთო და საჰაერო სატრანსპორტო საშუალებებს, რომლებიც ახორციელებს მგზავრების და/ან საქონლის ტრანსპორტირებას მხარის ტერიტორიაზე ან ტერიტორიიდან.

მუხლი 4.3. ხელშეწყობა

1. ვაჭრობის ხელშეწყობის მიზნით, მხარეები უზრუნველყოფენ თავიანთი საბაჟო პროცედურებისა და წესების პროგნოზირებადობას, თანამიმდევრულობასა და გამჭირვალობას.

2. ხარჯებისა და ვაჭრობაში გაუმართლებელი შეფერხებების შემცირების მიზნით, მხარეები გამოიყენებენ ეფექტიან საბაჟო პროცედურებს, რომლებიც, საჭიროების შემთხვევაში, ემყარება საერთაშორისო სტანდარტებს, კერძოდ, მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის სტანდარტებსა და რეკომენდირებულ წესებს, მათ შორის, „საბაჟო პროცედურების გამარტივებისა და ჰარმონიზაციის შესახებ“ გადასინჯული საერთაშორისო კონვენციის (კიოტოს გადასინჯული კონვენციის) პრინციპებს.

3. მხარეთა შორის საქონლით ვაჭრობის სფეროში აუცილებელი კონტროლის ზომებს, ფორმალობებს და დოკუმენტებს მხარეები დაიყვანენ იმ ოდენობამდე, რომელიც აუცილებელია და საჭიროა კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვის უზრუნველსაყოფად, რითაც მაქსიმალურად გაამარტივებენ შესაბამის პროცედურებს.

4. თითოეული მხარის საბაჟო ადმინისტრაცია პერიოდულად გადასინჯავს თავის საბაჟო პროცედურებს მათი გამარტივების შესაძლებლობათა შესწავლისა და საერთაშორისო ვაჭრობის ხელშესაწყობად ორმხრივად ხელსაყრელი მექანიზმების გაუმჯობესების მიზნით.

მუხლი 4.4. გამჭირვალობა

1. თითოეული მხარე დაუყოვნებლივ გამოაქვეყნებს, მათ შორის, ინტერნეტში, თავის კანონებსა და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, ზოგადი ხასიათის ადმინისტრაციულ წესებს ან პროცედურებს, რომლებიც ვრცელდება მხარეთა შორის საქონლით ვაჭრობაზე.

2. თითოეული მხარე შექმნის ერთ ან რამდენიმე საინფორმაციო პუნქტს, რომელსაც დაევალება საბაჟო საკითხებთან დაკავშირებით დაინტერესებული პირებისგან შესულ შეკითხვებზე პასუხების გაცემა, და ინტერნეტში გამოაქვეყნებს ინფორმაციას ამგვარი შეკითხვების გაგზავნის პროცედურების შესახებ.

3. პრაქტიკული შესაძლებლობიდან გამომდინარე, და თავისი კანონებისა და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტების შესაბამისად, თითოეული მხარე ინტერნეტში წინასწარ გამოაქვეყნებს ზოგადი ხასიათის კანონებისა და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტების პროექტებს, რომლებიც არეგულირებს მხარეთა შორის ვაჭრობას, იმისათვის რომ საზოგადოებას, კერძოდ, დაინტერესებულ პირებს მიეცეთ თავიანთი შენიშვნების წარდგენის შესაძლებლობა.

4. თითოეული მხარე შეძლებისდაგვარად უზრუნველყოფს სათანადო ინტერვალის დაცვას მხარეთა შორის ვაჭრობის სფეროში ზოგადი ხასიათის ახალი ან შეცვლილი კანონებისა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების გამოქვეყნებასა და მათ ძალაში შესვლას შორის.

5. თითოეული მხარე უზრუნველყოფს მხარეთა შორის ვაჭრობის სფეროში ზოგადი ხასიათის კანონებისა და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტების ერთგვაროვნად, მიუკერძოებლად და გონივრულად განხორციელებას.

მუხლი 4.5. საბაჟო ღირებულების განსაზღვრა

ერთმანეთს შორის ვაჭრობისას, მხარეები საქონლის საბაჟო ღირებულებას განსაზღვრავენ GATT-1994-ის VII მუხლისა და *საბაჟო ღირებულების განსაზღვრის შესახებ შეთანხმების* დებულებათა შესაბამისად.

მუხლი 4.6. ტარიფების კლასიფიკაცია

ერთმანეთს შორის ვაჭრობისას, მხარეები საქონლის მიმართ გამოიყენებენ *საქონლის აღწერილობის და კოდირების ჰარმონიზებული სისტემის შესახებ საერთაშორისო კონვენციას.*

მუხლი 4.7. თანამშრომლობა

1. თავიანთი კანონებითა და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებით ნებადართულ ფარგლებში, ორივე მხარის საბაჟო ადმინისტრაციები ერთმანეთს გაუწევენ დახმარებას შემდეგ სფეროებში:

(a) წინამდებარე თავის განხორციელება და ამოქმედება;

(b) *საქართველოს რესპუბლიკის საბაჟო კომიტეტსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საბაჟოს მთავარ ადმინისტრაციას შორის თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ შეთანხმების* დებულებათა გამოყენება; და

(c) ნებისმიერი სხვა საკითხი, რომელზეც მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ.

2. თითოეული მხარე შეეცდება მეორე მხარეს დროულად აცნობებს თავის საბაჟო კანონებში, კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებსა და პროცედურებში შეტანილი იმ მნიშვნელოვანი ცვლილებების შესახებ, რომლებსაც შეუძლია არსებითი ზემოქმედება იქონიოს წინამდებარე შეთანხმების მოქმედებაზე.

მუხლი 4.8. წინასწარი გადაწყვეტილებები

1. თითოეული მხარე დადგენილ გონივრულ ვადებში მიაწვდის მე-2(a) ქვეპუნქტში მითითებულ პირს წინასწარ წერილობით გადაწყვეტილებებს ტარიფების კლასიფიკაციისა და იმის შესახებ, წარმოადგენს თუ არა წინამდებარე შეთანხმების მხარის ტერიტორია საქონლის წარმოშობის ადგილს.

2. თითოეული მხარე აამოქმედებს ან შეასრულებს წინასწარი წერილობითი გადაწყვეტილებების გაცემის პროცედურას, რომელიც:

(a) ადგენს, რომ ექსპორტიორს, იმპორტიორს, ან სათანადო საფუძვლის მქონე ნებისმიერ პირს, ან მის წარმომადგენელს შეუძლია განაცხადის შეტანის გზით მოითხოვოს წინასწარი გადაწყვეტილების გაცემა განაცხადში მითითებული საქონლის იმპორტირების თარიღამდე. მხარეს შეუძლია მოითხოვოს, რომ განმცხადებელს გააჩნდეს იურიდიული წარმომადგენლობა, ან რომ ის რეგისტრირებული იყოს მის ტერიტორიაზე;

(b) დეტალურად მიუთითებს იმ ინფორმაციას, რომლის წარდგენაც სავალდებულოა იმისათვის, რომ მსვლელობა მიეცეს განაცხადს წინასწარი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ;

(c) ნებას რთავს მხარის საბაჟო ადმინისტრაციას წინასწარი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ განაცხადის შეფასების ნებისმიერ ეტაპზე, განმცხადებლისგან მოითხოვოს დამატებითი ინფორმაციის წარდგენა, რომელიც აუცილებელია მისი მოთხოვნის შესაფასებლად;

(d) უზრუნველყოფს, რომ წინასწარი გადაწყვეტილება ეფუძნებოდეს განმცხადებლის მიერ წარდგენილ ფაქტებსა და გარემოებებს და გადაწყვეტილების მიმღები პირის ხელთ არსებულ ნებისმიერ სხვა რელევანტურ ინფორმაციას; და

(e) უზრუნველყოფს განმცხადებლის სახელზე წინასწარი გადაწყვეტილების გაცემას, გამცემი საბაჟო ადმინისტრაციის სახელმწიფო ენაზე, სწრაფი წესით, ყველა სახის აუცილებელი ინფორმაციის მიღებიდან 90 დღის ვადაში.

3. ის მხარე, რომელიც უარს აცხადებს წინასწარი გადაწყვეტილების გაცემაზე, აღნიშნულის შესახებ განმცხადებელს დაუყოვნებლივ გაუგზავნის შეტყობინებას, რომელშიც მიუთითებს წინასწარი გადაწყვეტილების გაცემაზე უარის თქმის საფუძველს.

4. მხარეს შეუძლია უარი თქვას წინასწარი გადაწყვეტილების გაცემაზე, თუ მე-2(c) პუნქტის

შესაბამისად მოთხოვნილი დამატებითი ინფორმაცია დადგენილ ვადაში არ იქნა წარდგენილი.

5. თითოეული მხარე შეეცდება საჯაროდ ხელმისაწვდომი გახადოს წინასწარ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებული ის ინფორმაცია, რომელსაც ის საინტერესოდ მიიჩნევს ვაჭრობაში მონაწილე სხვა პირებისთვის, კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის საჭიროების გათვალისწინებით.

6. მე-7 პუნქტის შესაბამისად, თითოეული მხარე შესვლის ნებისმიერი პორტიდან თავის ტერიტორიაზე შეტანილი საიმპორტო საქონლის მიმართ წინასწარი გადაწყვეტილების გამოყენებას დაიწყებს წინასწარი გადაწყვეტილების გაცემის ან წინასწარ გადაწყვეტილებაში მითითებული ნებისმიერი სხვა თარიღიდან. მხარე უზრუნველყოფს, რომ წინასწარი გადაწყვეტილების მოქმედების პერიოდში, ყველა სახის იმპორტირებული საქონლის მიმართ გამოყენებულ იქნეს ერთნაირი რეჟიმი, მიუხედავად იმპორტიორის ან ექსპორტიორისა, თუ ყველა არსებითი ხასიათის ფაქტი და გარემოება ერთმანეთის იდენტურია.

7. მხარეს შეუძლია ცვლილებები შეიტანოს ან გააუქმოს წინასწარი გადაწყვეტილება, წინამდებარე შეთანხმების შესაბამისად, იმ შემთხვევაში თუ:

(a) ცვლილებები შევიდა შესაბამის კანონებში ან კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებში;

(b) წარდგენილ იქნა არასწორი ინფორმაცია, ან არ იქნა მიწოდებული შესაბამისი ინფორმაცია;

(c) ცვლილება შევიდა არსებით ფაქტში; ან

(d) ცვლილება შევიდა იმ გარემოებებში, რომლებსაც დაემყარა გადაწყვეტილება.

მუხლი 4.9. განხილვა და გასაჩივრება

თითოეული მხარე, თავისი შიდა კანონებისა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად, უზრუნველყოფს, რომ იმპორტიორს, ექსპორტიორს ან ნებისმიერი სხვა პირს, რომლის მიმართაც ვრცელდება საბაჟო საკითხებთან დაკავშირებით გამოტანილი ადმინისტრაციული გადაწყვეტილებები, ჰქონდეს უფლება:

(a) ადმინისტრაციული წესით გაასაჩივროს საბაჟო ადმინისტრაციების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, მიუხედავად იმისა, თუ რომელმა თანამდებობის პირმა ან ორგანომ მიიღო ეს გადაწყვეტილებები; და

(b) სასამართლო წესით გაასაჩივროს მიღებული გადაწყვეტილებები თავისი კანონებისა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად.

მუხლი 4.10. საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება

თითოეული მხარე გამოიყენებს საინფორმაციო ტექნოლოგიებს საბაჟო ოპერაციების ხელშეწყობის მიზნით, თუ ეს ტექნოლოგიები ეკონომიკურად ეფექტური და ეფექტიანია, კერძოდ, უქაღალდო (ელექტრონული) ანგარიშსწორების დანერგვის სფეროში, შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციების, მათ შორის მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის ფარგლებში ამ კუთხით არსებული მიღწევების გათვალისწინებით.

მუხლი 4.11: რისკების მართვა

1. თითოეული მხარე დანერგავს და შეინარჩუნებს რისკების მართვის სისტემას საბაჟო კონტროლის განხორციელების მიზნით, და მის საფუძველზე განსაზღვრავს თუ რომელი პირი, საქონელი ან სატრანსპორტო საშუალება ექვემდებარება შემოწმებას, და ასევე შემოწმების მოცულობას.

2. თითოეული მხარე იმუშავებს თავისი საბაჟო პროცედურებში რისკების მართვის მეთოდების უფრო ფართოდ გამოყენების მიმართულებით, იმისათვის რომ გამარტივდეს დაბალი რისკის საქონლის განბაჟება და რესურსები მობილიზდეს მაღალი რისკის საქონელზე.

3. რისკების მართვა უნდა განხორციელდეს ისე, რომ მან არ გამოიწვიოს თვითნებური ან გაუმართლებელი დისკრიმინაცია თანაბარი პირობების არსებობის შემთხვევაში ან ფარული შეზღუდვების დაწესება საერთაშორისო ვაჭრობაზე.

მუხლი 4.12. საქონლის გაშვება

1. თითოეული მხარე დანერგავს ან განახორციელებს გამარტივებულ საბაჟო პროცედურებს საქონლის ეფექტიანად გაშვების მიზნით, რაც მხარეთა შორის ვაჭრობის ხელშეწყობას ემსახურება. უფრო მეტი სიცხადისთვის, წინამდებარე პუნქტი არ ავალდებულებს მხარეს საქონლის გაშვებას, თუ არ შესრულებულა მისი მოთხოვნები საქონლის გაშვებასთან დაკავშირებით.

2. პირველი პუნქტის შესაბამისად, თითოეული მხარე დანერგავს ან განახორციელებს პროცედურებს, რომლებიც:

(a) ითვალისწინებს საქონლის გაშვებას მისი მისვლიდან შეძლებისდაგვარად უმოკლეს ვადებში, იმ პირობით თუ შესრულებულია ყველა სხვა ნორმატიული მოთხოვნა;

(b) საჭიროების შემთხვევაში ითვალისწინებს ინფორმაციის ელექტრონული წესით წარდგენას და დამუშავებას წინასწარ, საქონლის ფიზიკურად მისვლამდე, საქონლის გაშვების პროცედურის დაჩქარების მიზნით; და

(c) შეიძლება იმპორტიორს აძლევდეს უფლებას მოიპოვოს საქონლის გაშვების ნებართვა მანამ, სანამ ის შეასრულებს მხარის ყველა მოთხოვნას იმპორტთან დაკავშირებით, იმ პირობით თუ იმპორტიორი წარმოადგენს საკმარის და ქმედით გარანტიებს და თუ დადგენილია, რომ არ არსებობს შემდგომი შესწავლის, ფიზიკური შემოწმების, ან რაიმე სხვა დოკუმენტაციის წარდგენის მოთხოვნა.

3. თითოეული მხარე შეეცდება დანერგოს და გამოიყენოს სისტემა, რომლის ფარგლებშიც ის საქონელი, რომელსაც გადაუდებელი განბაჟება ესაჭიროება, უზრუნველყოფილი იქნება დაჩქარებული საბაჟო დამუშავებით.

4. თითოეული მხარე უზრუნველყოფს, რომ საქონლის გაშვების პერიოდი არ იყოს იმაზე უფრო ხანგრძლივი, ვიდრე ეს ესაჭიროება საბაჟო კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულებას.

მუხლი 4.13. ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორი

მხარე, რომელიც უზრუნველყოფს ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის სისტემის ფუნქციონირებას ან საერთაშორისო სავაჭრო ნაკადებთან მიმართებაში უსაფრთხოების ზომების გატარებას:

(a) მეორე მხარეს მისცემს შესაძლებლობას გამართოს მოლაპარაკებები უფლებამოსილების ურთიერთაღიარებასა და უსაფრთხოების ზომებთან დაკავშირებით, რომელთა მიზანია საერთაშორისო ვაჭრობის ხელშეწყობა, ეფექტიანი საბაჟო კონტროლის უზრუნველყოფასთან ერთად; და

(b) იხელმძღვანელებს შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტებით, კერძოდ, *გლობალური ვაჭრობის უსაფრთოხებისა და ხელშეწყობის სფეროში მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის ჩარჩო სტანდარტებით.*

მუხლი 4.14. თანამშრომლობა სასაზღვრო ორგანოებს შორის

1. თითოეული მხარე უზრუნველყოფს, რომ მისმა ორგანოებმა და სამსახურებმა, რომლებიც ახორციელებენ სასაზღვრო კონტროლს იმპორტირებულ, ექსპორტირებულ ან ტრანზიტულ საქონელთან მიმართებაში, ითანამშრომლონ ერთმანეთთან და მოახდინონ თავიანთი პროცედურების კოორდინაცია ვაჭრობის ხელშეწყობის მიზნით.

2. თითოეული მხარე შეეცდება, რამდენადაც შესაძლებელია, შეიმუშაოს ელექტრონული სისტემა თავისი საბაჟო ადმინისტრაციისა და სხვა შესაბამისი საბაჟო სამსახურების მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის გადაცემის მიზნით, რომელიც ხელს შეუწყობს საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებათა საერთაშორისო გადაადგილებას.

მუხლი 4.15. კონსულტაციები

1. თითოეული მხარის საბაჟო ადმინისტრაციამ შესაძლოა ნებისმიერ დროს მოითხოვოს მეორე მხარის საბაჟო ადმინისტრაციასთან კონსულტაციების გამართვა, წინამდებარე თავის განხორციელებასთან ან ამოქმედებასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე, იმ შემთხვევაში თუ მომთხოვნი მხარე წარადგენს დასაბუთებულ მოთხოვნას. ამგვარი კონსულტაციები გაიმართება შესაბამისი საკონტაქტო პირების მეშვეობით, მოთხოვნის წარდგენიდან 60 დღის, ან ნებისმიერი სხვა პერიოდის განმავლობაში, რომელზეც მხარეები შეთანხმდებიან.

2. თუ კონსულტაციების გზით ვერ მოხერხდება შესაბამისი საკითხის გადაწყვეტა, მოთხოვნის წარმდგენ მხარეს შეუძლია საკითხი შემდგომი განხილვის მიზნით გადასცეს მე-14 თავის (ინსტიტუციური დებულებები) 14.1 (FTA ერთობლივი კომისია) და 14.2 (FTA ერთობლივი კომისიის რეგლამენტი) მუხლებში მითითებულ FTA ერთობლივ კომისიას.

3. წინამდებარე თავის მიზნებისთვის, თითოეული საბაჟო ადმინისტრაცია დანიშნავს ერთ ან რამდენიმე საკონტაქტო პირს. საკონტაქტო პირთან დაკავშირებული ინფორმაცია მიეწოდება მეორე მხარეს. მას დაუყოვნებლივ ეცნობება ასევე ამ ინფორმაციაში შეტანილი ნებისმიერი შესწორების შესახებ.

თავი 5

სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ზომები

მუხლი 5.1. მიზანი

წინამდებარე თავის მიზნებია:

a) მხარეებს შორის საქონლით ვაჭრობის ხელშეწყობა და ამავე დროს მათ ტერიტორიებზე ადამიანების, ცხოველების ან მცენარეების სიცოცხლის ან ჯანმრთელობის დაცვა;

b) თითოეული მხარის ტერიტორიაზე გამჭვირვალობის უზრუნველყოფა და თითოეული მხარის სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ზომების (შემდგომში წოდებული, როგორც „SPS ზომები“) გამოყენებასთან დაკავშირებით საერთო შეთანხმების გაღრმავება;

c) თანამშრომლობის გაძლიერება მხარეებს შორის; და

d) ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (WTO) შეთანხმების 1A დანართით განსაზღვრული სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ზომების გამოყენების შესახებ შეთანხმების (შემდგომში წოდებული, როგორც "SPS შეთანხმება") პრინციპების იმპლემენტაციის ხელშეწყობა.

მუხლი 5.2. გამოყენების სფერო

წინამდებარე თავი გამოიყენება მხარეების მიერ განხორციელებულ ყველა SPS ზომებთან მიმართებით, რომელმაც, შესაძლოა, პირდაპირი ან არაპირდაპირი გავლენა იქონიოს მხარეებს შორის საქონლით ვაჭრობაზე.

მუხლი 5.3. განმარტებები

წინამდებარე თავის მიზნებისთვის, გამოიყენება SPS შეთანხმების A დანართში მოცემული განსაზღვრებები.

მუხლი 5.4. SPS შეთანხმების დადასტურება

მხარეები ადასტურებენ თავიანთ უფლებებსა და ვალდებულებებს ერთმანეთის მიმართ SPS შეთანხმების შესაბამისად.

მუხლი 5.5. რისკის შეფასება

მხარეებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მათი SPS ზომები ეფუძნება, გარემოების შესაბამისად, ადამიანების, ცხოველების ან მცენარეების სიცოცხლის ან ჯანმრთელობის რისკის შეფასებას, როგორც ეს მოცემულია SPS შეთანხმების მე-5 მუხლში, შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შემუშავებული რისკების შეფასების ტექნიკის გათვალისწინებით.

მუხლი 5.6. ჰარმონიზაცია

1. მხარეებმა ძალისხმევა არ უნდა დაიშურონ, რათა თავიანთი SPS ზომები ეფუძნებოდეს საერთაშორისო სტანდარტებს, სახელმძღვანელო წესებს ან რეკომენდაციებს, მათი არსებობის შემთხვევაში.

2. მხარეებმა, საჭიროების შემთხვევაში, ერთმანეთში უნდა გააძლიერონ კომუნიკაცია, თანამშრომლობა და კოორდინაცია მცენარეთა დაცვის საერთაშორისო კონვენციის (IPPC), კოდექს ალიმენტარიუსის (Codex) და ცხოველთა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (OIE) ფარგლებში.

მუხლი 5.7. რეგიონალიზაცია

მხარეები აღიარებენ რეგიონალიზაციის პრინციპებსა და მის იმპლემენტაციას, როგორც ეს მოცემულია SPS შეთანხმების მე-6 მუხლში და შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შემუშავებულ შესაბამის სტანდარტებსა და სახელმძღვანელო წესებში.

მუხლი 5.8. ეკვივალენტობა

თითოეული მხარე აღიარებს მეორე მხარის SPS ზომებს, როგორც საკუთარის ეკვივალენტურს, თუ ექსპორტიორი მხარე ობიექტურად წარმოუჩენს მეორე მხარეს, რომ მისი ზომები აკმაყოფილებს მეორე მხარის დაცვის შესაბამის დონეს. ამ მიზნით, მოთხოვნის შემთხვევაში, იმპორტიორ ქვეყანას მიეცემა სათანადო დაშვება ინსპექტირების, ტესტირებისა და სხვა შესაბამისი პროცედურების განსახორციელებლად.

მუხლი 5.9. გამჭვირვალობა

1. თითოეული მხარე ადასტურებს, რომ ხელმისაწვდომს გახდის ინიცირებული ახალი ან შეცვლილი SPS ზომების შესახებ ინფორმაციას SPS შეთანხმების მიერ დადგენილი შეტყობინების ვალდებულების შესაბამისად.

2. თითოეული მხარე ვალდებულია, მომთხოვნი მხარის მიერ წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან 15 სამუშაო დღის განმავლობაში, ხელმისაწვდომი გახადოს მისთვის ცნობილი SPS ზომების სრული ტექსტი, არსებულ ენებზე.

3. თითოეული მხარე ვალდებულია მეორე მხარეს შენიშვნების წარსადგენად განუსაზღვროს სულ მცირე 60 დღე ინიცირებული სანიტარიული ან ფიტოსანიტარიული ზომების WTO-ში შეტყობინების შემდეგ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ადამიანის ან ცხოველის ჯანმრთელობას, სიცოცხლეს ან მცენარის სიჯანსაღეს წარმოეშვა რისკი ან არსებობს ასეთი რისკის წარმოშობის საფრთხე, რაც მოითხოვს გადაუდებელი ქმედებების განხორციელებას.

4. თითოეული მხარე ვალდებულია მხედველობაში მიიღოს მეორე მხარის შენიშვნები და, მოთხოვნის შემთხვევაში, გონივრულ ვადებში მოახდინოს მათზე რეაგირება.

მუხლი 5.10. ტექნიკური თანამშრომლობა

1. მხარეები თანხმდებიან, რომ შეისწავლიან სანიტარიულ და ფიტოსანიტარიულ საკითხებთან დაკავშირებით ტექნიკური თანამშრომლობის შესაძლებლობებს, რათა გაზარდონ ურთიერთგაგება მხარეთა მარეგულირებელი სისტემების შესახებ და ხელი შეუწყონ ერთმანეთის ბაზარზე დაშვებას.

2. თითოეული მხარე, მოთხოვნის საფუძველზე, გაითვალისწინებს სანიტარიულ და

ფიტოსანიტარიულ საკითხებთან დაკავშირებულ თანამშრომლობას.

მუხლი 5.11. საკონტაქტო ორგანო

1. თოთოეული მხარე გამოყოფს საკონტაქტო ორგანოს, რომელიც ამ მხარისთვის წარმოადგენს წინამდებარე თავის შესრულების კოორდინაციაზე პასუხისმგებელ ორგანოს. საკონტაქტო ორგანოებია:

a) საქართველოს შემთხვევაში, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სურსათის ეროვნული სააგენტო; და

b) ჩინეთის შემთხვევაში, ხარისხის ზედამხედველობის, ინსპექციის და კარანტინის გენერალური ადმინისტრაცია ან მისი ან მისი უფლებამონაცვლე.

c) თითოეული მხარე მეორე მხარეს გაუზიარებს მის მიერ გამოყოფილი პასუხისმგებელი ორგანოს სახელს და აღნიშნულ ორგანიზაციაში შესაბამისი თანამდებობის პირის საკონტაქტო ინფორმაციას, მათ შორის, ტელეფონი, ფაქსიმილე, ელ-ფოსტა და ნებისმიერი სხვა დეტალი;

d) თითოეული მხარე ვალდებულია მეორე მხარეს დროულად შეატყობინოს საკონტაქტო ორგანოსთან და შესაბამის თანამდებობის პირთან დაკავშირებული ნებისმიერი ცვლილებების შესახებ.

თავი 6

ტექნიკური ბარიერები ვაჭრობაში

მუხლი 6.1. მიზანი

წინამდებარე თავის მიზნებია:

a) მხარეებს შორის საქონლით ვაჭრობის ხელშეწყობა და წახალისება იმის უზრუნველყოფით, რომ ტექნიკური რეგულაციები, სტანდარტები და შესაბამისობის შეფასების პროცედურები არ ქმნიან ზედმეტ ტექნიკურ ბარიერს ვაჭრობაში;

b) თანამშრომლობის გაძლიერება, მათ შორის, ინფორმაციის გაცვლა სტანდარტების, ტექნიკური რეგულაციებისა და შესაბამისობის შეფასების პროცედურების მომზადებასთან, მიღებასა და გამოყენებასთან დაკავშირებით;

c) თითოეული მხარის სტანდარტების, ტექნიკური რეგულაციებისა და შესაბამისობის შეფასების პროცედურებთან დაკავშირებით ურთიერთგაგების ხელშეწყობა;

d) ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების შესახებ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (WTO) შეთანხმების პრინციპების იმპლემენტაციის ხელშეწყობა.

მუხლი 6.2. გამოყენების სფერო

წინამდებარე თავი გამოიყენება თითოეული მხარის ყველა იმ ტექნიკურ რეგულაციასთან, სტანდარტთან და შესაბამისობის შეფასების პროცედურასთან მიმართებით, რომელმაც, შესაძლოა, პირდაპირი ან არაპირდაპირი გავლენა იქონიოს მხარეებს შორის საქონლით ვაჭრობაზე. ეს თავი არ ვრცელდება:

a) SPS ზომებზე, რომელიც განსაზღვრულია V თავში; და

b) სამთავრობო ორგანოების მიერ მომზადებულ ტექნიკურ მოთხოვნებზე შესასყიდი პროდუქტისადმი, რომლებიც იწარმოება ან გამოიყენება სახელმწიფო ორგანოებისათვის, როგორც ეს მოცემულია ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების შესახებ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (WTO) შეთანხმების პირველი მუხლის 1.4. პუნქტში.

მუხლი 6.3. განმარტება

წინამდებარე თავის მიზნებისთვის, გამოიყენება ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების შესახებ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (WTO) შეთანხმების 1A დანართის პირველ დანართში (შემდგომში წოდებული, როგორც „ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების შესახებ (TBT) შეთანხმება“) მოცემული განსაზღვრებები.

მუხლი 6.4. TBT შეთანხმების დადასტურება

მხარეები ადასტურებენ თავიანთ უფლებებსა და ვალდებულებებს ერთმანეთის მიმართ TBT შეთანხმების შესაბამისად.

მუხლი 6.5. ტექნიკური რეგულაციები[2]

შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტების არსებობის შემთხვევაში ან როდესაც დასრულების ეტაპზეა მისი შემუშავება, თითოეული მხარე ვალდებულია გამოიყენოს ისინი ან მათი შესაბამისი ნაწილები, როგორც ტექნიკური რეგულაციების საფუძველი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აღნიშნული საერთაშორისო სტანდარტები ან მათი შესაბამისი ნაწილები არ იქნება ეფექტური ან ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად, მაგალითად, არსებითი კლიმატური ან გეოგრაფიული ფაქტორების ან არსებითი ტექნოლოგიური პრობლემების გათვალისწინებით.

მუხლი 6.6. სტანდარტები

1. ამ თავის მიზნებისთვის, სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ISO), საერთაშორისო ელექტროტექნიკური კომისიის (IEC), საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კავშირის (ITU) და კოდექს ალიმენტარიუსის კომისიის (CAC) მიერ გამოცემული სტანდარტები განიხილება საერთაშორისო სტანდარტებად TBT შეთანხმების 2.4. მუხლის შესაბამისად.

2. მხარეები თანხმდებიან, რომ გააძლიერებენ გამოცდილების და ინფორმაციის გაცვლას სტანდარტიზაციის სფეროში.

მუხლი 6.7. შესაბამისობის შეფასების პროცედურები

1. შესაბამისობის შეფასების ეფექტურობის გაზრდისა და ღირებულების ეფექტიანობის უზრუნველყოფის მიზნით, თითოეული მხარე, მოთხოვნის საფუძველზე, ეცდება გააძლიეროს, სათანადოდ აკრედიტირებული ან/და უფლებამოსილი შესაბამისობის შეფასების ორგანოს მიერ მეორე მხარის ტერიტორიაზე განხორციელებული შესაბამისობის შეფასების შედეგების აღიარება, ორმხრივი აღიარების თაობაზე გაფორმებული ცალკე შეთანხმების შესაბამისად.

2. მხარეები თანხმდებიან, რომ, მოთხოვნის საფუძველზე, გაცვლიან ინფორმაციას შესაბამისობის შეფასების პროცედურების შესახებ, მათ შორის გამოცდების, სერტიფიცირებისა და აკრედიტაციის შესახებ.

3. შესაბამისობის შეფასების ფარგლებში თანამშრომლობისას, მხარეები მხედველობაში მიიღებენ შესაბამის საერთაშორისო ან/და რეგიონულ ორგანიზაციაში მათ მონაწილეობას.

მუხლი 6.8. გამჭვირვალობა

1. თითოეული მხარე ადასტურებს, რომ ხელმისაწვდომს გახდის ინიცირებული ახალი ან შეცვლილი ტექნიკური რეგულაციების, სტანდარტებისა და შესაბამისობის შეფასების პროცედურების შესახებ ინფორმაციას TBT შეთანხმების მიერ დადგენილი შესაბამისი მოთხოვნების თანახმად.

2. თითოეული მხარე ვალდებულია, მეორე მხარის წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან 15 სამუშაო დღის განმავლობაში, მომთხოვნი მხარისათვის ხელმისაწვდომი გახადოს მის მიერ შეტყობინებული ტექნიკური რეგულაციებისა და შესაბამისობის შეფასების პროცედურების სრული ტექსტი, არსებულ ენებზე.

3. თითოეული მხარე ვალდებულია მეორე მხარეს შენიშვნების წარსადგენად მისცეს სულ ცოტა 60 დღე, ინიცირებული ტექნიკური რეგულაციების და შესაბამისობის შეფასების პროცედურების WTO-ში შეტყობინების შემდეგ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და

გარემოს წინაშე წარმოშობილი რისკები ან რისკის საფრთხე მოითხოვს გადაუდებელი ქმედებების განხორციელებას.

4. თითოეული მხარე ვალდებულია მხედველობაში მიიღოს მეორე მხარის შენიშვნები და მოთხოვნის შემთხვევაში, სცადოს მათზე პასუხის გაცემა.

მუხლი 6.9. ტექნიკური კონსულტაციები

1. თუ მხარე თვლის, რომ მეორე მხარის ტექნიკური რეგულაციები ან შესაბამისობის შეფასების პროცედურები ზედმეტ დაბრკოლებას უქმნის მის ექსპორტს, მას უფლება აქვს მოითხოვოს ტექნიკური კონსულტაციები. მოთხოვნის მიმღები მხარე ვალდებულია მსგავს მოთხოვნას შესაძლოდ სწრაფად გასცეს პასუხი.

2. მოთხოვნის მიმღები მხარე ჩაერთვება ტექნიკურ კონსულტაციებში ორმხრივად შეთანხმებული პერიოდით, შესაბამისი შედეგის მიღწევის მიზნით. ტექნიკური კონსულტაციები იმართება მხარეებს შორის ორმხრივად შეთანხმებული ფორმით.

მუხლი 6.10. თანამშრომლობა

თავიანთი შესაბამისი სისტემების შესახებ ორმხრივი ცნობადობის გაზრდისა და ორმხრივი ვაჭრობის ხელშეწყობის მიზნით, მხარეები გააძლიერებენ თანამშრომლობას შემდეგ სფეროებში:

a) კომუნიკაცია კომპეტენტურ ორგანოებს შორის;

b) ინფორმაციის გაცვლა ტექნიკური რეგულაციების, სტანდარტების, შესაბამისობის შეფასების პროცედურებისა და კარგი მარეგულირებელი პრაქტიკის შესახებ;

c) მხარეთა შესაბამისობის შეფასების ორგანოებს შორის თანამშრომლობის შეძლებისდაგვარად წახალისება;

d) საერთო ინტერესის მქონე სფეროებში თანამშრომლობა შესაბამისი რეგიონული და საერთაშორისო ორგანოების მუშაობის პროცესში, რაც უკავშირდება სტანდარტებისა და შესაბამისობის შეფასების პროცედურების განვითარებას და გამოყენებას; და

e) მხარეებს შორის შეთანხმებული სხვა სფეროები.

მუხლი 6.11. საკონტაქტო ორგანო

1. თოთოეული მხარე გამოყოფს საკონტაქტო ორგანოს, რომელიც ამ მხარისთვის წარმოადგენს წინამდებარე თავის შესრულების კოორდინაციაზე პასუხისმგებელ ორგანოს. საკონტაქტო ორგანოებია:

a) საქართველოს შემთხვევაში, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; და

b) ჩინეთის შემთხვევაში, ხარისხის ზედამხედველობის, ინსპექციის და კარანტინის გენერალური ადმინისტრაცია ან მისი ან მისი უფლებამონაცვლე.

2. თითოეული მხარე მეორე მხარეს გაუზიარებს მის მიერ გამოყოფილი საკონტაქტო ორგანოს სახელს და აღნიშნულ ორგანიზაციაში შესაბამისი თანამდებობის პირის საკონტაქტო ინფორმაციას, მათ შორის, ტელეფონი, ელფოსტა და ნებისმიერი სხვა დეტალი.

3. თითოეული მხარე ვალდებულია მეორე მხარეს დროულად შეატყობინოს პასუხიმგებელ ორგანოსთან და შესაბამის თანამდებობის პირთან დაკავშირებული ნებისმიერი ცვლილებების შესახებ.

თავი 7

ვაჭრობაში დაცვითი ზომები

ნაწილი A. ვაჭრობაში ზოგადი დაცვითი ზომები

მუხლი 7.1. ანტიდემპინგური და საკომპენსაციო ზომები

1. თუ ამ მუხლის მე-3 პუნქტით სხვაგვარად არაა განსაზღვრული, თითოეული მხარე ინარჩუნებს WTO-ს დამფუძნებელი შეთანხმების დანართი 1A-ის GATT 1994-ის VI მუხლის განხორციელების შესახებ შეთანხმებაში განსაზღვრულ უფლებებს და ვალდებულებებს.

2. თითოეული მხარე ინარჩუნებს WTO-ს დამფუძნებელი შეთანხმების დანართი 1A-ის GATT 1994-ის VI მუხლის განხორციელების შესახებ შეთანხმებაში განსაზღვრულ უფლებებს და ვალდებულებებს.

3. ნორმალური ღირებულების განსაზღვრის მიზნით, როდესაც ხდება დემპინგური მარჟის გაანგარიშება დემპინგური მოკვლევისას, არცერთი მხარე არ გამოიყენებს მეთოდოლოგიას, რომელიც დაფუძნებულია მესამე ქვეყნის ღირებულებაზე.

მუხლი 7.2. გლობალური დაცვითი ზომები

თითოეული მხარე ინარჩუნებს GATT 1994-ის XIX მუხლის და დაცვითი ზომების შესახებ WTO-ს შეთანხმებაში განსაზღვრულ უფლებებს და ვალდებულებებს.

ნაწილი B. დროებითი დაცვითი ზომები

მუხლი 7.3. დროებითი დაცვითი ზომის გამოყენება

1. მხოლოდ გარდამავალ პერიოდში, თუ ამ შეთანხმებაში განსაზღვრული საბაჟო გადასახადის შემცირების ან გაუქმების შედეგად, მხარის მიერ წარმოებული ნებისმიერი პროდუქტის იმპორტი ხორციელდება მეორე მხარის ტერიტორიაზე ისეთი გაზრდილი ოდენობით, აბსოლუტურ გამოსახულებაში ან ადგილობრივ პროდუქციასთან შედარებით, და ისეთი პირობებით, რომელიც არსებითად იწვევს სერიოზულ ზიანს ან ქმნის სერიოზული ზიანის გამოწვევის საფრთხეს იმპორტიორი მხარის ტერიტორიაზე მსგავსი ან უშუალო კონკურენციაში მყოფი პროდუქტების მწარმოებელი ადგილობრივი წარმოებისთვის, იმპორტიორ მხარეს შეუძლია მიიღოს დროებითი დაცვითი ზომები წინამდებარე მუხლის მე-2 პარაგრაფის შესაბამისად.

2. იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე მუხლის პარაგრაფის 1-ის პირობები დაკმაყოფილებულია, მხარეს შეუძლია:

(a) შეაჩეროს ამ შეთანხმებით გათვალისწინებულ პროდუქტზე დაწესებული საბაჟო გადასახადის ნებისმიერი განაკვეთის შემდგომი შემცირება; ან

(b) გაზარდოს პროდუქტზე დაწესებული საბაჟო გადასახადის განაკვეთი იმ დონემდე, რომელიც არ აღემატება:

(i) ამ შეთანხმების ძალაში შესვლის თარიღის წინა დღეს პროდუქტის მიმართ გამოყენებული უპირატესი ხელშეწყობის (MFN) რეჟიმის შესაბამისი გადასახადის განაკვეთს; ან

(ii) დროებითი დაცვითი ზომის გამოყენების დღეს პროდუქტის მიმართ მოქმედი უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის (MFN) განაკვეთს.

მუხლი 7.4. დროებითი დაცვითი ზომების მოქმედების სფერო და ხანგრძლივობა

1. ამ შეთანხმების ძალაში შესვლის დღიდან კონკრეტულ პროდუქტთან დაკავშირებით გარდამავალ პერიოდში დროებითი დაცვითი ზომის გამოყენების ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს სამ წელს.

2. არცერთი მხარე არ იყენებს ან ინარჩუნებს დროებით დაცვით ზომას:

(a) გარდა იმ შემთხვევისა და იმ ვადით, რომელიც საჭიროა სერიოზული ზიანის თავიდან აცილების ან გამოსწორების და ზიანის აღმოფხვრის ხელშესაწყობად; ან

(b) ერთ წელზე მეტი ვადით, გარდა იმ ვადისა, რომელიც შეიძლება გაგრძელდეს ერთ წლამდე, თუ კომპეტენტური ორგანოები ამ თავის B ნაწილით (დროებითი დაცვითი ზომა) დადგენილი პროცედურების შესაბამისად დაადგენენ, რომ დროებითი დაცვითი ზომის გამოყენება კვლავაც აუცილებელია, რათა თავიდან იქნეს აცილებული ან გამოსწორებული სერიოზული ზიანი და ხელი შეეწყოს ზიანის აღმოფხვრას და რომ არსებობს მტკიცებულებები, რომ წარმოება უმჯობესდება.

(c) წინამდებარე პუნქტის „a“ და „b“ ქვეპუნქტებისთვის ზიანის მიყენების გარეშე, მიუხედავად მისი ხანგრძლივობისა, ასეთი ღონისძიება უნდა შეწყდეს გარდამავალი პერიოდის დასრულებისთანავე.

3. ზიანის აღმოფხვრის ხელშეწყობის მიზნით, როდესაც დროებითი დაცვითი ზომის გამოყენების ვადა გრძელდება, მხარე რომელიც აგრძელებს ზომას, ამ გაგრძელების ვადაში მოახდენს ამ ზომის ლიბერალიზაციას.

4. დროებითი დაცვითი ზომები არ გამოიყენება ისეთი პროდუქტის იმპორტისას, რომელზეც ადრე ვრცელდებოდა ამგვარი ზომა.

5. არცერთ მხარეს არ შეუძლია გამოიყენოს დროებითი დაცვითი ზომა იმ პროდუქტის მიმართ, რომლის მიმართაც მხარემ გამოიყენა დაცვითი ზომა GATT 1994-ის XIX მუხლის და WTO-ს დაცვითი ზომების შესახებ შეთანხმების შესაბამისად, და არცერთ მხარეს არ შეუძლია შეინარჩუნოს დროებითი დაცვითი ზომა იმ პროდუქტზე, რომელიც ექვემდებარება მხარის მიერ შემოღებულ ზომას, GATT 1994-ის XIX მუხლის და WTO-ს დაცვითი ზომების შესახებ შეთანხმების შესაბამისად.

6. დროებითი დაცვითი ზომის შეწყვეტისთანავე მხარე, რომელსაც შემოღებული ჰქონდა დროებითი დაცვითი ზომა, ამ ზომის შეწყვეტის დღიდან იყენებს საბაჟო გადასახადის განაკვეთს, რომელიც მოცემულია ამ შეთანხმების 1-A დანართის გრაფიკში, თითქოს დროებითი დაცვითი ზომა არასოდეს ყოფილა გამოყენებული.

მუხლი 7.5. მოკვლევის პროცედურები

დროებითი დაცვითი ზომები გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც დაცვითი ზომების შესახებ WTO-ს შეთანხმებით დადგენილი პროცედურების მიხედვით ჩატარებული მოკვლევა აშკარად აჩვენებს, რომ გაზრდილმა იმპორტმა სერიოზული ზიანი გამოიწვია ან ქმნის სერიოზული ზიანის გამოწვევის საფრთხეს.

მუხლი 7.6. პირობითი ზომები

1. კრიტიკულ ვითარებაში, როდესაც დაგვიანება გამოიწვევს ძნელად გამოსასწორებელ ზიანს, მხარეს შეუძლია გამოიყენოს დროებითი პირობითი დაცვითი ზომა, თუ წინასწარი შეფასებით არსებობს აშკარა მტკიცებულებები იმისა, რომ გაზრდილი იმპორტი ადგილობრივი მრეწველობისთვის სერიოზულ ზიანს ან ზიანის მიყენების საფრთხეს იწვევს.

2. დროებითი ზომის გამოყენებამდე, ზომის შემომღები მხარე აცნობებს მეორე მხარეს ამის თაობაზე და, მეორე მხარის მოთხოვნის საფუძველზე, იწყებს კონსულტაციებს ასეთი ღონისძიების გამოყენების შემდეგ.

3. დროებითი პირობითი დაცვითი ზომის გამოყენების ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 200 დღეს, რომლის დროსაც 7.3, 7.4, და 7.5 მუხლების შესაბამისი მოთხოვნები უნდა დაკმაყოფილდეს. ასეთი დროებითი პირობითი დაცვითი ზომა გამოყენებულ უნდა იქნეს ამ შეთანხმებით პროდუქტზე გათვალისწინებული გადასახადის ნებისმიერი განაკვეთის შემდგომი შემცირების შეჩერების ფორმით, ან საბაჟო გადასახდელების გაზრდის ფორმით, რაც არ უნდა აღემატებოდეს 7.2.3 „b“ მუხლში მითითებულ ყველაზე დაბალ განაკვეთებს. ნებისმიერი დამატებითი საბაჟო გადასახადები ან დაგროვებული გარანტიები დაუყოვნებლივ ანაზღაურდება, თუ 7.5 მუხლში მითითებული მოკვლევის შედეგად დადგინდება, რომ გაზრდილ იმპორტს არ გამოუწვევია, ან არ არსებობდა საფრთხე, გამოეწვია სერიოზული ზიანი ადგილობრივი წარმოებისთვის.

4. დროებითი დაცვის ნებისმიერი ამგვარი პირობითი ზომის გამოყენების პერიოდი ჩაითვლება, როგორც დროებითი დაცვითი ღონისძიების მოქმედების პერიოდის ან ამ პერიოდის ნებისმიერი გაგრძელების ნაწილად.

მუხლი 7.7. შეტყობინება და კონსულტაციები

1. მხარე ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს მეორე მხარეს წერილობით:

(a) დროებითი დაცვის შესახებ დაწყებული მოკვლევის თაობაზე;

(b) დასკვნის მომზადების თაობაზე, რომელიც ეხება გაზრდილი იმპორტით გამოწვეულ სერიოზულ ზიანს ან ასეთი საშიშროების არსებობას;

(c) გადაწყვეტილების მიღების თაობაზე, გამოიყენოს ან გააგრძელოს დროებითი დაცვითი ზომების გამოყენება; და

(d) გადაწყვეტილების მიღების თაობაზე, რომლითაც ხდება დროებითი დაცვითი ზომის ლიბერალიზაცია, 7.4.3 მუხლის შესაბამისად.

2. ამ მუხლის 1-ლი პუნქტის „b“ და „c“ ქვეპუნქტებში მითითებული შეტყობინების გაგზავნისას მხარე, რომელიც იყენებს დროებითი დაცვითი ზომას, აწვდის მეორე მხარეს ყველა შესაბამისი ინფორმაციას, რომელიც უნდა შეიცავდეს მტკიცებულებას გაზრდილი იმპორტით გამოწვეული სერიოზული ზიანის ან მისი გამოწვევის საფრთხის შესახებ, განსახილველი პროდუქტის ზუსტ აღწერას, შემოთავაზებულ დროებით დაცვის ზომას, მისი შემოღების შემოთავაზებულ თარიღს და მის მოსალოდნელ ხანგრძლივობას. დროებითი დაცვითი ზომის გამოყენების ვადის გაგრძელების შემთხვევაში, 7.5 მუხლით გათვალისწინებული განსაზღვრების წერილობითი შედეგები, მათ შორის მტკიცებულება, რომ ზომის გამოყენების გაგრძელება აუცილებელია სერიოზული ზიანის თავიდან აცილების ან გამოსწორების მიზნით და რომ წარმოება უმჯობესდება. ასევე უნდა იქნეს მიწოდებული.

3. მხარემ, რომელიც სთავაზობს დროებითი დაცვის ღონისძიების გამოყენებას ან გაგრძელებას, უნდა უზრუნველყოს ადეკვატური შესაძლებლობა მეორე მხარესთან წინასწარი კონსულტაციებისთვის, რათა მოხდეს, კერძოდ, ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის განხილვა, დროებითი დაცვით ღონისძიებაზე აზრთა გაცვლა და დროებითი დაცვითი ზომის გაგრძელების შემთხვევაში, შეთანხმების მიღწევა კომპენსაციის თაობაზე, როგორც ეს ჩამოყალიბებულია 7.8.1 მუხლში.

4. მხარე ვალდებულია, მეორე მხარეს მიაწოდოს თავისი კომპეტენტური ორგანოების მიერ მომზადებული, საჯაროდ ხელმისაწვდომი ანგარიშის ასლი, WTO-ს დაცვითი ზომების შესახებ შეთანხმების შესაბამისად, როგორც კი ეს შესაძლებელი იქნება.

მუხლი 7.8. კომპენსაცია

1. მხარე, რომელიც აგრძელებს დროებით დაცვით ზომას, მეორე მხარესთან კონსულტაციების გზით, სთავაზობს მეორე მხარეს ორმხრივად შეთანხმებულ კომპენსაციას დათმობების სახით, რომელთაც არსებითად ეკვივალენტური სავაჭრო ზეგავლენა გააჩნიათ ან დამატებითი გადასახადის ეკვივალენტურია, რომელიც მოსალოდნელია ზომის შემოღების შედეგად. ასეთი კონსულტაციები უნდა დაიწყოს დროებითი დაცვითი ზომის გაგრძელებიდან 30 დღის განმავლობაში.

2. თუ მხარეები ვერ მიაღწევენ შეთანხმებას კომპენსაციის თაობაზე კონსულტაციების დაწყებიდან 30 დღის განმავლობაში, მაშინ ექსპორტიორ მხარეს შეუძლია, შეაჩეროს არსებითად ეკვივალენტური დათმობების გამოყენება იმ მხარის ვაჭრობის მიმართ, რომელიც იყენებს დროებით დაცვის ზომას.

3. მხარემ წერილობით უნდა მიაწოდოს მეორე მხარეს ინფორმაცია დათმობის შეჩერებამდე მინიმუმ 30 დღით ადრე, ამ მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად.

4. ზომის გამგრძელებელი მხარის ვალდებულება, უზრუნველყოს კომპენსაცია 1-ლი პუნქტის თანახმად და მეორე მხარის უფლება, შეაჩეროს დათმობები ამ მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, გაუქმდება დროებითი დაცვითი ზომის გამოყენების დასრულების დღეს.

თავი 8

მომსახურებით ვაჭრობა

ნაწილი I: მოქმედების სფერო და ტერმინთა განმარტებები

მუხლი 8.1. მოქმედების სფერო

1. წინამდებარე თავი ეხება ზომებს, რომლებიც მიღებული ან შენარჩუნებულია მხარეების მიერ და გავლენას ახდენს მომსახურებით ვაჭრობაზე.

2. წინამდებარე თავი არ ვრცელდება:

(a) ზომებზე, რომლებიც ეხება საჰაერო მიმოსვლის უფლებებს, მინიჭების ფორმის მიუხედავად ან ზომებზე, რომლებიც ეხება საჰაერო მიმოსვლის უფლებასთან, საჰაერო მიმოსვლის კონტროლისა და საჰაერო ნავიგაციის მომსახურების გამოყენებასთან პირდაპირ დაკავშირებულ მომსახურებას, გარდა იმ ზომებისა, რომლებიც ეხება შემდეგს:

(i) საჰაერო ხომალდის შეკეთებისა და მოვლის მომსახურებას;

(ii) საჰაერო ტრანსპორტის მომსახურების გაყიდვასა და მარკეტინგს;

(iii) კომპიუტერული დაჯავშნის სისტემის (“CRS”) მომსახურებას;

მხარეები მხედველობაში მიიღებენ მრავალმხრივ მოლაპარაკებებს GATS-ის სატრანსპორტო მომსახურების შესახებ დანართის გადახედვასთან დაკავშირებით. ამ მრავალმხრივი მოლაპარაკებების დასრულებისას, მხარეები განახორციელებენ მიმოხილვას, წინამდებარე შეთანხმებაში შესაბამისი ცვლილებების განხილვის მიზნით, იმგვარად, რომ მოხდეს ამ მრავალმხრივი მოლაპარაკებების შედეგების გათვალისწინება.

(b) სახელმწიფო შესყიდვაზე;

(c) მთავრობის უფლებამოსილების განხორციელებისას მხარის ტერიტორიაზე მიწოდებულ მომსახურებაზე;

(d) მხარის მიერ გაცემულ სუბსიდიებზე ან გრანტებზე, მათ შორის, მთავრობის მიერ მხარდაჭერილ სესხებზე, გარანტიებსა და დაზღვევაზე; და

(e) ზომებზე, რომლებიც ეხება მხარის ფიზიკურ პირებს, რომლებიც ცდილობენ მეორე მხარის სამუშაო ბაზარზე შესვლას ან მოქალაქეობასთან, ცხოვრების უფლებასთან ან დასაქმებასთან დაკავშირებულ ზომებზე.

მუხლი 8.2. ტერმინთა განმარტებები

წინამდებარე თავის მიზნებისთვის:

(a) **საჰაერო ხომალდის შეკეთებისა და მოვლის მომსახურება** გულისხმობს ისეთ ღონისძიებებს, რომლებიც ხორციელდება საჰაერო ხომალდზე ან მის ნაწილზე, როცა ეს საჰაერო ხომალდი ამოღებულია მომსახურებიდან და არ შეიცავს ეგრეთ წოდებულ “მიმდინარე ტექნიკურ მომსახურებას”;

(b) **კომერციული წარმომადგენლობა** გულისხმობს ნებისმიერი სახის ბიზნეს ან პროფესიულ დაწესებულებას, მათ შორის, შემდეგის მეშვეობით:

(i) იურიდიული პირის დაფუძნების, შეძენის ან ფუნქციონირების გზით; ან

(ii) მხარის ტერიტორიაზე ფილიალის ან წარმომადგენლობის შექმნა ან ფუნქციონირება მომსახურების მიწოდების მიზნით;

(c) **კომპიუტერული დაჯავშნის სისტემის მომსახურება** გულისხმობს კომპიუტერული სისტემების საშუალებით უზრუნველყოფილ მომსახურებას, რომელიც შეიცავს ინფორმაციას საჰაერო გადამზიდავების განრიგის, ხელმისაწვდომობის, მგზავრობის ღირებულებისა და ტარიფის გამოყენების წესების შესახებ, რომელთა მეშვეობით შესაძლებელია ჯავშნის გაკეთება ან ბილეთების გაცემა;

(d) **კონტროლირებადი** გულისხმობს დირექტორთა უმრავლესობის დასახელების ან პირის ქმედებების სხვაგვარად სამართლებრივად მართვის უფლებამოსილებას;

(e) მხარის **იურიდიული პირი** გულისხმობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მოგების მიღების ან სხვა მიზნებისათვის შექმნილ ან ორგანიზებულ სახელმწიფო ან კერძო იურიდიულ პირს, კორპორაციის, ტრასტის, პარტნიორობის, ერთობლივი საწარმოს, ინდივიდუალური მეწარმის ან ასოციაციის ჩათვლით, რომელიც:

(i) დაფუძნებულია ან სხვაგვარად ორგანიზებულია იმ მხარის კანონმდებლობის შესაბამისად და იმ მხარის ტერიტორიაზე ეწევა არსებით ბიზნეს საქმიანობას; ან

(ii) კომერციული წარმომადგენლობის საშუალებით მომსახურების მიწოდების შემთხვევაში, საკუთრებაშია ან კონტროლდება:

(a) იმ მხარის ფიზიკური პირის მიერ; ან

(b) იმ მხარის იურიდიული პირის მიერ, რომელიც მოცემულია (i) ქვეპუნქტში;

(f) **ზომა** გულისხმობს მხარის მიერ გამოყენებულ ნებისმიერ ზომას კანონის, რეგულაციის, წესის, პროცედურის, გადაწყვეტილების, ადმინისტრაციული ქმედების ან ნებისმიერი სხვა ფორმით, რომელიც მიღებულია:

(i) ცენტრალური, რეგიონული ან ადგილობრივი მთავრობების და ხელისუფლების მიერ; და

(ii) არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ცენტრალური, რეგიონალური ან ადგილობრივი მთავრობების ან ხელისუფლების მიერ დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად;

(g) **მხარეების მიერ მიღებული ზომები, რომლებიც ეხება მომსახურებით ვაჭრობას** მოიცავს ქვემოთ მოცემულ ზომებს:

(i) მომსახურების შესყიდვასთან, გადახდასთან ან გამოყენებასთან მიმართებით;

(ii) მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებით მომსახურების წვდომასა და მის გამოყენებასთან მიმართებით, რომლებიც მოითხოვება მხარეების მიერ, რათა შეთავაზებულ იქნეს საზოგადოებისათვის; და

(iii) მხარის ფიზიკური პირების, მათ შორის კომერციულ წარმომადგენლობასთან მიმართებით, მეორე მხარის ტერიტორიაზე მომსახურების მიწოდების მიზნით;

(h) **მომსახურების მონოპოლისტი მიმწოდებელი** გულისხმობს ნებისმიერ საჯარო ან კერძო პირს, რომელიც მხარის შესაბამის ბაზარზე ავტორიზებულია ან დაფუძნებულია ფორმალურად ან ფაქტობრივად ამ მხარის მიერ, როგორც ამ მომსახურების ერთადერთი მიმწოდებელი;

(i) **მხარის ფიზიკური პირი** გულისხმობს, ფიზიკურ პირს, რომელიც მხარის კანონმდებლობის შესაბამისად,

(i) საქართველოსთვის, არის ფიზიკური პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად არის საქართველოს მოქალაქე; და

(ii) ჩინეთისთვის, არის ფიზიკური პირი, რომელიც ჩინეთის კანონმდებლობის შესაბამისად არის ჩინეთის მოქალაქე;

(j) **საკუთრებაში ქონა** გულისხმობს იურიდული პირის 50 პროცენტზე მეტი სააქციო კაპიტალის ფლობას;

(k) **მხარის პირი** გულისხმობს, მხარის ფიზიკურ ან იურიდიულ პირს;

(l) **საკვალიფიკაციო პროცედურები** გულისხმობს ადმინისტრაციულ პროცედურებს, რომლებიც დაკავშირებულია საკვალიფიკაციო მოთხოვნების ადმინისტრირებასთან;

(m) **საკვალიფიკაციო მოთხოვნები** გულისხმობს არსებით მოთხოვნებს, რომელთა შესრულებაც მოეთხოვება მომსახურების მიმწოდებელს, სერტიფიკატის ან ლიცენზიის მოსაპოვებლად;

(n) **მომსახურების სექტორი** ნიშნავს, სპეციფიკურ ვალდებულებასთან მიმართებით, ამ მომსახურების ერთ ან მეტ ან ყველა ქვესექტორს, როგორც ეს მოცემულია მხარის ცხრილში დანართში 8-E და დანართში 8-F, ან სხვაგვარად ამ მომსახურების სექტორი მთლიანად, მისი ყველა ქვესექტორით;

(o) **საჰაერო ტრანსპორტის მომსახურების გაყიდვა და მარკეტინგი** გულისხმობს შესაძლებლობებს შესაბამისი საჰაერო გადამზიდავისთვის თავისუფლად გაყიდოს და მოახდინოს მისი საჰაერო ტრანსპორტის მომსახურების მარკეტინგი, რაც მოიცავს მარკეტინგის ყველა ასპექტს, როგორიცაა ბაზრის კვლევა, რეკლამირება და დისტრიბუცია, მაგრამ არ მოიცავს საჰაერო ტრანსპორტის მომსახურების ფასის დადგენას და არც შესაბამის პირობებს;

(p) **მომსახურება** მოიცავს ნებისმიერ მომსახურებას ნებისმიერ სექტორში, გარდა მომსახურებისა, რომელიც მიწოდებულია სამთავრობო უფლებამოსილების განსახორციელებლად;

(q) **მომსახურების მომხმარებელი** გულისხმობს ნებისმიერ პირს, რომელიც იღებს ან იყენებს მომსახურებას;

(r) **სამთავრობო უფლებამოსილების განხორციელებისათვის მიწოდებული მომსახურება** გულისხმობს ნებისმიერ მომსახურებას, რომელიც არ არის მიწოდებული არც კომერციულ საწყისებზე და არცერთ ან მეტ მომსახურების მიმწოდებელთან კონკურენციით;

(s) **მხარის მომსახურების მიმწოდებელი გულისხმობს მხარის ნებისმიერ** პირს, რომელიც აწვდის მომსახურებას;[3]

(t) **მომსახურების მიწოდება** მოიცავს მომსახურების წარმოებას, დისტრიბუციას, მარკეტინგს, გაყიდვასა და მიწოდებას;

(u) **მომსახურებით ვაჭრობა** გულისხმობს მომსახურების მიწოდებას:

(i) ერთი მხარის ტერიტორიიდან მეორე მხარის ტერიტორიაზე („ტრანსსასაზღვრო მიწოდების რეჟიმი“);

(ii) ერთი მხარის ტერიტორიაზე მეორე მხარის მომსახურების მომხმარებლისთვის („საზღვარგარეთ მოხმარების რეჟიმი“);

(iii) ერთი მხარის მომსახურების მიმწოდებლის მიერ მეორე მხარის ტერიტორიაზე კომერციული წარმომადგენლობით („კომერციული წარმომადგენლობის რეჟიმი“); და

(iv) ერთი მხარის მომსახურების მიმწოდებლის მიერ მეორე მხარის ტერიტორიაზე პირველი მხარის

ფიზიკური პირის წარმომადგენლობის საშუალებით („ფიზიკურ პირთა წარმომადგენლობის რეჟიმი“ ან „ფიზიკური პირის გადაადგილების რეჟიმი“);

(v) **გადაზიდვის უფლება** გულისხმობს განრიგით და დაუგეგმავ სატრანსპორტო მომსახურების უფლებას მგზავრების, ტვირთისა და ფოსტის ოპერირების ან/და გადაზიდვის მიზნით, მხარის ტერიტორიიდან, მის ტერიტორიაზე, მის ფარგლებში ან ფარგლებს გარეთ ანაზღაურების ან დაქირავების საფუძველზე, რაც მოიცავს, გასაწევი მომსახურების ადგილებს, გზებს, რომელთა ოპერირებაც უნდა მოხდეს, გასატარებელი ტარიფის ტიპებს, შესაძლებლობებს, რომელიც უნდა იყოს უზრუნველყოფილი, დასაკისრებელ ტარიფებსა და მათ პირობებს, ასევე ავიახაზების დანიშვნის კრიტერიუმებს, მათ შორის, ისეთებს, როგორებიცაა, ნომერი, საკუთრება და კონტროლი.

ნაწილი II. ზოგადი ვალდებულებები და დისციპლინები

მუხლი 8.3. სპეციფიკური ვალდებულებების ცხრილის განსაზღვრა

1. თუ მხარე იღებს ვალდებულებებს ამ ნაწილის შესაბამისად, ეს ვალდებულება აღებული მე-8.4, მე-8.5 და მე-8.7 მუხლების შესაბამისად, ასახული უნდა იყოს ცხრილში, რომელსაც ეწოდება მისი სპეციფიკური ვალდებულებების ცხრილი. რაც შეეხება სექტორებს, სადაც ამგვარი ვალდებულებები არის აღებული, მისი სპეციფიკური ვალდებულებების ცხრილი აკონკრეტებს შემდეგს:

(a) ბაზარზე დაშვების წესებს, შეზღუდვებსა და პირობებს;

(b) ეროვნული რეჟიმის შესახებ პირობებსა და კვალიფიკაციებს;

(c) დამატებით ვალდებულებებთან დაკავშირებულ პირობებს; და

(d) საჭიროების შემთხვევაში, ასეთი ვალდებულებების შესრულების ვადებს.

2. 8.4 და 8.5 მუხლებთან შეუსაბამო ზომები აღინიშნება 8.5 მუხლთან დაკავშირებულ სვეტში. ამ შემთხვევაში, აღნიშვნა ჩაითვლება ასევე 8.4 მუხლის პირობის ან კვალიფიკაციის გათვალისწინებად.

3. სპეციფიკური ვალდებულებების ცხრილები თან ერთვის ამ შეთანხმებას დანართი 8-E-ის და დანართი 8-F-ის სახით და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 8.4. ეროვნული რეჟიმი

1. თუ მხარე იღებს ვალდებულებებს ამ ნაწილის შესაბამისად, იმ სექტორებში, რომლებიც აღნიშნულია მის სპეციფიკური ვალდებულებების ცხრილში დანართში 8-E და დანართში 8-F და ექვემდებარება მასში მოცემულ ნებისმიერ პირობებსა და კვალიფიკაციებს, ამ მხარემ უნდა მიანიჭოს მეორე მხარის მომსახურებას და მომსახურების მიმწოდებლებს, მომსახურების მიწოდებაზე მოქმედ ყველა ზომასთან მიმართებით, არანაკლებ ხელსაყრელი რეჟიმი, ვიდრე ის ანიჭებს საკუთარ მსგავს მომსახურებას ან მომსახურების მომწოდებლებს.[4]

2. მხარე შეიძლება აკმაყოფილებდეს პირველი პუნქტის მოთხოვნებს, მეორე მხარის მომსახურებაზე ან მომსახურების მიმწოდებლებზე ფორმალურად იდენტური რეჟიმის ან ფორმალურად განსხვავებული რეჟიმის გავრცელებით, რასაც ის უწესებს საკუთარ მსგავს მომსახურებას ან მომსახურების მომწოდებლებს.

3. ფორმალურად იდენტური ან ფორმალურად განსხვავებული რეჟიმი მხარის მიერ ითვლება ნაკლებად ხელსაყრელად, თუ იგი ცვლის კონკურენციის პირობებს ამ მხარის მომსახურების ან მომსახურების მიმწოდებლების სასარგებლოდ მეორე მხარის მსგავს მომსახურებასთან ან მომსახურების მიმწოდებლებთან შედარებით.

მუხლი 8.5. ბაზარზე დაშვება

1. 8.2(u) მუხლში მითითებული მიწოდების რეჟიმების საშუალებით ბაზარზე დაშვებასთან მიმართებაში, თითოეულმა მხარემ მეორე მხარის მომსახურებას და მომსახურების მიმწოდებლებს

უნდა მიანიჭოს იმაზე არანაკლებ ხელსაყრელი რეჟიმი, ვიდრე ეს არის განსაზღვრული ამ შეთანხმების დანართში 8-E და დანართში 8-F არსებული სპეციფიკური ვალდებულებების ცხრილში შეთანხმებული და დაწესებული ვადების, შეზღუდვებისა და პირობების შესაბამისად.[5]

2. იმ სექტორებში, სადაც მხარეები იღებენ ბაზარზე დაშვების ვალდებულებებს, მხარეებმა, არც რეგიონული დაყოფის საფუძველზე და არც ქვეყნის მთელს ტერიტორიაზე, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ეს არის მოცემული წინამდებარე შეთანხმების დანართის 8-E და დანართის 8-F სპეციფიკური ვალდებულებების ცხრილებში, არ უნდა განაგრძონ ან წამოიწყონ შემდეგი ზომების გატარება:

(a) შეზღუდვები მომსახურების მიმწოდებლების რაოდენობაზე, რაოდენობრივი კვოტების, მონოპოლიების, მომსახურების ექსკლუზიური მიმწოდებლების ან ეკონომიკური საჭიროებების ტესტის მოთხოვნების ფორმით;

(b) შეზღუდვები მომსახურებასთან დაკავშირებული გარიგებების ან აქტივების მთლიან ღირებულებაზე, რაოდენობრივი კვოტების ან ეკონომიკური საჭიროებების ტესტის მოთხოვნის ფორმით;

(c) შეზღუდვები მომსახურების ოპერაციების მთლიან რაოდენობაზე ან მომსახურების შედეგების მთლიან მოცულობაზე, გამოსახულს დადგენილ რაოდენობრივ ერთეულებში კვოტების ან ეკონომიკური საჭიროებების ტესტის მოთხოვნის ფორმით[6];

(d) შეზღუდვები ფიზიკური პირების მთლიან რაოდენობაზე, რომლებიც შეიძლება იყვნენ დასაქმებული კონკრეტული მომსახურების სექტორში, ან მომსახურების მიმწოდებელმა შეიძლება დაასაქმოს, რომლებიც აუცილებელია და პირდაპირ დაკავშირებულია კონკრეტული მომსახურების მიწოდებასთან, რაოდენობრივი კვოტებში ან ეკონომიკური საჭიროებების ტესტის მოთხოვნის ფორმით;

(e) ზომები, რომლებიც ზღუდავს ან მოითხოვს კონკრეტული ტიპის იურიდიულ პირებს ან პარტნიორობებს, რომელთა მეშვეობითაც მომსახურების მიმწოდებელს შეუძლია მომსახურების მიწოდება; და

(f) შეზღუდვები უცხოური კაპიტალის მონაწილეობაზე, მაქსიმალური პროცენტული რაოდენობის შეზღუდვის სახით უცხოურ აქციონერობაზე ან ინდივიდუალურ ან ერთობლივ უცხოურ ინვესტიციებზე.

მუხლი 8.6. უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი

1. GATS-ის VII მუხლის შესაბამისად მიღებული ზომების შეუზღუდავად და იმის გამოკლებით, როგორც ეს მოცემულია უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმიდან გამონაკლისების ჩამონათვალში, რომელსაც მოიცავს დანართი 8-E და დანართი 8-F, თითოეული მხარე მეორე მხარის მომსახურებასა და მომსახურების მიმწოდებლებზე დაუყოვნებლივ და უპირობოდ ავრცელებს, ყველა ზომასთან მიმართებაში, რომელიც ვრცელდება მომსახურების მიწოდებაზე, არანაკლებ ხელსაყრელ რეჟიმს ვიდრე ნებისმიერი არაწევრი მხარის მსგავს მომსახურებაზე და მომსახურების მიმწოდებლებზე[7].

2. რეჟიმი, რომელსაც აწესებს სხვა არსებული ან მომავალი შეთანხმებები, რომლებსაც დებს მხარე და აცნობებს GATS-ის V მულის ან V *bis* მულის შესაბამისად, არ წარმოადგენს პირველი პუნქტის საგანს.

3. თუ მხარე დებს ან შეაქვს ცვლილებები ისეთი ტიპის შეთანხმებაში, რომელიც მითითებულია მეორე პუნქტში, მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში იგი შეეცდება გაავრცელოს მასზე არანაკლებ ხელსაყრელი პირობები, რომელიც გათვალისწინებულია იმ შეთანხმებით. მხარემ მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში უნდა უზრუნველყოს მეორე მხარისათვის ადეკვატური შესაძლებლობა, რათა მოილაპარაკონ იმ შეთანხმებით გათვალისწინებულ რეჟიმზე არანაკლებ ხელსაყრელი რეჟიმის მოცემულ შეთანხმებაში გათვალისწინების თაობაზე.

4. ამ თავის დებულებები არ უნდა განიმარტოს ისე, რომ მხარეები შეიზღუდონ უპირატესობა მიანიჭონ მეზობელ ქვეყნებს, რათა სასაზღვრო ზონის ფარგლებში მოხდეს ადგილობრივი წარმოებისა და მოხმარების მომსახურების გაცვლის გამარტივება.

მუხლი 8.7. დამატებითი ვალდებულებები

მხარემ შეიძლება ასევე მოილაპარაკოს მომსახურებით ვაჭრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებზე, რომელიც არ ექვემდებარება 8.4 და 8.5 მუხლებით გათვალისწინებულ ვალდებულებების ცხრილში გაწერას, მათ შორის, კვალიფიკაციების, სტანდარტების ან ლიცენზირების საკითხებთან დაკავშირებით. ამგვარი ვალდებულებები განსაზღვრული უნდა იქნეს მხარის სპეციფიკური ვალდებულებების ცხრილებში დანართში 8-E და დანართში 8-F.

ნაწილი III. სხვა დებულებები

მუხლი 8.8. ადგილობრივი რეგულაციები

1. იმ სექტორებში, სადაც ნაკისრია სპეციფიკური ვალდებულებები, თითოეული მხარე უზრუნველყოფს, რომ ზოგადი გამოყენების ყველა ზომა, რომელიც ეხება მომსახურებით ვაჭრობას, მიიღება დასაბუთებულად, ობიექტურად და მიუკერძოებლად.

2. (a) თითოეულმა მხარემ უნდა გამოიყენოს ან შექმნას სასამართლო, საარბიტრაჟო ან ადმინისტრაციული ორგანოები ან პროცედურები, რომლებიც დაზარალებული მომსახურების მიმწოდებლების მოთხოვნის საფუძველზე, განახორციელებენ მომსახურებით ვაჭრობაზე გავლენის მქონე ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების დაუყოვნებლივ განხილვას და იქ, სადაც გამართლებულია, გაითვალისწინებენ მათი გამოსწორებისათვის საჭირო შესაბამისი ღონისძიებების გატარებას. იმ შემთხვევაში, როდესაც ასეთი პროცედურები დამოუკიდებელი არ არის იმ უფლებამოსილი ორგანოსაგან, რომელიც იღებს ასეთ ადმინისტრაციულ გადაწყვეტილებებს, მხარე უზრუნველყოფს, რომ ეს პროცედურები, პრაქტიკულად, ითვალისწინებდეს ობიექტურ და მიუკერძოებელ განხილვას.

(b) (a) ქვეპუნქტის დებულება არ უნდა განიმარტოს ისე, რომ მოითხოვოს მხარისგან ისეთი ორგანოების ან პროცედურების შექმნა, რომლებიც შეუსაბამო იქნება მის კონსტიტუციურ მოწყობასთან ან სამართლებრივ სისტემასთან.

3. თუ იმ მომსახურების მიწოდებისთვის, რომელზეც ამ შეთანხმების შესაბამისად სპეციფიკური ვალდებულება იქნა აღებული, მოითხოვება ავტორიზაცია, თითოეული მხარის კომპეტენტურმა ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ შემდეგი:

(a) არასრული განაცხადის შემთხვევაში, განმცხადებლის მოთხოვნის საფუძველზე, განსაზღვრონ ყველა დამატებითი ინფორმაცია, რომელიც საჭიროა განაცხადის შესავსებად და უზრუნველყონ ხარვეზების აღმოფხვრის შესაძლებლობა გონივრულ ვადებში;

(b) განმცხადებლის მოთხოვნით, გაუმართლებელი დაგვიანების გარეშე, მიაწოდონ ინფორმაცია განაცხადის სტატუსის შესახებ; და

(c) თუ განაცხადი შეჩერებული ან უარყოფილია, რაც შეიძლება დეტალურად მიაწოდონ განმცხადებელს ინფორმაცია წერილობით ფორმით და დაგვიანების გარეშე, ამგვარი მოქმედების მიზეზების შესახებ. განმცხადებელს ექნება შესაძლებლობა მისი დისკრეციის ფარგლებში ხელახლა შეიტანოს განაცხადი.

4. იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს, რომ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან და პროცედურებთან, ტექნიკურ სტანდარტებთან და სალიცენზიო მოთხოვნებთან დაკავშირებული ზომები არ ქმნიან მომსახურებით ვაჭრობის არასაჭირო დაბრკოლებებს, მხარეები ერთობლივად განიხილავენ მოლაპარაკებების შედეგებს ამ ზომების დაწესების შესახებ GATS-ის VI მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, მათი ამ შეთანხმებაში შეტანის მიზნით. მხარეები ითვალისწინებენ, რომ ამგვარი დისციპლინები მიზნად ისახავს უზრუნველყონ, რომ ეს მოთხოვნები, *მათ შორის:*

(a) ეფუძნება ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის კრიტერიუმებს, როგორიცაა მომსახურების მიწოდების კომპეტენცია და უნარი;

(b) არ არის იმაზე მეტად დამამძიმებელი, ვიდრე აუცილებელიამომსახურების ხარისხის

უზრუნველსაყოფად; და

(c) სალიცენზიო პროცედურების შემთხვევაში, ეს პროცედურები თავად არ წარმოადგენს შეზღუდვებს მომსახურების მიწოდებაზე.

5. (a) სექტორებში, რომლებშიც მხარეს ნაკისრი აქვს სპეციფიკური ვალდებულებები, მე-4 პუნქტში მითითებული დისციპლინების შეთანხმებაში გათვალისწინების მიმდინარეობისას, მხარემ არ უნდა გამოიყენოს სალიცენზიო და საკვალიფიკაციო მოთხოვნები და ტექნიკური სტანდარტები, რომლებიც აუქმებენ ან აუარესებენ ამ შეთანხმების ვალდებულებებს ისეთი გზით, რომელიც:

(i) არ არის 4(a), (b) ან (c) ქვეპუნქტებში მოცემულ კრიტერიუმებთან შესაბამისობაში; და

(ii) არ შეიძლება ყოფილიყო გონივრული მოლოდინი მხარისაგან, იმ დროს როდესაც სპეციფიკური ვალდებულებები იმ სექტორებში იქნა აღებული.

(b) იმის დადგენისას, არის თუ არა მხარე მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ ვალდებულებებთან შესაბამისობაში, აუცილებელია ამ მხარის მიერ გამოყენებადი შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციების საერთაშორისო სტანდარტების მხედველობაში მიღება.[8]

6. სექტორებში, სადაც ნაკისრია პროფესიულ მომსახურებასთან დაკავშირებული ვალდებულებები, თითოეული მხარე უზრუნველყოფს ადეკვატურ პროცედურებს მეორე მხარის პროფესიონალთა კომპეტენციის დასადგენად.

7. მხარე თავის კანონმდებლობისა და რეგულაციების შესაბამისად, აძლევს ნებას მეორე მხარის მომსახურების მიმწოდებლებს, გამოიყენონ საწარმოს სახელი, რომლითაც ვაჭრობენ მეორე მხარის ტერიტორიაზე.

8. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საქართველო რთავს ნებას ჩინეთის მოქალაქეებს მიიღონ მონაწილეობა საქართველოს აუდიტორების საკვალიფიკაციო გამოცდებში და ჩინეთის იმ მოქალაქეებს, რომლებმაც გაიარეს ამგვარი გამოცდა, უფლებას აძლევს დარეგისტრირდნენ/მიიღონ ლიცენზია და განახორციელონ საქმიანობა საქართველოში იმავე პირობებით, რაც გათვალისწინებულია ქართველი მომსახურების მომწოდებლებისათვის.

მუხლი 8.9. აღიარება

1. მომსახურების მომწოდებელთა ავტორიზაციისთვის, ლიცენზირებისთვის ან სერტიფიცირებისთვის სტანდარტებისა და კრიტერიუმების მთლიანად ან ნაწილობრივ შესრულების მიზნით, აგრეთვე მე-4 პუნქტის მოთხოვნათა გათვალისწინებით, მხარემ შეიძლება აღიაროს ან წაახალისოს მისი შესაბამისი კომპეტენტური ორგანოები, რომ აღიარონ მეორე მხარის ტერიტორიაზე მიღებული განათლება ან გამოცდილება, შესრულებული მოთხოვნები, გაცემული ლიცენზიები ან სერტიფიკატები. ამგვარი აღიარება, რომელიც შეიძლება მიღწეულ იქნეს ჰარმონიზაციით ან სხვაგვარად, შეიძლება ეფუძნებოდეს მხარეთა ან მათ კომპეტენტურ ორგანოთა შორის შესაბამის ხელშეკრულებას ან შეთანხმებას, ან შეიძლება მინიჭებულ იქნეს დამოუკიდებლად.

2. თუ მხარე დამოუკიდებლად ან ხელშეკრულების ან შეთანხმების საფუძველზე, აღიარებს არაწევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე მიღებულ განათლებას ან გამოცდილებას, შესრულებულ მოთხოვნებს, ლიცენზიებს ან სერტიფიკატებს, არაფერი 8.6 მუხლში არ უნდა განიმარტოს ისე, რომ მხარეს მოეთხოვოს გაავრცელოს ეს აღიარება მეორე მხარის ტერიტორიაზე მიღებულ განათლებაზე ან გამოცდილებაზე, შესრულებულ მოთხოვნებზე, გაცემულ ლიცენზიებზე ან სერტიფიკატებზე.

3. მხარემ, რომელიც არის მე-2 პუნქტში მითითებული ხელშეკრულების ან შეთანხმების მხარე, მიუხედავად იმისა, არსებულია ეს შეთანხმება თუ მომავალი, უნდა მისცეს ადეკვატური შესაძლებლობა მეორე მხარეს, მოთხოვნის საფუძველზე, აწარმოოს მოლაპარაკებები ამგვარ ხელშეკრულებასთან ან შეთანხმებასთან მიერთების მიზნით, ან მოილაპარაკოს ანალოგიური საკითხები მასთან. თუ მხარე დამოუკიდებლად ახორციელებს აღიარებას, მან უნდა მისცეს ადეკვატური შესაძლებლობა მეორე მხარეს, რათა მოახდინოს იმის დემონსტრირება, რომ მეორე მხარის ტერიტორიაზე მიღებული განათლება ან გამოცდილება, შესრულებული მოთხოვნები, ლიცენზიები ან

სერტიფიკატები ასევე აღიარებული იქნეს.

4. მხარემ არ უნდა მოახდინოს იმგვარი აღიარება, რომელიც შექმნის მეორე მხარესა და არაწევრ მხარეთა შორის დისკრიმინაციის საშუალებებს მომსახურების მიმწოდებელთან ავტორიზაციის, ლიცენზირების ან სერტიფიკაციის სტანდარტებისა და კრიტერიუმების გამოყენებაში, ან შენიღბულ შეზღუდვებს მომსახურებით ვაჭრობაზე.

მუხლი 8.10. კვალიფიკაციების აღიარების შესახებ თანამშრომლობა

1. მხარეები თანხმდებიან, სადაც შესაძლებელია წაახალისონ შესაბამისი ორგანოები მათ ტერიტორიებზე, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან პროფესიული და პროფესიულ-ტექნიკური კვალიფიკაციის გაცემასა და აღიარებაზე, რათა გააძლიერონ თანამშრომლობა და გამოიკვლიონ შესაძლებლობები შესაბამისი პროფესიული და პროფესიულ-ტექნიკური კვალიფიკაციების ორმხრივი აღიარებისთვის.

2. მხარეებმა, საჭიროების შესაბამისად, შეიძლება განიხილონ შესაბამისი ორმხრივი, პლურილატერალური და მრავალმხრივი შეთანხმებები, რომლებიც დაკავშირებულია პროფესიულ და პროფესიულ-ტექნიკურ მომსახურებასთან.

მუხლი 8.11. ანგარიშსწორება და გადარიცხვები

1. გარდა მე-16 თავის (ზოგადი დებულებები და გამონაკლისები) 16.6 მუხლში (საგადასახდელო ბალანსის დაცვის ზომები) გათვალისწინებული გარემოებებისა, მხარემ არ უნდა გამოიყენოს შეზღუდვები საერთაშორისო გადარიცხვებსა და ანგარიშსწორებაზე მიმდინარე ტრანზაქციებისთვის, რომლებიც დაკავშირებულია სპეციფიკურ ვალდებულებებთან.

2. არაფერმა ამ თავში გავლენა არ უნდა იქონიოს მხარეთა, როგორც საერთაშორისო სავალუტო ფონდის წევრთა, საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეთანხმების მუხლებით განსაზღვრულ უფლებებსა და ვალდებულებებზე, მათ შორის, ვალუტის გაცვლითი მოქმედებების გამოყენება, რომელიც შესაბამისობაშია შეთანხმების მუხლებთან, თუ მხარე არ აწესებს შეზღუდვებს ნებისმიერი სახის კაპიტალის ტრანზაქციებზე ამგვარ ტრანზაქციებთან დაკავშირებით მისი კონკრეტული ვალდებულებების საწინააღმდეგოდ, გარდა მე-16 თავის (ზოგადი დებულებები და გამონაკლისები) 16.6 მუხლის (საგადასახდელო ბალანსის დაცვის ზომები) შესაბამისად, ან საერთაშორისო სავალუტო ფონდის მოთხოვნის საფუძველზე.

მუხლი 8.12. უარი სარგებელზე

წინასწარი შეტყობინებისა და კონსულტაციების საფუძველზე, მხარემ შეიძლება უარი განუცხადოს მეორე მხარის მომსახურების მიმწოდებელს ამ თავში გათვალისწინებულ სარგებლის მინიჭებაზე, თუ მომსახურების მიმწოდებელი იურიდიული პირი:

(a) არის არაწევრი ან უარის მთქმელი მხარის პირების მფლობელობაში ან კონტროლდება მათ მიერ; და

(b) არ აქვს არსებითი ბიზნეს ოპერაციები მეორე მხარის ტერიტორიაზე.

მუხლი 8.13. გამჭვირვალობა

1. თითოეულმა მხარემ უნდა უზრუნველყოს:

(a) მარეგულირებელი გადაწყვეტილებების, მათ შორის, ამგვარი გადაწყვეტილებების საფუძვლების დაუყოვნებლივ გამოქვეყნება ან ყველა დაინტერესებული პირისთვის სხვაგვარად ხელმისაწვდომობა; და

(b) საჯარო ქსელთან ან მომსახურებასთან დაკავშირებული მისი ზომების, მათ შორის, ნებართვებისათვის დაწესებული მოთხოვნების, ასეთის არსებობის შემთხვევაში, საჯაროდ ხელმისაწვდომობა.

2. როდესაც მოითხოვება ლიცენზია, თითოეული მხარე უზრუნველყოფს საჯარო ქსელების ან მომსახურების მიმწოდებლების ლიცენზირებასთან დაკავშირებული ყველა ზომის საჯაროდ ხელმისაწვდომობას, რომელიც მოიცავს:

(a) გარემოებებს, რომლის ფარგლებშიც მოითხოვება ლიცენზია;

(b) ყველა ხელმისაწვდომ სალიცენზიო პროცედურას;

(c) დროის მონაკვეთს, რომელიც, როგორც წესი, საჭიროა სალიცენზიო განაცხადზე გადაწყვეტილების მისაღებად;

(d) განაცხადის შეტანის ან ლიცენზიის მიღების ღირებულებას ან მოსაკრებელს; და

(e) ლიცენზიის მოქმედების ვადას.

3. თითოეული მხარე საკუთარი კანონმდებლობისა და რეგულაციების შესაბამისად უზრუნველყოფს, რომ მოთხოვნის საფუძველზე განმცხადებელმა მიიღოს ინფორმაცია ლიცენზიასთან დაკავშირებით უარის თქმის, გაუქმების, განახლებაზე უარის ან სალიცენზიო პირობების დამატების ან შეცვლის მიზეზების თაობაზე. თითოეული მხარე შეძლებისდაგვარად უნდა შეეცადოს მიაწოდოს ამგვარი ინფორმაცია წერილობითი ფორმით.

მუხლი 8.14. საკონტაქტო პირები

თითოეული მხარე წარადგენს ერთ ან მეტ საკონტაქტო პირს, რათა გაადვილდეს მხარეთა შორის კომუნიკაცია ამ თავში განსაზღვრულ ნებისმიერ საკითხზე და ასევე მეორე მხარეს წარუდგენს ამ საკონტაქტო პირის დეტალებს. მხარეებმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობონ ერთმანეთს თავიანთ საკონტაქტო პირების შესახებ დეტალებში ნებისმიერი ცვლილების თაობაზე.

მუხლი 8.15. ცხრილების მოდიფიცირება

1. ერთ-ერთ მხარეს (ამ მუხლში მითითებულია, როგორც „შემცვლელი მხარე“) შეუძლია შეცვალოს ან ამოიღოს ნებისმიერი ვალდებულება მისი ცხრილიდან დანართში 8-E და დანართში 8-F, ნებისმიერ დროს, ვალდებულების ძალაში შესვლიდან 3 წლის შემდეგ, იმ შემთხვევაში, თუ:

(a) იგი აცნობებს მეორე მხარეს (ამ მუხლში მითითებულია, როგორც „დაზარალებული მხარე“) მისი განზრახვის შესახებ, რომ შეცვალოს ან გააუქმოს ვალდებულება, სულ მცირე სამი თვით ადრე ამგვარი ცვლილების ან გაუქმების განხორციელებისთვის განსაზღვრულ დღემდე; და

(b) მოდიფიკაციის შესახებ მხარის მიერ შეტყობინებისას, მხარეებმა უნდა გამართონ კონსულტაციები და შეეცადონ შეთანხმების მიღწევას შესაფერის საკომპენსაციო ზომებზე.

2. საკომპენსაციო ზომების მიღწევისას, მხარეები ისწრაფვიან შეინარჩუნონ ორმხრივად სასარგებლო ვალდებულებების ის დონე, რომელიც არანაკლებ ხელსაყრელია ვაჭრობისთვის, ვიდრე ამ მოლაპარაკებამდე იყო განსაზღვრული ცხრილებით.

3. თუ შემცვლელ და დაზარალებულ მხარეს შორის სამი თვის განმავლობაში, 1(b) პუნქტის შესაბამისად ვერ მოხდა შეთანხმების მიღწევა, დაზარალებულ მხარეს შეუძლია ამ საკითხზე, მე-15 თავში (დავების გადაწყვეტა) განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად მიმართოს საარბიტრაჟო სასამართლოს ან თუ შეთანხმებულია მხარეთა შორის, მიმართოს ალტერნატიულ საარბიტრაჟო პროცედურას.

4. შემცვლელ მხარეს არ შეუძლია შეცვალოს ან გააუქმოს მისი ვალდებულება, სანამ არ განსაზღვრავს საკომპენსაციო ზომებს მე-3 პუნქტის მიხედვით საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად.

5. თუ შემცვლელი მხარე განახორციელებს მის მიერ შეთავაზებულ ცვლილებას ან გაუქმებას და არ იქნება შესაბამისობაში საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილებასთან, დაზარალებულ მხარეს

შეუძლია შეცვალოს ან გააუქმოს არსებითად ეკვივალენტური სარგებელი სააარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად.

მუხლი 8.16. მონოპოლიები და მომსახურების ექსკლუზიური მიმწოდებლები

1. თითოეულმა მხარემ უნდა უზრუნველყოს, რომ მის ტერიტორიაზე მონოპოლისტი მომსახურების მიმწოდებლები, მონოპოლიური მომსახურების მიწოდებაში შესაბამის ბაზარზე, არ მოქმედებდნენ დანართში 8-E და დანართში 8-F გათვალისწინებული მხარის ვალდებულებების შეუსაბამოდ.

2. თუ მხარის მონოპოლისტი მიმწოდებელი კონკურენციაში შედის, პირდაპირ ან აფილირებული კომპანიის მეშვეობით, მომსახურების მიწოდებაში მისი მონოპოლიზირებული უფლების ფარგლებს მიღმა და რომელიც წარმოადგენს მხარის სპეციფიკური ვალდებულების საგანს მისი დანართით 8-E და დანართით 8-F განსაზღვრული ცხრილის შესაბამისად, მხარემ უნდა უზრუნველყოს, რომ ამგვარი მომწოდებელი ბოროტად არ გამოიყენებს მის მონოპოლიურ მდგომარეობას, რომ იმოქმედოს მის ტერიტორიაზე ამგვარი ვალდებულებების შეუსაბამოდ.

3. თუ მხარეს აქვს საფუძველი მიაჩნდეს, რომ მეორე მხარის მონოპოლისტი მომსახურების მიმწოდებელი მოქმედებს პირველ ან მეორე პუნქტებთან შეუსაბამოდ, იმ მხარემ შეიძლება მოთხოვოს მეორე მხარეს, რომელიც აფუძნებს ან უფლებამოსილებას ანიჭებს ამ მიმწოდებელს, წარმოადგინოს კონკრეტული ინფორმაცია შესაბამისი ოპერაციების შესახებ.

4. თუ ამ შეთანხმების ძალაში შესვლის თარიღის შემდეგ, მხარე გასცემს მონოპოლიის უფლებას იმ მომსახურების მიწოდებაზე, რომელზეც ვრცელდება დანართში 8-E და დანართში 8-F მოცემული ცხრილით განსაზღვრული სპეციფიკური ვალდებულებები, შესაბამისი მხარე აცნობებს მეორე მხარეს გათვალისწინებული მონოპოლიის უფლების გაცემამდე სულ მცირე სამი თვით ადრე და 8.16 მუხლის 1(b) და მე-2 პუნქტების გათვალისწინებით.

5. ეს მუხლი ასევე ვრცელდება ექსკლუზიური მომსახურების მიმწოდებლებზე, თუ მხარე ფორმალურად ან ფაქტობრივად,

(a) ანიჭებს უფლებამოსილებას ან ქმნის მომსახურების მიმწოდებლების მცირე რაოდენობას; და

(b) არსებითად ხელს უშლის ამ მიმწოდებლებს შორის კონკურენციას მის ტერიტორიაზე.

მუხლი 8.17. გადახედვა

1. მხარეებმა ამ შეთანხმების ძალაში შესვლის თარიღიდან ორი წლის განმავლობაში და ყოველ მომდევნო ორი წელიწადში, ან სხვაგვარი შეთანხმებით, უნდა გამართონ კონსულტაციები, ამ თავის განხორციელების საკითხის და ასევე მომსახურებით ვაჭრობის შესახებ ორმხრივი ინტერესის სხვა საკითხების განსახილველად, მომსახურებით ვაჭრობის შემდგომი ლიბერალიზაციის მიზნით ორმხრივად ხელსაყრელ საფუძვლებზე.

2. თუ მხარე ცალმხრივად ახდენს იმ ზომების ლიბერალიზაციას, რომლებიც ეხება მეორე მხარის მომსახურების მიმწოდებლის ან მიმწოდებლების ბაზარზე დაშვების საკითხს, მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს კონსულტაციები ამ ზომების განხილვის მიზნით. ამ კონსულტაციების შესაბამისად, თუ მხარეები შეთანხმდებიან ამგვარი ლიბერალიზებული ზომების, როგორც ახალი ვალდებულების ამ შეთანხმებაში გათვალისწინებაზე, დანართში 8-E და დანართში 8-F გათვალისწინებულ ცხრილში შევა შესაბამისი ცვლილება.

დანართი 8-A

ფინანსური მომსახურება

მუხლი 1. მოქმედების სფერო

1. წინამდებარე დანართი ითვალისწინებს მე-8 თავზე (მომსახურებით ვაჭრობა) დამატებით ზომებს ფინანსურ მომსახურებასთან დაკავშირებით.

2. წინამდებარე დანართი ეხება ზომებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსური მომსახურების მიწოდებაზე.

წინამდებარე დანართში მითითება ფინანსური მომსახურების მიწოდებაზე ნიშნავს ფინანსური მომსახურების მიწოდებას:

(a) ერთ-ერთი მხარის ტერიტორიიდან მეორე მხარის ტერიტორიაზე;

(b) ერთ-ერთი მხარის ტერიტორიაზე მეორე მხარის მომსახურების მომხმარებელთათვის;

(c) ერთ-ერთი მხარის მომსახურების მიმწოდებლის მიერ მეორე მხარის ტერიტორიაზე კომერციული წარმომადგენლობის მეშვეობით; ან

(d) ერთ-ერთი მხარის მომსახურების მიმწოდებლის მიერ მეორე მხარის ტერიტორიაზე ფიზიკური პირების წარმომადგენლობის მეშვეობით.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტებები

1. წინამდებარე დანართის მიზნებისათვის, „სამთავრობო უფლებამოსილების განხორციელებისას მიწოდებული მომსახურება“, როგორც ეს მითითებულია წინამდებარე შეთანხმების მე-8 თავში (მომსახურებით ვაჭრობა), გულისხმობს შემდეგს:

(a) ცენტრალური ბანკის, ფულად-საკრედიტო ორგანოს ან ნებისმიერი სხვა საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ, სავალუტო ან ვალუტის გაცვლის კურსის პოლიტიკის შესაბამისად განხორციელებული საქმიანობა;

(b) საქმიანობა, რომელიც წარმოადგენს შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით დადგენილი სოციალური უზრუნველყოფის ან სახელმწიფო საპენსიო პროგრამის სისტემის ნაწილს; ან

(c) საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ მთავრობის სახელით, გარანტიით ან ფინანსური რესურსებით განხორციელებული სხვა საქმიანობა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ერთ-ერთი მხარე უშვებს 1(b) ან 1(c) პუნქტებში მითითებული საქმიანობის განხორციელებას მისი ფინანსური მომსახურების მიმწოდებლების მიერ საჯარო უწყებასთან ან ფინანსური მომსახურების მიმწოდებლებთან კონკურენციით.

2. მე-8 თავის (მომსახურებებით ვაჭრობა) 8.2 მუხლით (ტერმინთა განმარტებები) გათვალისწინებული ტერმინის - „სამთავრობო უფლებამოსილების განხორციელებისას მიწოდებული მომსახურება“ - განმარტება არ ვრცელდება ამ დანართით მოცულ მომსახურებაზე.

3. წინამდებარე დანართის მიზნებისათვის:

(a) **ფინანსური მომსახურება** არის ერთ-ერთი მხარის ფინანსური მომსახურების მიმწოდებლის მიერ შეთავაზებული ნებისმიერი ფინანსური სახის მომსახურება. ფინანსური მომსახურება მოიცავს ყველა სადაზღვევო და დაზღვევასთან დაკავშირებულ მომსახურებას, ასევე ყველა საბანკო და სხვა საფინანსო მომსახურებას (გარდა დაზღვევისა). ფინანსური მომსახურება შეიცავს შემდეგ მოქმედებებს:

დაზღვევა და დაზღვევასთან დაკავშირებული მომსახურება

(i) პირდაპირი დაზღვევა (მათ შორის, თანადაზღვევა):

(A) სიცოცხლის; და

(B) არა-საციცოცხლო;

(ii) გადაზღვევა და რეტროცესია;

(iii) სადაზღვევო შუამავლობა, როგორიცაა საბროკერო და სააგენტო მომსახურება;

(iv) დაზღვევის დამხმარე მომსახურება, როგორიცაა კონსულტაცია, აქტუარული, რისკების შეფასება, აქტუარული და საჩივრების მოგვარების მომსახურება;

საბანკო და სხვა საფინანსო მომსახურება (გარდა დაზღვევისა)

(v) საზოგადოებისგან დეპოზიტებისა და სხვა დაბრუნებადი სახსრების მიღება;

(vi) ყველა სახის სესხები, მათ შორის, სამომხმარებლო კრედიტი, იპოთეკური კრედიტი, კომერციული ტრანზაქციების ფაქტორინგი და დაფინანსება;

(vii) ფინანსური ლიზინგი;

(viii)ყველა გადახდისა და ფულის გადაგზავნის მომსახურებები, მათ შორის, საკრედიტო, საგადასახადო და სადებეტო ბარათები, სამოგზაურო ჩეკები და საბანკო ჩეკები;

(ix) გარანტიები და ვალდებულებები;

(x) ვაჭრობა საკუთარ ხარჯზე ან მომხმარებელთა ხარჯზე ბირჟაზე, ფასიანი ქაღალდების არასაბირჟო ბაზარზე შემდეგით:

(A) ფულადი ბაზრის ინსტრუმენტებით (მათ შორის, ჩეკებით, ობლიგაციებით, სადეპოზიტო სერტიფიკატებით);

(B) უცხოური ვალუტით;

(C) დერივატული პროდუქტებით, მათ შორის და არა მხოლოდ, ფიუჩერსებითა და ოპციონებით;

(D) სავალუტო კურსის ან საპროცენტო განაკვეთის ინსტრუმენტებით, მათ შორის, ისეთი პროდუქტებით, როგორებიცაა სვოპები, შეთანხმებები მომავალი საპროცენტო განაკვეთის შესახებ;

(E) მიმოქცევაში არსებული ფასიანი ქაღალდებით; და

(F) სხვა სავაჭრო ინსტრუმენტებითა და ფინანსური აქტივებით, მათ შორის, ოქროს/ვერცხლის ზოდებით;

(xi) ყველა სახის ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებულ საკითხებში მონაწილეობა, მათ შორის, აგენტის სტატუსით ანდერრაითინგი და ფასიანი ქაღალდების განთავსება (საჯაროდ ან კერძოდ) და ამ საკითხებთან დაკავშირებული მომსახურების გაწევა;

(xii) ფულის ბაზარზე საბროკერო საქმიანობა;

(xiii) აქტივების მართვა, როგორიცაა ნაღდი ფულის ან პორტფელის მართვა, ყველა სახის კოლექტიური ინვესტიციის მართვა, საპენსიო ფონდის მართვა, კასტოდიანური, დეპოზიტარული და სატრასტო მომსახურება;

(xiv) ანგარიშსწორება და კლირინგის მომსახურება ფინანსური აქტივებზე, მათ შორის ფასიან ქაღალდებზე, დერივატულ პროდუქტებზე და სხვა შესაფერის ინსტრუმენტებზე.

(xv) სხვა ფინანსური მომსახურების მიმწოდებლების მიერ საფინანსო ინფორმაციის, ასევე საფინანსო მონაცემების დამუშავებისა და მასთან დაკავშირებული კომპიუტერული პროგრამის უზრუნველყოფა და გადაცემა; და

(xvi) საკონსულტაციო, საშუამავლო და სხვა დამხმარე საფინანსო მომსახურება მე-3(a)(v)-დან 3(a)(xv) პუნქტებში ჩამოთვლილ ყველა საქმიანობაზე, რომელიც მოიცავს საკრედიტო ინფორმაციასა და ანალიზს, ინვესტიციებისა და პორტფელის გამოკვლევას და კონსულტაციას, კონსულტაციებს

შესყიდვასთან და კორპორატიულ რესტრუქტურიზაციასა და სტრატეგიასთან დაკავშირებით.

(b) **ფინანსური მომსახურების მიმწოდებელი** გულისხმობს ერთ-ერთი მხარის ნებისმიერ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, რომელსაც სურს მიწოდება ან აწვდის ფინანსურ მომსახურებებს, მაგრამ არ მოიცავს საჯარო უწყებას; და

(c) **საჯარო უწყება** გულისხმობს:

(i) ერთერთი მხარის მთავრობას, ცენტრალური ბანკს ან ფულად-საკრედიტო ორგანოს, ან მხარის საკუთრებაში ან კონტროლს ქვეშ არსებული დაწესებულებას, რომელიც ძირითადად ეწევა სამთავრობო ფუნქციების განხორციელებას ან საქმიანობას სამთავრობო მიზნებისათვის, რაც არ მოიცავს უწყებას, რომელიც ეწევა ფინანსური მომსახურებების მიწოდებას კომერციული პირობებით; ან

(ii) კერძო კომპანია, რომელიც ასრულებს ისეთ ფუნქციებს, რომლებსაც როგორც წესი ასრულებს ცენტრალური ბანკი ან ფულად-საკრედიტო ორგანო, ხსენებული ფუნქციების განხორციელებისას.

მუხლი 3. შიდასახელმწიფოებრივი რეგულაციები

1. წინამდებარე თავის ნებისმიერი სხვა დებულების მიუხედავად, მხარეს არ უნდა შეეშალოს ხელი მიიღოს ან დაამტკიცოს სათანადო ზომები პრუდენციული მიზეზებისათვის, მათ შორის:

(a) ინვესტორების, დეპოზიტარების, სადაზღვეო პოლისის მფლობელების, სადაზღვეო პოლისის პრეტენდენტის, იმ პირების, რომლებსაც შემნახველის მოვალეობა აკისრიათ საფინანსო მომსახურების მიმწოდებლის მიერ, ან ნებისმიერი სხვა საფინანსო ბაზრის მონაწილის დაცვა; ან

(b) ამ მხარის ფინანსური სისტემის მთლიანობისა და სტაბილურობის უზრუნველყოფა.

2. როდესაც აღნიშნული ზომები წინააღმდეგობაშია ამ თავის დებულებებთან, ისინი არ შეიძლება იქნეს გამოყენებული, როგორც ამ თავით გათვალისწინებული ამ მხარის ვალდებულებებისა და მოვალეობების თავიდან არიდების საშუალება. ეს ზომები არ წარმოადგენენ მომსახურებით ვაჭრობაზე შენიღბულ შეზღუდვას და არ ახდენენ მეორე მხარის ფინანსური მომსახურებების ან ფინანსური მომსახურებების მიმწოდებლების დისკრიმინაციას მხარის საკუთარ მსგავს ფინანსურ მომსახურებასთან ან მსგავს ფინანსური მომსახურების მიმწოდებლებთან შედარებით.

3. წინამდებარე თავში არაფერი არ უნდა იქნეს განმარტებული ისე, რომ მოეთხოვოს მხარე მხარეს საჯარო უწყების მფლობელობაში არსებული ინდივიდუალური მომხმარებლის საქმეებთან და ანგარიშებთან დაკავშირებული ინფორმაციის ან ნებისმიერი კონფიდენციალური ინფორმაციის ან დაპატენტებული ინფორმაციის გამჟღავნება.

მუხლი 4. აღიარება

1. ერთ-ერთმა მხარემ შეიძლება აღიაროს მეორე მხარის ან არახელშემკვრელი მხარის პრუდენციული ზომები, იმის განსაზღვრისას, თუ როგორ უნდა იქნეს გამოყენებული ფინანსურ მომსახურებასთან დაკავშირებული ხელშემკვრელი მხარის ზომები. ამგვარი აღიარება, რომელიც შეიძლება მიღწეულ იქნეს ჰარმონიზაციის მეშვეობით ან სხვაგვარად, შეიძლება ეფუძნებოდეს მეორე მხარესთან ან დაინტერესებულ არახელშემკვრელ მხარესთან ხელშეკრულებას ან შეთანხმებას, ან შეიძლება შეთანხმებულ იქნეს დამოუკიდებლად.

2. მხარე, რომელიც არის პირველ პუნქტში მითითებული ხელშეკრულების ან შეთანხმების მხარე, მიუხედავად იმისა არსებულია თუ მომავალი, უნდა მისცეს ადეკვატური შესაძლებლობა მეორე მხარეს აწარმოოს მოლაპარაკებები ამგვარ ხელშეკრულებასთან, შეთანხმებასთან მიერთების მიზნით, ან მოილაპარაკოს ანალოგიური საკითხები მასთან, ისეთ პირობებში, სადაც იქნება ეკვივალენტური წესები, კონტროლი, ამ წესების იმპლემენტაცია და, მიზანშეწონილობის შემთხვევაში, ხელშეკრულების ან შეთანხმების მხარეთა შორის ინფორმაციის გაზიარების შესახებ პროცედურები.

3. როდესაც ერთ-ერთი მხარე დამოუკიდებლად ახდენს აღიარებას, მან უნდა მიანიჭოს ეკვივალენტური შესაძლებლობა მეორე მხარეს, რათა აჩვენოს, რომ მე-2 პუნქტში მითითებული

გარემოებები არსებობს.

მუხლი 5. გამჭვირვალე რეგულირება

1. მხარეები აღიარებენ, რომ გამჭვირვალე ღონისძიებები, რომლებიც არეგულირებს საფინანსო მომსახურების მიმწოდებლების საქმიანობას მნიშვნელოვანია მათი შესაძლებლობების ხელშეწყობისათვის, რათა მოიპოვონ დაშვება და იმუშაონ ერთმანეთის ბაზრებზე.

2. თითოეულმა მხარემ უნდა უზრუნველყოს, რომ ერთერთი მხარის მიერ მიღებული და დამტკიცებული საერთო გამოყენების წესები დროულად იქნეს გამოქვეყნებული ან საზოგადოებისთვის სხვაგვარად ხელმისაწვდომი.

3. თითოეულმა მხარემ უნდა მიიღოს მისთვის ხელმისაწვდომი გონივრული ზომები, რათა უზრუნველყოს მხარის თვითრეგულირებადი ორგანიზაციების[9] მიერ მიღებული და დამტკიცებული საერთო გამოყენების წესები დროულად იქნეს გამოქვეყნებული ან საზოგადოებისთვის სხვაგვარად ხელმისაწვდომი.

4. თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს და შექმნას შესაბამისი მექანიზმები საერთო გამოყენების ზომებთან დაკავშირებით, რომელზეც ვრცელდება წინამდებარე დანართი, მეორე მხარის დაინტერესებული პირების[10] კითხვებზე პასუხის გაცემისათვის.

5. თითოეული მხარის მარეგულირებელმა ორგანოებმა ყველასათვის ხელმისაწვდომი უნდა გახადონ თავიანთი მოთხოვნები, მათ შორის, ფინანსური მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებით განაცხადების შესავსებად მოთხოვნილი ნებისმიერი დოკუმენტები.

6. თითოეული მხარის მარეგულირებელმა ორგანოებმა 180 დღის განმავლობაში უნდა მიიღონ ადმინისტრაციული გადაწყვეტილება მეორე მხარის ფინანსური მომსახურების მიმწოდებლის შევსებულ განაცხადზე, რომელიც დაინტერესებულია მიაწოდოს ფინანსური მომსახურება ამ მხარის ტერიტორიაზე და შეატყობინონ განმცხადებელს გადაწყვეტილების თაობაზე, შესაძლებლობის შემთხვევაში წერილობითი ფორმით, გაუმართლებელი შეფერხების გარეშე:

(a) განაცხადი არ მიიჩნევა დასრულებულად, სანამ არ დასრულდება ყველა შესაბამისი წარმოება და მარეგულირებელი ორგანოები არ ჩათვლიან, რომ მიღებულია ყველა საჭირო ინფორმაცია; და

(b) როდესაც შეუძლებელია გადაწყვეტილების მიღება 180 დღეში, მარეგულირებელმა ორგანომ დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს განმცხადებელს და შემდეგ შეეცადოს მიიღოს გადაწყვეტილება გონივრულ ვადაში.

7. წარუმატებელი განმცხადებლის წერილობით მოთხოვნის შემთხვევაში, მარეგულირებელი ორგანო, რომელმაც უარყო განაცხადი, უნდა შეეცადოს მიაწოდოს განმცხადებელს ინფორმაცია წერილობითი ფორმით უარის თქმის მიზეზების თაობაზე.

მუხლი 6. დავების მოგვარება

მე-15 თავის (დავების მოგვარება) შესაბამისად შექმნილი საარბიტრაჟო სასამართლოს არბიტრებს, პროცედურულ საკითხებთან და სხვა საფინანსო საქმეებთან დაკავშირებული დავებისათვის, უნდა გააჩნდეთ კონკრეტული სადავო საფინანსო მომსახურების შესაბამისი საჭირო ექსპერტიზა.

მუხლი 7. კონსულტაციები

ერთ-ერთმა მხარემ შეიძლება მოითხოვოს კონსულტაციები მეორე მხარესთან წინამდებარე შეთანხმებიდან გამომდინარე ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით, რაც გავლენას ახდენს ფინანსურ მომსახურებაზე. მეორე მხარემ გულისხმიერად უნდა განიხილოს თხოვნა.

დანართი 8-B

ფიზიკურ პირთა გადაადგილება

მუხლი 1. მოქმედების სფერო

1. წინამდებარე დანართი ეხება ერთი მხარის ტერიტორიიდან მეორე მხარის ტერიტორიაზე დანართში 8-E და დანართში 8-F (სპეციფიკურ ვალდებულებათა ცხრილი) განსაზღვრულ ნებისმიერი კატეგორიის ფიზიკურ პირთა გადაადგილებასთან დაკავშირებულ ზომებს.

2. წინამდებარე დანართი არ ეხება ზომებს დაკავშირებულს ფიზიკურ პირებთან, რომლებიც ცდილობენ მეორე მხარის სამუშაო ბაზარზე შესვლას ან მოქალაქეობასთან, ცხოვრების უფლებასთან ან მუდმივ საფუძველზე მუშაობასთან დაკავშირებულ ზომებს.

3. არაფერი ამ შეთანხმებაში არ ზღუდავს მხარეს ზომების შემოღებაში, რათა დაარეგულიროს თავის ტერიტორიაზე მეორე მხარის ფიზიკურ პირთა დროებით შესვლა და ყოფნა, მათ შორის ზომები საჭირო ტერიტორიული ერთიანობის და საზღვრებზე ფიზიკურ პირთა მოწესრიგებული გადაადგილებისთვის, იმის გათვალისწინებით, რომ ასეთი ზომები არ გამოიყენება მეორე მხარისთვის ამ დანართით მინიჭებული სარგებლის გაბათილების ან შემცირების მიზნით.[11]

მუხლი 2. ტერმინთა განმარტებები

ამ დანართის მიზნებისთვის:

(a) მხარის **ფიზიკური პირი** გულისხმობს ფიზიკურ პირს მე-8 თავის (მომსახურებით ვაჭრობა) განმარტების მიხედვით.

(b) **დროებითი შესვლა** გულისხმობს დანართით 8-E და დანართით 8-F (სპეციფიკურ ვალდებულებათა ცხრილი) განსაზღვრული ფიზიკური პირების შესვლას მუდმივად დაფუძნების მიზნის გარეშე და მათ შესაბამის ბიზნეს მიზნებთან ნათლად დაკავშირებულ საქმიანობაში ჩართვის მიზნით.

(c) **საიმიგრაციო ზომა** გულისხმობს ნებისმიერ ზომას, კანონის, რეგულაციის, წესის, პროცედურის, გადაწყვეტილების, ადმინისტრაციული ქმედების ან ნებისმიერი ფორმით, რომელიც ეხება მხარის ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის მოქალაქეთა შესვლას და დარჩენას.

მუხლი 3. მიზნები

ეს დანართი ასახავს მხარეებს შორის პრეფერენციულ სავაჭრო ურთიერთობებს, მათ ორმხრივ სურვილს დანართის 8-E და დანართის 8-F (სპეციფიკურ ვალდებულებათა ცხრილები) შესაბამისად ხელი შეუწყონ ფიზიკურ პირთა დროებით შესვლას, ამავდროულად მათ ტერიტორიებზე სასაზღვრო უსაფრთხოების და ადგილობრივი სამუშაო ძალისა და მუდმივი დასაქმების დაცვის აუცილებლობის აღიარებით.

მუხლი 4. დროებითი შესვლის უფლების მინიჭებასთან დაკავშირებული ზოგადი პრინციპები

1. თითოეული მხარე დანართში 8-E და დანართში 8-F (სპეციფიკური ვალდებულებების ცხრილები) ადგენს სპეციფიკურ ვალდებულებებს, რომელთაც იღებს ამ ცხრილებით განსაზღვრული ფიზიკური პირის კატეგორიასთან მიმართებით.

2. როცა მხარე პირველი პუნქტის შესაბამისად იღებს ვალდებულებას, ეს მხარე ვალდებულების შესაბამისად ანიჭებს მეორე მხარის ფიზიკურ პირს დროებითი შესვლის უფლებას იმის გათვალისწინებით, რომ ასეთი ფიზიკური პირი სხვაგვარად აკმაყოფილებს ყველა მოქმედ საიმიგრაციო ზომას.

3. ამ დანართის შესაბამისად მინიჭებული დროებითი შესვლის უფლება არ ანაცვლებს პროფესიის ან საქმიანობის განხორციელებისთვის მოქმედი კანონმდებლობისა და რეგულაციების შესაბამის საჭირო მოთხოვნებს იმ მხარის ტერიტორიაზე, რომელიც გასცემს დროებითი შესვლის უფლებას.

მუხლი 5. გამჭირვალობა

თითოეული მხარე უზრუნველყოფს, ფიზიკურ პირთა დროებით შესვლასთან დაკავშირებული საიმიგრაციო ზომების ცვლილებისთანავე, ასეთი ცვლილებების დაუყოვნებლივ გამოქვეყნებას და ან მათ იმგვარ ხელმისაწვდომობას, რომ მეორე მხარის ფიზიკურ პირებს ჰქონდეთ მათი გაცნობის შესაძლებლობა.

მუხლი 6. შეთანხმების სხვა თავებთან მიმართება

1. ამ დანართის, აგრეთვე 1-ლი (შესავალი დებულებები და ტერმინთა განმარტებები), მე-13 (გამჭირვალობა), მე-14 (ინსტიტუციური დებულებები), მე-15 (დავების მოგვარება), მე-16 (ზოგადი დებულებები და გამონაკლისები) და მე-17 (დასკვნითი დებულებები) თავების გარდა, წინამდებარე შეთანხმების არცერთი დებულება არ უწესებს რაიმე ვალდებულებას მხარეს მის საიმიგრაციო ზომებთან მიმართებაში ამ დანართის ფარგლებში.

2. წინამდებარე დანართი არ უნდა იქნეს გაგებული ისე, რომ შემოიღოს ვალდებულებები ამ შეთანხმების სხვა თავებთან მიმართებაში.

დანართი 8-C

ტრანსპორტი და მასთან დაკავშირებული მომსახურება

მუხლი 1. მოქმედების სფერო

1. მხარეები ეცდებიან აამაღლონ ტრანსპორტირებასა და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის განვითარების სფეროში კავშირის დონე, მათი შესაბამისი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობების შესაბამისად.

2. სათანადო შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის შესაბამისად, მხარეები:

(a) წინ წაწევენ სატრანსპორტო კოორდინაციის მექანიზმის დაარსებას, გაზრდიან საერთაშორისო მულტიმოდალური ტრანსპორტის კავშირს და თანდათან ჩამოაყალიბებენ თავსებად და სტანდარტულ სატრანსპორტო წესებს, საერთაშორისო ტრანსპორტირების ხელშეწყობის მიზნით;

(b) წინ წაწევენ პორტის ინფრასტრუქტურის მშენებლობას, ააშენებენ შეუფერხებელ სახმელეთო-საზღვაო სატრანსპორტო არხებს და ითანამშრომლებენ პორტის განვითარების სფეროში; და

(c) გააფართოებენ და შექმნიან პლატფორმასა და მექანიზმებს ყოვლისმომცველი თანამშრომლობისთვის სამოქალაქო ავიაციის სფეროში და დააჩქარებენ საავიაციო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას.

მუხლი 2. სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება

1. მხარეები სრულად ისარგებლებენ საქართველოს უნიკალური გეოგრაფიული მდებარეობით, და ხელს შეუწყობენ პორტების, გზების, რკინიგზის, ლოგისტიკისა და სხვა ინფრასტრუქტურის განვითარებას; დაეხმარებიან მხარეთა საწარმოებს ითანამშრომლონ ტრანსპორტისა და მასთან დაკავშირებულ სფეროში; გააძლიერებენ ინფორმაციის გაცვლას; ასევე წაახალისებენ და მიიღებენ შეთანხმებულ ზომებს უწყვეტი, უსაფრთხო და ეფექტიან ტრანსპორტირებას.

2. მხარეები გააძლიერებენ აეროპორტების, საჰაერო მიმოსვლის კონტროლის და სხვა ინფრასტრუქტურის მშენებლობის დაგეგმარებას, გაზრდიან ინვესტიციებს საავიაციო ინფრასტრუქტურაში და ხელს შეუწყობენ საჰაერო ტრანსპორტის კოორდინაციის მექანიზმს, უსაფრთხო და შეუფერხებელი საჰაერო ტრანსპორტირების ქსელის შექმნის მიზნით.

მუხლი 3. საერთაშორისო საზღვაო ტრანსპორტი

1. ამ დანართის მიზნებისთვის, „საერთაშორისო საზღვაო ტრანსპორტი“ მოიცავს საწყისი პუნქტიდან საბოლოო დანიშნულების პუნქტამდე გადაზიდვის და მულტიმოდალური გადაზიდვის ოპერაციებს, რაც გულისხმობს ერთზე მეტი სატრანსპორტო სახეობის მეშვეობით ერთიანი სატრანსპორტო

დოკუმენტით ტვირთების გადაზიდვას ზღვის გამოყენებით და აღნიშნული მიზნით სხვა სატრანსპორტო სახეობების მომწოდებლებთან პირდაპირ სახელშეკრულებო ურთიერთობაში შესვლის უფლებას.

2. საერთაშორისო საზღვაო ტრანსპორტისთვის, თითოეული მხარე ანიჭებს მეორე მხარის დროშის ქვეშ მცურავ გემებს იმაზე არანაკლებ ხელსაყრელ რეჟიმს, ვიდრე ის ანიჭებს საკუთარ გემებს, ნავსადგურში თავისუფალი შესვლასთან, ნავსადგურის ინფრასტრუქტურისა და დამხმარე საზღვაო მომსახურების გამოყენებასთან, ასევე მასთან დაკავშირებულ საფასურებთან და გადასახდელებთან, საბაჟო საშუალებებთან და დატვირთვა-გადმოტვირთვისთვის ნავმისადგომისა და ტექნიკური საშუალებების გამოყოფასთან დაკავშირებით.

3. თითოეული მხარე ნებას რთავს იმ ცარიელი კონტეინერების გადაადგილებას საქართველოს პორტებს და ჩინეთის პორტებს შორის შორის, რომელთა გადაზიდვა არ ხდება ტვირთის სახით თანხის გადახდის სანაცვლოდ.

მუხლი 4. თანამშრომლობა საერთაშორისო ტრანსპორტირებისა და ლოგისტიკის სფეროში

მხარეები სრულად გამოიყენებენ ამ შეთანხმებას საერთაშორისო ტრანსპორტისა და ლოგისტიკის სფეროში თანამშრომლობის ახალი შესაძლებლობების შესწავლის მიზნით.

დანართი 8-D

თანამშრომლობა ტრადიციული ჩინური მედიცინის (TCM) სფეროში

საქართველო და ჩინეთი მოწადინებულნი არიან განამტკიცონ თანამშრომლობა ტრადიციული ჩინური მედიცინის (TCM) მომსახურების სფეროში, ასევე, ტრადიციული ჩინური მედიცინის მომსახურებით და დამხმარე მედიკამენტებით ვაჭრობის მიმართულებით. მხარეები:

(a) შემდგომი თანამშრომლობის შესაძლებლობების გამოვლენის მიზნით, გაცვლიან ინფორმაციას და განიხილავენ ტრადიციული ჩინური მედიცინის მომსახურებასთან დაკავშირებულ პოლიტიკას, რეგულაციებს და ქმედებებს;

(b) წაახალისებენ ტრადიციული ჩინური მედიცინის პრაქტიკოსთა აღიარების სისტემის შესახებ განხილვებს, მათ შორის, საქართველოს ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, ტრადიციული ჩინური მედიცინის მომსახურების მის ეროვნულ სამედიცინო სისტემაში შესაძლო ჩართვას;

(c) წაახალისებენ ორივე ქვეყანაში მარეგულირებელ, შესაბამის პროფესიულ ორგანოებსა და ტრადიციული ჩინური მედიცინის (TCM) პრაქტიკოსების მარეგისტრირებელ ორგანოებს შორის თანამშრომლობას, ტრადიციული ჩინური მედიცინის (TCM) პრაქტიკოსების კვალიფიკაციების აღიარებისა და აკრედიტაციის შესახებ განმარტებისა და კონსულტაციის უზრუნველყოფის მიზნით, ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად;

(d) წაახალისებენ სამომავლო თანამშრომლობას მხარეთა მარეგულირებელ, მარეგისტრირებელ და შესაბამის პროფესიულ ორგანოებს შორის ტრადიციული ჩინური მედიცინის (TCM) მომსახურებით და დამხმარე მედიკამენტებით ვაჭრობის ხელშეწყობის მიზნით, მხარეთა შესაბამისი მარეგულირებელი ჩარჩოს შესაბამისად; და

(e) წაახალისებენ და ხელს შეუწყობენ ტრადიციული ჩინური მედიცინის კვლევებსა და განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებზე თანამშრომლობას.

დანართი 8-E: ჩინეთი მომსახურების სფეროს სპეციფიკური ვალდებულებების ცხრილი

მოხსენიებული მე-8 თავში (მომსახურებით ვაჭრობა)

მიწოდების რეჟიმები: (1) ტრანსსასაზღვრო მიწოდება (2) საზღვარგარეთ მოხმარება (3) კომერციული წარმომადგენლობა (4) ფიზიკური პირების წარმომადგენლობა			
სექტორი ან ქვესექტორი	ბაზარზე დაშვებასთან დაკავშირებული შეზღუდვები	ეროვნულ რეჟიმთან დაკავშირებული შეზღუდვები	დამატებითი ვალდებულებები
I. ჰორიზონტალური ვალდებულებები			
ცხრილში მოცემული ყველა სექტორი[12]	(3)[13] ჩინეთში საწარმოები უცხოური ინვესტიციით მოიცავს უცხოური კაპიტალის საწარმოებს (ასევე მოხსენიებულს როგორც მთლიანად უცხოურ საკუთრებაში არსებული საწარმოები) და ერთობლივ საწარმოები, რომლებიც ორი სახისაა: ერთობლივი სააქციო საწარმოები და საკონტრაქტო ერთობლივი საწარმოები.[14] ერთობლივ სააქციო საწარმოში უცხოური ინვესტიციის წილი არ	(3) ვალდებულება არ არის აღებული ადგილობრივი მომსახურების მიმწოდებლებისთვის განკუთვნილ ყველა	

	უნდა იყოს ერთობლივი საწარმოს რეგისტრირებული კაპიტალის 25 პროცენტზე ნაკლები. ვალდებულება არ არის აღებული ქართული საწარმოს მიერ ფილიალების დაფუძნების მიმართ, თუ სპეციფიკურ ქვესექტორებში სხვაგვარად არ არის განსაზღვრული, ვინაიდან უცხოური საწარმოების ფილიალებთან დაკავშირებული კანონები და რეგულაციები შემუშავების პროცესშია.	სუბსიდიასთან მიმართებაში, გარდა ჩინეთის მიერ WTO-ში გაწევრიანებისას აღებული ვალდებულებისა.	
	დაშვებულია ჩინეთში ქართული საწარმოების მიერ წარმომადგენლობითი ოფისის დაფუძნება, მაგრამ ისინი არ უნდა ჩაერთონ მოგების მომტან აქტივობებში გარდა სექტორების მიხედვით სპეციფიკური ვალდებულებების CPC 861, 862, 863, 865 კოდების ქვეშ წარმომადგენლობითი ოფისებისა. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში მიწა სახელმწიფო საკუთრებაშია. საწარმოებისა და ფიზიკური პირების მიერ მიწის გამოყენება ექვემდებარება ჩამოთვლილ მაქსიმალური ვადის შეზღუდვებს: (a) 70 წელი საცხოვრებელი მიზნებისათვის; (b) 50 წელი სამრეწველო მიზნებისათვის; (c) 50 წელი განათლების, მეცნიერების, კულტურის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და ფიზიკური განათლების მიზნებისთვის; (d) 40 წელი კომერციული, ტურისტული და რეკრეაციული მიზნებისათვის (e) 50 წელი ყოვლისმომცველი გამოყენების ან სხვა მიზნებისათვის. (4) ვალდებულება არ არის აღებული გარდა იმ ზომებისა, რომლებიც დაკავშირებულია ჩამოთვლილი კატეგორიების ფიზიკური პირების შესვლასა და ყოფნასთან:	(4) ვალდებულება არ არის აღებული გარდა იმ ზომებისა, რომლებიც დაკავშირებულია ბაზარზე დაშვების სვეტში მოხსენიებული ფიზიკური პირების კატეგორიების შესვლასა და ყოფნასთან.	
	(a) ბიზნეს ვიზიტორი[15] დაიშვება მაქსიმუმ 180 დღე; (b) მენეჯერი[16], აღმასრულებელი[17] და სპეციალისტი[18], განიმარტება როგორც საქართველოს კომპანიის, რომელსაც ჩინეთის		

	სახალხო რესპუბლიკაში დაფუძნებული აქვს წარმომადგენლობითი ოფისი, ფილიალი ან შვილობილი, უფროსი თანამშრომლები გადაადგილებულნი კორპორაციის შიგნით, დაიშვებიან თავდაპირველად დარჩენის მიზნით სამი წლის ვადით; (c) საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებელი[19]: ჩინეთის შესაბამისი კანონებისა და რეგულაციების შესაბამისად, საქართველოს საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლებს შესაძლოა მიენიჭოთ სამუშაო და დარჩენის ნებართვა კონტრაქტის პირობების გათვალისწინებით. ასეთი სამუშაო და დარჩენის ნებართვის თავდაპირველი მოქმედების ვადა არ უნდა აღემატებოდეს ოთხ თვეს. საკონტრაქტო მომსახურების მიმწოდებლების მიერ გაწეული მომსახურება შემოიფარგლება მხოლოდ ჩამოთვლილით: (1) არქიტექტორული მომსახურება; (2) საინჟინრო მომსახურება; (3) კომპიუტერული და დაკავშირებული მომსახურება; (4) მშენებლობის მომსახურება; (5) ტურისტული სააგენტოს და ტურ ოპერატორის მომსახურება; (6) სასტუმროები; (7) საზღვაო ტვირთის მომსახურება; და (8) ტვირთის სარკინიგზო და საგზაო გადაზიდვა.		
II. ვალდებულებები სექტორების მიხედვით			
1. ბიზნეს მომსახურება			
	(1) შეზღუდვა არ არის (2) შეზღუდვა არ არის (3) ქართულ იურიდიულ ფირმებს იურიდიული მომსახურების მიწოდება შეუძლიათ მხოლოდ წარმომადგენლობითი ოფისების სახით. წარმომადგენლობითი ოფისები შეიძლება ჩაერთონ მოგების მირების მიზნით საქმიანობაში. საქმიანობის სფერო საქართველოს წარმომადგენლობითი		(1) ჩინეთის კანონების, რეგულაციების და წესების შესაბამისად, ქართულმა იურიდიულმა ფირმებმა, რომლებსაც თავიანთი წარმომადგენლობა აქვთ დაფუძნებული ჩინეთის (შანხაი) საპილოტე თავისუფალ სავაჭრო სივრცეში, შეიძლება გააფორმონ კონტრაქტები

A. პროფესიონალური მომსახურება (a) იურიდიული მომსახურება (CPC 861, ჩინური სამართლებრივი პრაქტიკის გარდა)	ოფისებისათვის შემდეგია: (a) კონსულტაციები გაუწიონ კლიენტებს იმ ქვეყნის/რეგიონის სამართალზე, სადაც იურიდიული ფირმის იურისტებს იურისტის პროფესიულ საქმიანობაში ჩართვის უფლება აქვთ, და საერთაშორისო კონვენციებზე და პრაქტიკაზე; (b) კლიენტის ან ჩინური იურიდიული ფირმების დავალებით, გაუმკლავდნენ იურიდიულ საკითხებს იმ ქვეყნაში/რეგიონში, სადაც იურიდიული ფირმის იურისტებს იურისტის პროფესიულ საქმიანობაში ჩართვის უფლება აქვთ; (c) უცხოელი კლიენტების სახელით, დაავალოს ჩინურ იურიდიულ ფირმებს ჩინეთის სამართლებრივ საკითხებთან გამკლავება; (d) იურიდიული საქმიანობისთვის ჩინურ იურიდიულ ფირმებთან შევიდეს ხანგრძლივ მინდობით ურთიერთობაში; (e) უზრუნველყოს ინფორმაცია ჩინეთის სამართლებრივი გარემოს გავლენაზე.	(1) შეზღუდვა არ არის (2) შეზღუდვა არ არის (3) ყველა წარმომადგენელი ყოველი წლის ექვს თვეს უნდა ცხოვრობდეს ჩინეთში. წარმომადგენლობით ოფისში არ უნდა იყვნენ დასაქმებულნი ჩინეთში დარეგისტრირებული იურისტები.	ჩინურ იურიდიულ ფირმებთან თავისუფალ სავაჭრო სივრცეში. ასეთ ხელშეკრულებებზე დაყრდნობით, ამ ქართულმა და ჩინურმა ფირმებმა შესაძლოა გაუგზავნონ ერთმანეთს ადვოკატები იურიდიულ მრჩევლებად. ეს ნიშნავს, რომ ჩინურ იურიდიულ ფირმას შეუძლია გააგზავნოს თავისი იურისტი ქართულ იურიდიულ ფირმაში ჩინურ სამართალსა და საერთაშორისო სამართალზე იურიდიულ მრჩევლად და ქართულ იურიდიულ ფირმას შეუძლია გააგზავნოს თავისი იურისტი ჩინურ იურიდიულ ფირმაში უცხოურ და საერთაშორისო სამართალზე იურიდიულ მრჩევლად. ორი მხარე თანამშრომლობს თავიანთი საქმიანობის ფარგლებში.
	მინდობილობა საქართველოს იურიდიული ფირმის წარმომადგენლობით ოფისს უფლებას აძლევს, ორი მხარის შეთანხმების შესაბამისად, პირდაპირ გაუწიოს ინსტრუქცია მინდობილი ჩინური ფირმის იურისტებს. საქართველოს იურიდიული ფირმის წარომადგენლები უნდა იყვნენ პრაქტიკოსი ადვოკატები გაწევრიანებული ადვოკატთა ან იურიდიულ საზოგადოებაში WTO-ს წევრ ქვეყანაში ჩინეთის გარეთ სულ ცოტა ორ წლიანი პრაქტიკით. მთავარი წარმომადგენელი უნდა იყოს პარტნიორი ან მისი ეკვივალენტი (მაგ. შეზღუდული პასუხისმგებლობის კორპორაციის იურიდიული ფირმის წევრი) საქართველოს იურიდიული ფირმაში და ჩინეთის გარეთ ჰქონდეს სულ ცოტა სამ წლიანი პრაქტიკა. (4) ვალდებულება არ არის აღებული, გარდა ჰორიზონტალურ სექციაში მოცემული ჩამონათვალისა.	(4) ვალდებულება არ არის	(2) ჩინეთის კანონების, რეგულაციების და წესების შესაბამისად, ქართულმა იურიდიულმა ფირმებმა, რომლებსაც თავიანთი წარმომადგენლობა აქვთ დაფუძნებული ჩინეთის (შანხაი) საპილოტე თავისუფალ სავაჭრო სივრცეში, შეიძლება ჩამოაყალიბონ კომერციული ასოციაცია შანხაის თავისუფალი სავაჭრო სივრცის ჩინურ იურიდიულ ფირმებთან. ამ კომერციული ასოციაციის მოქმედების ფარგლებში, თითოეული მხარის იურიდიულ ფირმას აქვს დამოუკიდებელი სამართლებრივი სტატუსი, სახელი, ფინანსური ოპერაციები, და სამოქალაქო პასუხისმგებლობები. კომერციული ასოციაციის კლიენტურა არ შემოიფარგლება შანხაის თავისუფალი სავაჭრო სივრცით. კომერციული ასოციაციის ქართველ იურისტებს არ შეუძლიათ ჩინურ სამართალზე

		აღებული, გარდა ჰორიზონტალურ სექციაში მოცემული ჩამონათვალისა.	გასწიონ პრაქტიკა.
(a) ბუღალტრული აღრიცხვის, აუდიტორული და ანგარიშწარმოების მომსახურება (CPC 862)	(1) შეზღუდვა არ არის (2) შეზღუდვა არ არის (3) საპარტნიორო ან ინკორპორირებული საბუღალტრო ფირმები შემოიფარგლება ჩინეთის ხელისუფლების მიერ სერტიფიცირებული საჯარო ბუღალტრებით (CPAs). (4) ვალდებულება არ არის აღებული, გარდა ჰორიზონტალურ სექციაში მოცემული ჩამონათვალისა.	(1) შეზღუდვა არ არის (2) შეზღუდვა არ არის (3) შეზღუდვა არ არის (4) ვალდებულება არ არის აღებული, გარდა ჰორიზონტალურ სექციაში მოცემული ჩამონათვალისა.	- საქართველოს საბუღალტრო ფირმებს შეუძლიათ მიუერთდნენ ჩინურ ფირმებს და გააფორმონ კონტრაქტები სხვა აფილირებულ ფირმებთან WTO-ს სხვა წევრ ქვეყნებში. - ეროვნული რეჟიმი ვრცელდება საქართველოს ფიზიკური პირებისთვის ლიცენზიის მინიჭებაზე, ვისაც ჩაბარებული აქვს სერტიფიცირებული საჯარო ბუღალტრების გამოცდა (CPA). - საქართველოს აპლიკანტები მათი განაცხადის ჩაბარებიდან 30 დღეში მიიღებენ ინფორმაციას შედეგების შესახებ წერილობითი ფორმით. - CPC 862-ის მომსახურების მიმწოდებელი საბუღალტრო ფირმები შესაძლოა ჩაერთონ საგადასახადო და მენეჯმენტის საკონსულტაციო მომსახურებაში. მათზე არ ვრცელდება CPC 865 და 8630-ში მოცემული შეზღუდვები დაფუძნების ფორმაზე.
(c) საგადასახადო მომსახურება (CPC 8630)	(1) შეზღუდვა არ არის (2) შეზღუდვა არ არის (3) ქართველ მომსახურების მიმწოდებლებს შეუძლიათ დააფუძნონ მთლიანად უცხოურ საკუთრებაში არსებული შვილობილი კომპანიები. (4) ვალდებულება არ არის აღებული, გარდა ჰორიზონტალურ სექციაში მოცემული ჩამონათვალისა.	(1) შეზღუდვა არ არის (2) შეზღუდვა არ არის (3) შეზღუდვა არ არის (4) ვალდებულება არ არის აღებული, გარდა ჰორიზონტალურ სექციაში მოცემული ჩამონათვალისა.	

(d) არქიტექტურული მომსახურება (CPC 8671) (e) საინჟინრო მომსახურება (CPC 8672) (f) ინტეგრირებული საინჟინრო მომსახურება (CPC 8673) (g) ურბანული დაგეგმარების მომსახურება (გარდა ზოგადი ურბანული დაგეგმარებისა) (CPC 8674)	(1) შეზღუდვა არ არის სქემის დიზაინისთვის. თანამშრომლობა ჩინურ პროფესიულ ორგანიზაციებთან სავალდებულოა გარდა სქემის დიზაინისა. (2) შეზღუდვა არ არის (3) დაშვებულია მთლიანად უცხოურ საკუთრებაში არსებული საწარმოები. (4) ვალდებულება არ არის აღებული, გარდა ჰორიზონტალურ სექციაში მოცემული ჩამონათვალისა.	(1) შეზღუდვა არ არის (2) შეზღუდვა არ არის (3) საქართველოს მომსახურების მიმწოდებელი უნდა იყოს რეგისტრირებული არქიტექტორი/ინჟინერი, ან საწარმო ჩართული არქიტექტორულ/ საინჟინრო/ურბანული დაგეგმარების მომსახურებაში. (4) ვალდებულება არ არის აღებული, გარდა ჰორიზონტალურ სექციაში მოცემული ჩამონათვალისა.	
(h) სამედიცინო და სტომატოლოგიური მომსახურება (CPC 9312)	(1) შეზღუდვა არ არის (2) შეზღუდვა არ არის (3) ქართველ მომსახურების მიმწოდებლებს შეუძლიათ დააფუძნონ ერთობლივი საწარმო საავადმყოფო ან კლინიკა ჩინელ პარტნიორთან ერთად ჩინეთის საჭიროებიდან გამომდინარე რაოდენობრივი შეზღუდვების გათვალისწინებით, ნებადართულია უცხოური კაპიტალის უმეტესობა. (4) ვალდებულება არ არის აღებული, გარდა ჰორიზონტალურ სექციაში მოცემული ჩამონათვალისა და შემდგომისა: ქართველ ექიმებს საქართველოში გაცემული სერტიფიკატებით შეუძლიათ მიაწოდონ მოკლევადიანი სამედიცინო მომსახურება ჩინეთში, მას შემდეგ რაც მოიპოვებენ ლიცენზიას ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ეროვნული ჯანდაცვისა და ოჯახის დაგეგმვის კომისიისგან.	(1) შეზღუდვა არ არის (2) შეზღუდვა არ არის (3) ერთობლივი საწარმო საავადმყოფოში და კლინიკებში დასაქმებული ექიმებისა და სამედიცინო პერსონალის უმრავლესობა უნდა იყვნენ ჩინეთის მოქალაქეები. (4) ვალდებულება არ არის აღებული, გარდა ჰორიზონტალურ სექციაში მოცემული ჩამონათვალისა.	

	მომსახურების ვადა არის ექვსი თვე და შეიძლება გაგრძელდეს ერთ წლამდე.		
B. კომპიუტერული და მასთან დაკავშირებული მომსახურება (კომპიუტერული და მასთან დაკავშირებული მომსახურება არ მოიცავს ეკონომიკურ საქმიანობას რომელიც გულისხმობს კონტენტის უზრუნველყოფას, რისთვისაც საჭიროა კომპიუტერული და მასთან დაკავშირებული მომსახურების მიწოდების საშუალებად გამოყენება) (a) კომპიუტერული ტექნიკის დამონტაჟებასთან დაკავშირებული საკონსულტაციო მომსახურება (CPC 841)	(1) შეზღუდვა არ არის (2) შეზღუდვა არ არის (3) შეზღუდვა არ არის (4) ვალდებულება არ არის აღებული, გარდა ჰორიზონტალურ სექციაში მოცემული ჩამონათვალისა.	(1) შეზღუდვა არ არის (2) შეზღუდვა არ არის (3) შეზღუდვა არ არის (4) საჭირო კვალიფიკაცია: სერტიფიცირებული ინჟინერი ან პერსონალი ბაკალავრის ხარისხით (ან უფრო მაღალი) და სამი წლის გამოცდილება ამ სფეროში.	
(b) პროგრამული უზრუნველყოფის დანერგვის მომსახურება (CPC 842) (c) მონაცემთა დამუშავების მომსახურება (CPC 843)	(1) შეზღუდვა არ არის (2) შეზღუდვა არ არის (3) მხლოდ ერთობლივი საწარმოს ფორმით, დაშვებულია უცხოური კაპიტალის უმრავლესობით მონაწილეობა.	(1) შეზღუდვა არ არის (2) შეზღუდვა არ არის (3) შეზღუდვა არ არის (4) საჭირო კვალიფიკაცია: სერტიფიცირებული	

- ინფუთის მომზადების მომსახურება (CPC 8431)	(4) ვალდებულება არ არის აღებული, გარდა ჰორიზონტალურ სექციაში მოცემული ჩამონათვალისა.	ინჟინერი ან პერსონალი ბაკალავრის ხარისხით (ან უფრო მაღალი) და სამი წლის გამოცდილება ამ სფეროში.	
- მონაცემების დამუშავების და შედეგების შეჯამების მომსახურება (CPC 8432) - გაზიარების მომსახურება (CPC 8433)	(1) შეზღუდვა არ არის (2) შეზღუდვა არ არის (3) შეზღუდვა არ არის (4) ვალდებულება არ არის აღებული, გარდა ჰორიზონტალურ სექციაში მოცემული ჩამონათვალისა.	(1) შეზღუდვა არ არის (2) შეზღუდვა არ არის (3) შეზღუდვა არ არის (4) საჭირო კვალიფიკაცია: სერტიფიცირებული ინჟინერი ან პერსონალი ბაკალავრის ხარისხით (ან უფრო მაღალი) და სამი წლის გამოცდილება ამ სფეროში.	
D. მომსახურება უძრავი ქონების სფეროში (a) საკუთარებაში არსებულ ან ლიზინგით აღებულ ქონებაზე (CPC 821)	(1) შეზღუდვა არ არის (2) შეზღუდვა არ არის (3) შეზღუდვა არ არის გარდა შემდეგისა: მთლიანად უცხოურ საკუთრებაში საწარმოები არ დაიშვებიან მაღალი სტანდარტის უძრავი ქონების პროექტებში, როგორიცაა საცხოვრებელი და სამუშაო ოფისების შენობები, გამონაკლისია მაღალი კლასის სასტუმროები. (4) ვალდებულება არ არის აღებული, გარდა ჰორიზონტალურ სექციაში მოცემული ჩამონათვალისა.	(1) შეზღუდვა არ არის (2) შეზღუდვა არ არის (3) შეზღუდვა არ არის (4) ვალდებულება არ არის აღებული, გარდა ჰორიზონტალურ სექციაში მოცემული ჩამონათვალისა.	

(b) ანაზღაურების ან კონტრაქტის საფუძველზე (CPC 822)	(1) შეზღუდვა არ არის (2) შეზღუდვა არ არის (3) მხლოდ ერთობლივი საწარმოს ფორმით, დაშვებულია უცხოური კაპიტალის უმრავლესობით მონაწილეობა. (4) ვალდებულება არ არის აღებული, გარდა ჰორიზონტალურ სექციაში მოცემული ჩამონათვალისა.	(1) შეზღუდვა არ არის (2) შეზღუდვა არ არის (3) შეზღუდვა არ არის (4) ვალდებულება არ არის აღებული, გარდა ჰორიზონტალურ სექციაში მოცემული ჩამონათვალისა.	
F. სხვა ბიზნეს მომსახურება (a) სარეკლამო მომსახურება (CPC 871)	(1) მხოლოდ ჩინეთში დარეგისტრირებული სარეკლამო აგენტების მეშვეობით, რომლებსაც აქვთ უფლება გაწიონ უცხოური სარეკლამო მომსახურება. (2) მხოლოდ ჩინეთში დარეგისტრირებული სარეკლამო აგენტების მეშვეობით, რომლებსაც აქვთ უფლება გაწიონ უცხოური სარეკლამო მომსახურება.. (3) ქართველ მომსახურების მიმწოდებლებს შეუძლიათ დააფუძნონ სარეკლამო საწარმო ჩინეთში. დაიშვება მთლიანად უცხოურ საკუთრებაში არსებული შვილობილი კომპანიები. (4) ვალდებულება არ არის აღებული, გარდა	(1) შეზღუდვა არ არის (2) შეზღუდვა არ არის (3) შეზღუდვა არ არის (4) ვალდებულება არ არის აღებული, გარდა ჰორიზონტალურ სექციაში	

	ჰორიზონტალურ სექციაში მოცემული ჩამონათვალისა.	მოცემული ჩამონათვალისა.	
(c) მენეჯმენტის საკონსულტაციო მომსახურება (CPC 865)	(1) შეზღუდვა არ არის (2) შეზღუდვა არ არის (3) დაიშვება მთლიანად უცხოურ საკუთრებაში არსებული შვილობილი კომპანიები. (4) ვალდებულება არ არის აღებული, გარდა ჰორიზონტალურ სექციაში მოცემული ჩამონათვალისა.	(1) შეზღუდვა არ არის (2) შეზღუდვა არ არის (3) შეზღუდვა არ არის (4) ვალდებულება არ არის აღებული, გარდა ჰორიზონტალურ სექციაში მოცემული ჩამონათვალისა.	
(e) ტექნიკური ცდებისა და ანალიზის მომსახურება (CPC 8676) და CPC 749-ით დაფარული ტვირთის შემოწმება, გარდა ტვირთის შემოწმების სავალდებულო მომსახურებისა	(1) შეზღუდვა არ არის (2) შეზღუდვა არ არის (3) ქართული მომსახურების მიმწოდებლები, რომლებიც ჩართულნი იყვნენ საინსპექციო საქმიანობაში საქართველოში სამ წელზე მეტ ხანს, შეუძლიათ დააფუძნონ ტექნიკური ტესტირების, ანალიზისა და ტვირთის ინსპექტირების ერთობლივი საწარმო არანაკლებ $ 350,000 რეგისტრირებული კაპიტალით. ნებადართულია მთლიანად უცხოურ საკუთრებაში არსებული შვილობილი კომპანიები. (4) ვალდებულება არ არის აღებული, გარდა ჰორიზონტალურ სექციაში მოცემული ჩამონათვალისა.	(1) შეზღუდვა არ არის (2) შეზღუდვა არ არის (3) შეზღუდვა არ არის (4) ვალდებულება არ არის აღებული, გარდა ჰორიზონტალურ სექციაში მოცემული ჩამონათვალისა.	
(f) სოფლის მეურნეობასთან,	(1) შეზღუდვა არ არის (2) შეზღუდვა არ არის	(1) შეზღუდვა არ არის (2) შეზღუდვა არ არის (3) შეზღუდვა არ არის	

სატყეო მეურნეობასთან, ნადირობასა დათევზაობასთან დაკავშირებული მომსახურება (CPC 881, 882)	(3) მხლოდ ერთობლივი საწარმოს ფორმით, დაშვებულია უცხოური კაპიტალის უმრავლესობით მონაწილეობა. (4) ვალდებულება არ არის აღებული, გარდა ჰორიზონტალურ სექციაში მოცემული ჩამონათვალისა.	(4) ვალდებულება არ არის აღებული, გარდა ჰორიზონტალურ სექციაში მოცემული ჩამონათვალისა.	
(m) დაკავშირებული სამეცნიერო ტექნიკური საკონსულტაციო მომსახურება (CPC 8675) - ნავთობის საბადოების (ზღვაში) სფეროში მომსახურების გეოლოგიური, გეოფიზიკური და სხვა სამეცნიერო დაზვერვის მომსახურეობები (CPC 86751) წყალქვეშა კვლევის მომსახურეობები (CPC 86752)	(1) შეზღუდვა არ არის (2) შეზღუდვა არ არის (3) ნავთობის ექსპლუატაციის სახით ჩინური პარტნიორებთან თანამშრომლობით. (4) ვალდებულება არ არის აღებული, გარდა ჰორიზონტალურ სექციაში მოცემული ჩამონათვალისა.	(1) შეზღუდვა არ არის (2) შეზღუდვა არ არის (3) შეზღუდვა არ არის (4) ვალდებულება არ არის აღებული, გარდა ჰორიზონტალურ სექციაში მოცემული ჩამონათვალისა.	
- ხმელეთზე ნავთობის საბადოს მომსახურება	(1) შეზღუდვა არ არის (2) შეზღუდვა არ არის (3) მხოლოდ ნავთობის ექსპლუატაციის ფორმით ჩინეთის ეროვნულ ნავთობის კორპორაციასთან (CNPC) ან ჩინეთის ნავთობისა & ქიმიური მრეწველობის კორპორაციასთან (SINOPEC) თანამშრომლობით, ჩინეთის მთავრობის მიერ ნებადართულ განკუთვნილ რეგიონებში. ნავთობის კონტრაქტის გასაფორმებლად ქართველმა მომსახურების მიმწოდებელმა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში უნდა დააფუძნოს ფილიალი, შვილობილი კომპანია ან წარმომადგენლობითი ოფისი და გაიაროს სარეგისტრაციო ფორმალობები კანონის შესაბამისად. ამ ოფისების	(1) შეზღუდვა არ არის (2) შეზღუდვა არ არის (3) ქართველმა მომსახურების მიმწოდებელმა CNPC-ს ან SINOPEC-ს ზუსტად და დაუყოვნებლივ უნდა მიაწოდოს ანგარიში ნავთობთან დაკავშირებულ ოპერაციებზე, და მონაცემები და ნიმუშები, ასევე სხვადასხვა ტექნოლოგიური, ეკონომიკური, საბუღალტრო და ადმინისტრაციული ანგარიშები. CNPC-ს ან SINOPEC-ს აქვს მესაკუთრეობა ყველა მონაცემზე, ნიმუშზე, ვაუჩერსა და სხვა ნავთობის ოპერაციებთან დაკავშირებულ	

	ადგილსამყოფელი განისაზღვრება CNPC-თან ან SINOPEC-თან კონსულტაციებში. ქართველმა მომსახურების მიმწოდებელმა საბანკო ანგარიში უნდა გახსნას ბანკში, რომელსაც ჩინეთის ხელისუფლების მიერ უფლება აქვს მინიჭებული ჩაერთოს უცხოური ვალუტის გაცვლის საქმიანობაში ჩინეთის ტერიტორიაზე. (4) ვალდებულება არ არის აღებული, გარდა ჰორიზონტალურ სექციაში მოცემული ჩამონათვალისა.	ინფორმაციაზე. ქართველი მომსახურების მიმწოდებლის ინვესტიცია უნდა განხორციელდეს აშშ დოლარის ან სხვა მყარი ვალუტის მეშვეობით. (4) ვალდებულება არ არის აღებული, გარდა ჰორიზონტალურ სექციაში მოცემული ჩამონათვალისა.	
(p) ფოტოგრაფიული მომსახურება (CPC 875)	(1) შეზღუდვა არ არის (2) შეზღუდვა არ არის (3) მხლოდ ერთობლივი საწარმოს ფორმით, დაშვებულია უცხოური კაპიტალის უმრავლესობით მონაწილეობა. (4) ვალდებულება არ არის აღებული, გარდა ჰორიზონტალურ სექციაში მოცემული ჩამონათვალისა.	(1) შეზღუდვა არ არის (2) შეზღუდვა არ არის (3) შეზღუდვა არ არის (4) ვალდებულება არ არის აღებული, გარდა ჰორიზონტალურ სექციაში მოცემული ჩამონათვალისა.	
(q) შეფუთვასთან დაკავშირებული მომსახურება (CPC 876)	(1) შეზღუდვა არ არის (2) შეზღუდვა არ არის (3) ქართველ მომსახურების მიმწოდებლებს შეუძლიათ დააფუძნონ მთლიანად უცხოურ საკუთრებაში არსებული შვილობილი კომპანიები. (4) ვალდებულება არ არის აღებული, გარდა ჰორიზონტალურ სექციაში მოცემული ჩამონათვალისა.	(1) შეზღუდვა არ არის (2) შეზღუდვა არ არის (3) შეზღუდვა არ არის (4) ვალდებულება არ არის აღებული, გარდა ჰორიზონტალურ სექციაში მოცემული ჩამონათვალისა.	
(s) საკონფერენციო მომსახურება	(1) შეზღუდვა არ არის (2) შეზღუდვა არ არის (3) მხლოდ ერთობლივი საწარმოს ფორმით, დაშვებულია	(1) შეზღუდვა არ არის (2) შეზღუდვა არ არის (3) შეზღუდვა არ არის	

(CPC 87909)	უცხოური კაპიტალის უმრავლესობით მონაწილეობა. (4) ვალდებულება არ არის აღებული, გარდა ჰორიზონტალურ სექციაში მოცემული ჩამონათვალისა.	(4) ვალდებულება არ არის აღებული, გარდა ჰორიზონტალურ სექციაში მოცემული ჩამონათვალისა.	
(t) თარგმნისა და ინტერპრეტაციის მომსახურება (CPC 87905)	(1) შეზღუდვა არ არის (2) შეზღუდვა არ არის (3) მხლოდ ერთობლივი საწარმოს ფორმით, დაშვებულია უცხოური კაპიტალის უმრავლესობით მონაწილეობა. (4) ვალდებულება არ არის აღებული, გარდა ჰორიზონტალურ სექციაში მოცემული ჩამონათვალისა.	(1) შეზღუდვა არ არის (2) შეზღუდვა არ არის (3) შეზღუდვა არ არის (4) საჭირო კვალიფიკაცია: თარგმნის ან ინტერპრეტაციის სამწლიანი გამოცდილება და სამუშაო ენის კარგად ფლობა.	
- მოვლისა და შეკეთების მომსახურება (CPC 63, 6112 და 6122) - საოფისე მოწყობილობების და აღჭურვილობის, მათ შორის კომპიუტერების მოვლისა და შეკეთების მომსახურება. (CPC 845 და 886) - გაქირავებისა და ლიზინგის მომსახურება (CPC 831, 832, გარდა CPC 83202)	(1) შეზღუდვა არ არის (2) შეზღუდვა არ არის (3) დაიშვება მთლიანად უცხოურ საკუთრებაში არსებული შვილობილი კომპანიები. გაქირავებისა და ლიზინგის მომსახურებისთვის მიმწოდებელს უნდა ჰქონდეს გლობალური აქტივები აშშ $ 5 მილიონის ოდენობით. (4) ვალდებულება არ არის აღებული, გარდა ჰორიზონტალურ სექციაში მოცემული ჩამონათვალისა.	(1) შეზღუდვა არ არის (2) შეზღუდვა არ არის (3) შეზღუდვა არ არის (4) ვალდებულება არ არის აღებული, გარდა ჰორიზონტალურ სექციაში მოცემული ჩამონათვალისა.	
2. საკომუნიკაციო მომსახურება			
B. საკურიერო მომსახურება (CPC 75121, გარდა კანონით ჩინეთის ფოსტის ორგანოებისთვის სპეციალურად განკუთვნილი მომსახურებისა)	(1) შეზღუდვა არ არის (2) შეზღუდვა არ არის (3) ქართველ მომსახურების მიმწოდებლებს შეუძლიათ დააფუძნონ მთლიანად უცხოურ საკუთრებაში არსებული შვილობილი კომპანიები. (4) ვალდებულება არ არის აღებული, გარდა ჰორიზონტალურ სექციაში მოცემული ჩამონათვალისა.	(1) შეზღუდვა არ არის (2) შეზღუდვა არ არის (3) შეზღუდვა არ არის (4) ვალდებულება არ არის აღებული, გარდა ჰორიზონტალურ სექციაში მოცემული ჩამონათვალისა.	
C. სატელეკომუნიკაციო მომსახურება[20] დამატებითი ღირებულების მომსახურება შემდეგის ჩათვლით:			

(h) ელექტრონული ფოსტა (i) ხმოვანი ფოსტა (j) ონლაინ ინფორმაცია და მონაცემთა ბაზაში ძიება (k) ელექტრონული ინფორმაციის გაცვლა (l) გაფართოებული/დამატებითი ფაქსიმილური მომსახურება (შენახვის და გადამისამართების, შენახვისა და მოძიების ჩათვლით (m) კოდისა და პროტოკოლის გარდაქმნა (n) ონლაინ ინფორმაცია ან/და მონაცემთა დამუშავება (ტრანზაქციის დამუშავების ჩათვლით)	(1) იხ. მე-3 რეჟიმი (2) შეზღუდვა არ არის (3) ქართველ მომსახურების მიმწოდებელს შეუძლია დააფუძნოს დამატებითი ღირებულების სატელეკომუნიკაციო ერთობლივი საწარმო და უცხოური ინვესტიცია ერთობლივ საწარმოში არ უნდა აჭარბებდეს 50 პროცენტს. (4) ვალდებულება არ არის აღებული, გარდა ჰორიზონტალურ სექციაში მოცემული ჩამონათვალისა.	(1) შეზღუდვა არ არის (2) შეზღუდვა არ არის (3) შეზღუდვა არ არის (4) ვალდებულება არ არის აღებული, გარდა ჰორიზონტალურ სექციაში მოცემული ჩამონათვალისა.	ჩინეთი იღებს ვალდებულებებს რომელსაც შეიცავს თანდართული. დოკუმენტი დანართ 1-ში.
ძირითადი სატელეკომუნიკაციო მომსახურება - პეიჯერული მომსახურება	(1) იხ. მე-3 რეჟიმი (2) შეზღუდვა არ არის (3) ქართველ მომსახურების მიმწოდებელს შეუძლია დააფუძნოს ერთობლივი საწარმო და უცხოური ინვესტიცია ერთობლივ საწარმოში არ უნდა აჭარბებდეს 50 პროცენტს. (4) ვალდებულება არ არის აღებული, გარდა ჰორიზონტალურ სექციაში მოცემული ჩამონათვალისა.	(1) შეზღუდვა არ არის (2) შეზღუდვა არ არის (3) შეზღუდვა არ არის (4) ვალდებულება არ არის აღებული, გარდა ჰორიზონტალურ სექციაში მოცემული ჩამონათვალისა.	ჩინეთი იღებს ვალდებულებებს რომელსაც შეიცავს თანდართული. დოკუმენტი დანართ 1-ში.
მობილური ხმოვანი და ინფორმაცის მომსახურება: - ანალოგიური/ციფრული ფიჭური მომსახურება - პერსონალური საკომუნიკაციო მომსახურება	(1) იხ. მე-3 რეჟიმი (2) შეზღუდვა არ არის (3) ქართველ მომსახურების მიმწოდებელს შეუძლია დააფუძნოს მხოლოდ ერთობლივი საწარმო და უცხოური ინვესტიცია ერთობლივ საწარმოში არ უნდა აჭარბებდეს 49 პროცენტს. (4) ვალდებულება არ არის აღებული, გარდა ჰორიზონტალურ სექციაში მოცემული ჩამონათვალისა.	(1) შეზღუდვა არ არის (2) შეზღუდვა არ არის (3) შეზღუდვა არ არის (4) ვალდებულება არ არის აღებული, გარდა ჰორიზონტალურ სექციაში მოცემული ჩამონათვალისა.	

- შიდა მომსახურება (a) ხმოვანი სატელეფონო მომსახურება (b) პაკეტური კომუტაციის მონაცემთა გადაცემის მომსახურება (c) საარხო კომუტაციის მონაცემთა გადაცემის მომსახურება (f) ფაქსიმილური მომსახურება (g) კერძო საიჯარო საარხო მომსახურება - საერთაშორისო მომსახურება (a) ხმოვანი სატელეფონო მომსახურება (b) პაკეტური კომუტაციის მონაცემთა გადაცემის მომსახურება (c) საარხო კომუტაციის მონაცემთა გადაცემის მომსახურება (f) ფაქსიმილური მომსახურება (g) დახურული საერთაშორისო მომხმარებელთა ჯგუფის ხმოვანი და მონაცემების მომსახურება (დაშვებულია კერძო საიჯარო საარხო მომსახურების გამოყენება)	(1) იხ. მე-3 რეჟიმი (2) შეზღუდვა არ არის (3) ქართველ მომსახურების მიმწოდებელს შეუძლია დააფუძნოს მხოლოდ ერთობლივი საწარმო და უცხოური ინვესტიცია ერთობლივ საწარმოში არ უნდა აჭარბებდეს 49 პროცენტს. (4) ვალდებულება არ არის აღებული, გარდა ჰორიზონტალურ სექციაში მოცემული ჩამონათვალისა.	(1) შეზღუდვა არ არის (2) შეზღუდვა არ არის (3) შეზღუდვა არ არის (4) ვალდებულება არ არის აღებული, გარდა ჰორიზონტალურ სექციაში მოცემული ჩამონათვალისა.	
D. აუდიოვიზუალური მომსახურება - ვიდეოს, მათ შორის გასართობი პროგრამების და (CPC 83202), დისტრიბუციის მომსახურება - ხმის ჩანაწერების დისტრიბუციის მომსახურება	(1) შეზღუდვა არ არის (2) შეზღუდვა არ არის (3) ქართველ მომსახურების მიმწოდებელს შეუძლია დააფუძნოს მხოლოდ საკონტრაქტო ერთობლივი საწარმო ჩინელ პარტნიორთან აუდიოვიზუალური პროდუქციის დისტრიბუციაში ჩასართავად, გარდა კინოფილმებისა, აუდიო და ვიდეო შინაარსის შემოწმების ჩინეთის უფლების შეუზღუდავად (იხ. სქოლიო 3).	(1) შეზღუდვა არ არის (2) შეზღუდვა არ არის (3) შეზღუდვა არ არის (4) ვალდებულება არ არის	ჩინეთის ფირმების ადმინისტრირების რეგულაციისთვის ზიანის მიუყენებლად, დაშვებულია კინოფირის იმპორტი თეატრში გაშვებისთვის უცხო ქვეყნებიდან შემოსავლის გაზიარების მიზნით, და ასეთი იმპორტის რაოდენობა წელიწადში 20-ია.

	(4) ვალდებულება არ არის აღებული, გარდა ჰორიზონტალურ სექციაში მოცემული ჩამონათვალისა.	აღებული, გარდა ჰორიზონტალურ სექციაში მოცემული ჩამონათვალისა.	
- კინოთეატრის მომსახურება	(1) შეზღუდვა არ არის (2) შეზღუდვა არ არის (3) ქართველ მომსახურების მიმწოდებლებს შეუძლიათ ააშენონ და რესტავრაცია გაუკეთონ კინოთეატრებს, უცხოური ინვესტიცია არ უნდა აჭარბებდეს 49 პროცენტს. (4) ვალდებულება არ არის აღებული, გარდა ჰორიზონტალურ სექციაში მოცემული ჩამონათვალისა.	(1) შეზღუდვა არ არის (2) შეზღუდვა არ არის (3) შეზღუდვა არ არის (4) ვალდებულება არ არის აღებული, გარდა ჰორიზონტალურ სექციაში მოცემული ჩამონათვალისა.	
3. მშენებლობა და მასთან	(1) ვალდებულება არ არის აღებული* (2) შეზღუდვა არ არის (3) დაშვებულია ერთობლივი საწარმო უცხოური კაპიტალის მეტი წილით. დაიშვება მთლიანად უცხოურ საკუთრებაში არსებული საწარმოები. მთლიანად უცხოურ საკუთრებაში არსებულმა საწარმოებმა შესაძლოა შეასრულონ მხოლოდ შემდეგი ოთხი ტიპის სამშენებლო პროექტი: 1. მთლიანად უცხოური ინვესტიციით და/ან გრანტით დაფინანსებული სამშენებლო პროექტები. 2. საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების მიერ	(1) ვალდებულება არ არის აღებული* (2) შეზღუდვა არ არის (3) შეზღუდვა არ არის	

დაკავშირებული საინჟინრო მომსახურება (CPC 511, 512, 513[21], 514, 515, 516, 517, 518[22])	დაფინანსებული სამშენებლო პროექტები, რომელიც სესხის პირობების თანახმად მიენიჭა საერთაშორისო ტენდერით. 3. ჩინურ-უცხოური ერთობლივი მშენებლობის პროექტები, რომელშიც უცხოური ინვესტიცია ტოლია ან მეტია 50 პროცენტისა; ჩინურ-უცხოური ერთობლივი მშენებლობის პროექტები, რომელშიც უცხოური ინვესტიცია 50 პროცენტზე ნაკლებია მაგრამ მხოლოდ ჩინური სამშენებლო საწარმოებისთვის ტექნიკურად რთულად შესასრულებელია. 4. ჩინეთის მიერ ინვესტირებული მშენებლობის პროექტები, რომელიც ჩინური სამშენებლო საწარმოებისთვის ტექნიკურად რთულად შესასრულებელია შესაძლოა განხორციელებულ იქნეს ჩინური და უცხოური სამშენებლო საწარმოს მიერ ერთობლივად, პროვინციის მთავრობის ნებართვის შემდეგ. (4) ვალდებულება არ არის აღებული, გარდა ჰორიზონტალურ სექციაში მოცემული ჩამონათვალისა.	(4) ვალდებულება არ არის აღებული, გარდა ჰორიზონტალურ სექციაში მოცემული ჩამონათვალისა.	
4. სადისტრიბუციო მომსახურება (დანართ 2-ის განმარტების შესაბამისად)			
			ქართულ საწარმოებს შეუძლიათ ჩინეთში დამზადებული თავიანთი პროდუქტების დისტრიბუცია, მათ შორის ბაზარზე დაშვების ან

A. საკომისიო აგენტების მომსახურება (მარილისა და თამბაქოს გარდა) B. საბითუმო ვაჭრობის მომსახურება (მარილისა და თამბაქოს გარდა)	(1) ვალდებულება არ არის აღებული (2) შეზღუდვა არ არის (3) დაიშვება მთლიანად უცხოურ საკუთრებაში არსებული საწარმოები. (4) ვალდებულება არ არის აღებული, გარდა ჰორიზონტალურ სექციაში მოცემული ჩამონათვალისა.	(1) ვალდებულება არ არის აღებული (2) შეზღუდვა არ არის (3) შეზღუდვა არ არის (4) ვალდებულება არ არის აღებული, გარდა ჰორიზონტალურ სექციაში მოცემული ჩამონათვალისა.	სექტორისა და ქვესექტორის სვეტში ჩამოთვლილი პროდუქტები, და უზრუნველყონ დანართ 2-ში განმარტებული დამხმარე მომსახურება. ქართულ მომსახურების მიმწოდებლებს შეუძლიათ უზრუნველყონ დაკავშირებული დამხმარე მომსახურების სრული სპექტრი, მათ შორის გაყიდვების შემდგომი მომსახურება, განმარტებული დანართ 2-ში, იმ პროდუქტებისთვის რომლის დისტრიბუციასაც ახდენენ.
C. საცალო ვაჭრობის მომსახურება (თამბაქოს გარდა).	(1) ვალდებულება არ არის აღებული გარდა საფოსტო შეკვეთებისა. (2) შეზღუდვა არ არის (3) დაიშვება მთლიანად უცხოურ საკუთრებაში არსებული საწარმოები, გარდა მაღაზიათა ქსელისა, რომლებიც ყიდიან სხვადასხვა ტიპის და ბრენდის პროდუქტს სხვადასხვა მიმწოდებლისგან 30-ზე მეტი გასაღების ბაზრით. ამგვარი 30-ზე მეტი გასაღების ბაზრით მაღაზიათა ქსელში, არ არის დაშვებული ფლობა უცხოური კაპიტალის უმეტესობით თუ ეს ქსელი ეწევა ჩამოთვლილთაგან რომელიმე პროდუქტის დისტრიბუციას: წიგნები, გაზეთები, ჟურნალები, ფარმაცევტული პროდუქცია, პესტიციდები, ნიადაგის დამულჩვის ლენტები, დამუშავებული ნავთობი, დასამუშავებელი, ქიმიური სასუქი და ჩინეთის WTO-ში გაწევრიანების პროტოკოლის (WT/L/432) დანართ 2a-ში ჩამოთვლილი პროდუქტები. მაღაზიათა ქსელის ქართველ ოპერატორებს აქვთ თავისუფლება აირჩიონ ჩინეთის კანონებისა და რეგულაციების შესაბამისად ჩინეთში დაფუძნებული პარტნიორი. (4) ვალდებულება არ არის აღებული, გარდა ჰორიზონტალურ სექციაში მოცემული ჩამონათვალისა.	(1) ვალდებულება არ არის აღებული გარდა საფოსტო შეკვეთებისა. (2) შეზღუდვა არ არის (3) შეზღუდვა არ არის (4) ვალდებულება არ არის აღებული, გარდა ჰორიზონტალურ სექციაში მოცემული ჩამონათვალისა.	ქართულ საწარმოებს შეუძლიათ ჩინეთში მათ მიერ წარმოებული პროდუქციის დისტრიბუცია, მათ შორის ბაზარზე დაშვებასთან დაკავშირებული შეზღუდვების სვეტში გამორიცხული პროდუქტების და უზრუნველყონ დაქვემდებარებული მომსახურება დანართ 2-ის შესაბამისად. ქართველ მომსახურების მიმწოდებლებს შეუძლიათ დაკავშირებული დაქვემდებარებული მომსახურების სრულად მიწოდება, მათ შორის გაყიდვების შემდგომი მომსახურება დანართი 2-ის შესაბამისად, იმ პროდუქტებისთვის რომლის დისტრიბუციასაც ახდენენ.

D. ფრენჩაიზინგი	(1) შეზღუდვა არ არის (2) შეზღუდვა არ არის (3) შეზღუდვა არ არის (4) ვალდებულება არ არის აღებული, გარდა ჰორიზონტალურ სექციაში მოცემული ჩამონათვალისა.	(1) შეზღუდვა არ არის (2) შეზღუდვა არ არის (3) შეზღუდვა არ არის (4) ვალდებულება არ არის აღებული, გარდა ჰორიზონტალურ სექციაში მოცემული ჩამონათვალისა.	
E. საბითუმო და საცალო სავაჭრო მომსახურება ფიქსირებული ლოკაციისგან მოშორებით.	(1) შეზღუდვა არ არის (2) შეზღუდვა არ არის (3) შეზღუდვა არ არის[23] (4) ვალდებულება არ არის აღებული, გარდა ჰორიზონტალურ სექციაში მოცემული ჩამონათვალისა.	(1) შეზღუდვა არ არის (2) შეზღუდვა არ არის (3) შეზღუდვა არ არის (4) ვალდებულება არ არის აღებული, გარდა ჰორიზონტალურ სექციაში მოცემული ჩამონათვალისა.	
5. მომსახურება განათლების სფეროში (გარდა სპეციალური საგანმანათლებლო მომსახურებისა. მაგ: სამხედრო, პოლიციის, პოლიტიკური და პარტიული სასკოლო განათლება) A. დაწყებითი განათლების მომსახურება (CPC 921, ეროვნული სავალდებულო განათლების გარდა CPC 92190) B. საშუალო განათლების მომსახურება (CPC 922, ეროვნული სავალდებულო განათლების გარდა CPC 92210) C. უმაღლესი განათლების მომსახურება (CPC 923) D. ზრდასრულთა განათლება (CPC 924) E. სხვა საგანმანათლებლო მომსახურება (CPC 929, მათ შორის ინგლისური ენის შესწავლა)	(1) ვალდებულება არ არის აღებული (2) შეზღუდვა არ არის (3) ერთობლივი სკოლების დაფუძნება, უცხოური კაპიტალის უმეტესობით ნებადართულია. (4) ვალდებულება არ არის აღებული, გარდა ჰორიზონტალურ სექციაში მოცემული ჩამონათვალისა და შემდგომისა: მომსახურების ქართველი ინდივიდუალური მიმწოდებლები შეიძლება ჩინეთში შევიდნენ მომსახურების მისაწოდებლად ჩინური სკოლის და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებების მოწვევით ან დაქირავებით.	(1) ვალდებულება არ არის აღებული (2) შეზღუდვა არ არის (3) ვალდებულება არ არის აღებული (4) საჭირო კვალიფიკაციები: ბაკალავრის ხარისხი ან უფრო მაღალი; და შესაბამისი პროფესიული ტიტული ან სერტიფიკატი, ორწლიანი პროფესიული გამოცდილებით.	
6. გარემოსდაცვითი მომსახურება			

(გარდა გარემოს ხარისხის კონტროლისა და დაბინძურების წყაროს ინსპექტირების მომსახურებისა)			
A. საკანალიზაციო მომსახურება (CPC 9401)	(1) ვალდებულება არ არის აღებული გარდა გარემოსდაცვითი საკონსულტაციო მომსახურებისა. (2) შეზღუდვა არ არის (3) უცხოელ გარემოსდაცვითი მომსახურების მიმწოდებლებს შეუძლიათ მიაწოდონ მომსახურება მხოლოდ ერთობლივი საწარმოს მეშვეობით, დაშვებულია უცხოური კაპიტალის უმრავლესობით მონაწილეობა. (4) ვალდებულება არ არის აღებული, გარდა ჰორიზონტალურ სექციაში მოცემული ჩამონათვალისა.	(1) შეზღუდვა არ არის (2) შეზღუდვა არ არის (3) შეზღუდვა არ არის (4) ვალდებულება არ არის აღებული, გარდა ჰორიზონტალურ სექციაში მოცემული ჩამონათვალისა.	
B. ნარჩენების გატანის მომსახურება (CPC 9402)	(1) ვალდებულება არ არის აღებული გარდა გარემოსდაცვითი საკონსულტაციო მომსახურებისა. (2) შეზღუდვა არ არის (3) უცხოელ გარემოსდაცვითი მომსახურების მიმწოდებლებს შეუძლიათ მიაწოდონ მომსახურება მხოლოდ ერთობლივი საწარმოს მეშვეობით, დაშვებულია უცხოური კაპიტალის უმრავლესობით მონაწილეობა. (4) ვალდებულება არ არის აღებული, გარდა ჰორიზონტალურ სექციაში მოცემული ჩამონათვალისა.	(1) შეზღუდვა არ არის (2) შეზღუდვა არ არის (3) შეზღუდვა არ არის (4) ვალდებულება არ არის აღებული, გარდა ჰორიზონტალურ სექციაში მოცემული ჩამონათვალისა.	
C. გამონაბოლქვი გაზების გაწმენდის მომსახურება (CPC 9404)	(1) ვალდებულება არ არის აღებული გარდა გარემოსდაცვითი საკონსულტაციო მომსახურებისა. (2) შეზღუდვა არ არის (3) უცხოელ გარემოსდაცვითი მომსახურების მიმწოდებლებს შეუძლიათ მიაწოდონ მომსახურება მხოლოდ ერთობლივი საწარმოს მეშვეობით, დაშვებულია უცხოური კაპიტალის უმრავლესობით მონაწილეობა. (4) ვალდებულება არ არის აღებული, გარდა ჰორიზონტალურ სექციაში მოცემული ჩამონათვალისა.	(1) შეზღუდვა არ არის (2) შეზღუდვა არ არის (3) შეზღუდვა არ არის (4) ვალდებულება არ არის აღებული, გარდა ჰორიზონტალურ სექციაში მოცემული ჩამონათვალისა.	

D. ხმაურის შემცირების მომსახურება (CPC 9405)	(1) ვალდებულება არ არის აღებული გარდა გარემოსდაცვითი საკონსულტაციო მომსახურებისა. (2) შეზღუდვა არ არის (3) უცხოელ გარემოსდაცვითი მომსახურების მიმწოდებლებს შეუძლიათ მიაწოდონ მომსახურება მხოლოდ ერთობლივი საწარმოს მეშვეობით, დაშვებულია უცხოური კაპიტალის უმრავლესობით მონაწილეობა. (4) ვალდებულება არ არის აღებული, გარდა ჰორიზონტალურ სექციაში მოცემული ჩამონათვალისა.	(1) შეზღუდვა არ არის (2) შეზღუდვა არ არის (3) შეზღუდვა არ არის (4) ვალდებულება არ არის აღებული, გარდა ჰორიზონტალურ სექციაში მოცემული ჩამონათვალისა.	
E. გარემოსა და ლანდშაფტის დაცვის მომსახურება (CPC 9406)	(1) ვალდებულება არ არის აღებული გარდა გარემოსდაცვითი საკონსულტაციო მომსახურებისა. (2) შეზღუდვა არ არის (3) უცხოელ გარემოსდაცვითი მომსახურების მიმწოდებლებს შეუძლიათ მიაწოდონ მომსახურება მხოლოდ ერთობლივი საწარმოს მეშვეობით, დაშვებულია უცხოური კაპიტალის უმრავლესობით მონაწილეობა. (4) ვალდებულება არ არის აღებული, გარდა ჰორიზონტალურ სექციაში მოცემული ჩამონათვალისა.	(1) შეზღუდვა არ არის (2) შეზღუდვა არ არის (3) შეზღუდვა არ არის (4) ვალდებულება არ არის აღებული, გარდა ჰორიზონტალურ სექციაში მოცემული ჩამონათვალისა.	
F. სხვა გარემოს დაცვითი მომსახურება (CPC 9409)	(1) ვალდებულება არ არის აღებული გარდა გარემოსდაცვითი საკონსულტაციო მომსახურებისა. (2) შეზღუდვა არ არის (3) უცხოელ გარემოსდაცვითი მომსახურების მიმწოდებლებს შეუძლიათ მიაწოდონ მომსახურება მხოლოდ ერთობლივი საწარმოს მეშვეობით, დაშვებულია უცხოური კაპიტალის უმრავლესობით მონაწილეობა. (4) ვალდებულება არ არის აღებული, გარდა ჰორიზონტალურ სექციაში მოცემული ჩამონათვალისა.	(1) შეზღუდვა არ არის (2) შეზღუდვა არ არის (3) შეზღუდვა არ არის (4) ვალდებულება არ არის აღებული, გარდა ჰორიზონტალურ სექციაში მოცემული ჩამონათვალისა.	
	(1) ვალდებულება არ არის აღებული გარდა გარემოსდაცვითი საკონსულტაციო მომსახურებისა. (2) შეზღუდვა არ არის	(1) შეზღუდვა არ არის (2) შეზღუდვა არ არის (3) შეზღუდვა არ არის	

G. სანიტარული მომსახურება (CPC 9403)	(3) უცხოელ გარემოსდაცვითი მომსახურების მიმწოდებლებს შეუძლიათ მიაწოდონ მომსახურება მხოლოდ ერთობლივი საწარმოს მეშვეობით, დაშვებულია უცხოური კაპიტალის უმრავლესობით მონაწილეობა. (4) ვალდებულება არ არის აღებული, გარდა ჰორიზონტალურ სექციაში მოცემული ჩამონათვალისა.	(4) ვალდებულება არ არის აღებული, გარდა ჰორიზონტალურ სექციაში მოცემული ჩამონათვალისა.	
7. ფინანსური მომსახურება			
თავი 10

კონკურენცია

მუხლი 10.1. მიზანი

თითოეული მხარე აცნობიერებს, რომ ანტიკონკურენციული ბიზნეს ქმედებების აკრძალვა,

კონკურენციის პოლიტიკის განხორციელება და კონკურენციის საკითხებთან დაკავშირებით თანამშრომლობა ხელს უწყობს ვაჭრობის ლიბერალიზაციას, ეკონომიკური ეფექტიანობის წახალისებასა და მომხმარებელთა კეთილდღეობას.

მუხლი 10.2. განმარტებები

წინამდებარე თავის მიზნებისთვის:

1. **ანტიკონკურენციული ბიზნეს ქმედებები** ნიშნავს ისეთი ტიპის ბიზნეს აქტივობას ან ტრანზაქციას, რომელიც არ შეესაბამება წინამდებარე შეთანხმების ფუნქციონირებას, იმდენად, რამდენადაც მან შესაძლოა გავლენა იქონიოს მხარეებს შორის ვაჭრობაზე, კერძოდ:

(a) საწარმოებს შორის შეთანხმებები, საწარმოთა ასოციაციების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და შეთანხმებული ქმედებები, რომელთა მიზანი ან შედეგია რომელიმე მხარის ტერიტორიაზე ან მის მნიშვნელოვან ნაწილზე კონკურენციის შეზღუდვა, დაუშვებლობა ან აკრძალვა;

(b) ერთი ან რამდენიმე საწარმოს მიერ დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, რომელიმე მხარის ტერიტორიაზე ან მის მნიშვნელოვან ნაწილზე;

(c) საწარმოებს შორის კონცენტრაცია, რომელიც იწვევს რომელიმე მხარის ტერიტორიაზე ან მის მნიშვნელოვან ნაწილზე დომინირებული მდგომარეობის მოპოვებას ან გამყარებას და მნიშვნელოვნად ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას.

2. **კონკურენციის კანონმდებლობა** გულისხმობს:

(a) საქართველოსთვის, „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონს, მის საფუძველზე მიღებულ რეგულაციებსა და ცვლილებებს, ასევე, ეკონომიკის რეგულირებადი სფეროების კანონმდებლობას;

(b) ჩინეთისთვის, ანტიმონოპოლიურ კანონს, მის საფუძველზე მიღებულ რეგულაციებსა და ცვლილებებს.

მუხლი 10.3. კონკურენციის კანონმდებლობა და აღმასრულებელი ორგანოები

1. თითოეული მხარე შეინარჩუნებს ან მიიღებს კონკურენციის კანონმდებლობას, რომელიც, ანტიკონკურენციული ბიზნეს ქმედებების აკრძალვის გზით, ხელს შეუწყობს და დაიცავს ბაზარზე კონკურენციას.

2. თითოეულმა მხარემ უნდა უზრუნველყოს კონკურენციის შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის აღსრულებაზე პასუხისმგებელი ორგანოს ან ორგანოების არსებობა.

მუხლი 10.4. კანონის აღსრულების პრინციპები

1. კონკურენციის კანონის აღსრულების პროცესში, თითოეული მხარე უზრუნველყოფს გამჭვირვალობის, არადისკრიმინაციულობისა და პროცედურული სამართლიანობის პრინციპების დაცვას.

2. კონკურენციის კანონის აღსრულების პროცესში, თითოეულმა მხარემ უნდა უზრუნველყოს როგორც ამ შეთანხმების მონაწილე, ისე არახელშემკვრელი მხარის მიმართ თანაბარი მოპყრობა მსგავს ვითარებაში.

3. თითოეული მხარე უზრუნველყოფს პირის უფლებას, თავის დაცვის მიზნით, წარმოადგინოს მოსაზრებები ან მტკიცებულებები, მანამ, სანამ მოკვლევის შედეგად დადგინდება, რომ ქმედება არღვევს კონკურენციის კანონმდებლობას, ან სანამ პირს დაეკისრება სანქცია ან სხვა ზომები კონკურენციის ეროვნული კანონმდებლობის დარღვევისათვის.

4. თითოეული მხარე უზრუნველყოფს იმ პირის შესაძლებლობას, რომელსაც, კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევისათვის დაეკისრა სანქცია ან სხვა ზომები, მოითხოვოს მათი გადახედვა, შესაბამისი მხარის შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობისა და რეგულაციების შესაბამისად.

მუხლი 10.5. გამჭვირვალობა

1. თითოეული მხარე უზრუნველყოფს კონკურენციის შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის, რეგულაციების, სახელმძღვანელო წესების, ასევე, შესაბამისი კანონებისა და რეგულაციების ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა წესის საჯაროობას, გარდა შიდა ოპერაციული პროცედურებისა.

2. თითოეული მხარე უზრუნველყოფს, რომ მისი ყველა საბოლოო ადმინისტრაციული გადაწყვეტილება, რომლითაც დადგინდება კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევა, გამოცემული იქნება წერილობითი ფორმით და მოიცავს შესაბამის ფაქტებსა და სამართლებრივ საფუძველს, რომელსაც გადაწყვეტილება ეფუძნება.

3. თითოეული მხარე ეცდება, შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობისა და რეგულაციების შესაბამისად, გაასაჯაროოს გადაწყვეტილებები და მის აღსასრულებლად გამოცემული ბრძანებები, გარდა ნებისმიერი კომერციული საიდუმლოებისა ან სხვა ინფორმაციისა, რომელიც შესაბამისი კანონით დაცულია საჯარო გამჟღავნებისგან.

მუხლი 10.6. თანამშრომლობა

1. მხარეები აღიარებენ, კონკურენციის სფეროში, სამართლიანი კონკურენციის ხელშეწყობის მიზნით, თანამშრომლობისა და კოორდინაციის მნიშვნელობას.

2. მოთხოვნის შემთხვევაში, მხარეები ითანამშრომლებენ შეტყობინების, კონსულტაციებისა და ინფორმაციის გაცვლის გზით.

3. მხარეები თანხმდებიან, რომ ითანამშრომლებენ თავიანთი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობისა და რეგულაციების შესაბამისად, არსებული ადმინისტრაციული რესურსის ფარგლებში.

მუხლი 10.7. ინფორმაციის კონფიდენციალურობა

1. წინამდებარე თავი არ გულისხმობს მხარეთა კონკურენციის აღმასრულებელი ორგანოების მიერ, ისეთი ინფორმაციის გაზიარებას, თუ ეს ეწინააღმდეგება მხარის შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობას, რეგულაციებსა და მნიშვნელოვან ინტერესებს.

2. მხარეები უზრუნველყოფენ ნებისმიერი ინფორმაციის კონფიდენციალურობას, რომელიც მეორე მხარის მიერ მიეწოდათ კონფიდენციალური ინფორმაციის სახით. მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ ინფორმაციას:

(a) ვალდებულია გამოიყენოს იგი მხოლოდ მოთხოვნის დროს განსაზღვრული მიზნებისთვის, თუ ინფორმაციის გამცემი მხარისგან მიღებული ექნება შესაბამისი ნებართვა;

(b) ვალდებულია, არ გაამჟღავნოს მიღებული ინფორმაცია ნებისმიერ სხვა ორგანოსთან, ერთეულთან ან პირთან, რომელიც არ არის უფლებამოსილი პირი, ინფორმაციის გამცემი მხარის კონკურენციის აღმასრულებელი ორგანოსგან;

(c) ვალდებულია, შეასრულოს ინფორმაციის გამცემი მხარის კონკურენციის აღმასრულებელი ორგანოს მიერ მოთხოვნილი ნებისმიერი სხვა პირობა.

მუხლი 10.8. ტექნიკური თანამშრომლობა

მხარეებმა შესაძლოა წაახალისონ ტექნიკური თანამშრომლობა, მათ შორის, გამოცდილების გაზიარება, სასწავლო პროგრამები, სამუშაო შეხვედრები და კვლევითი თანამშრომლობა, კონკურენციის პოლიტიკასა და კანონის აღსრულებასთან მიმართებით, კონკურენციის აღმასრულებელ ორგანოთა შესაძლებლობების გაზრდის მიზნით.

მუხლი 10.9. კონკურენციის აღმასრულებელი ორგანოების დამოუკიდებლობა

წინამდებარე თავი არ ზღუდავს თითოეული მხარის დამოუკიდებლობას, კონკურენციის სფეროში საკუთარი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის აღსრულების პროცესში.

მუხლი 10.10. დავების მოგვარება

არცერთ მხარეს არ აქვს უფლება, წინამდებარე შეთანხმებით განსაზღვრული დავების მოგვარების პროცედურა გამოიყენოს ამ თავით გათვალისწინებულ საკითხებთან მიმართებით. წინამდებარე თავის დებულებების ინტერპრეტაციასა თუ იმპლემენტაციასთან დაკავშირებული ნებისმიერი განსხვავება ან დავა გადაწყდება მხარეთა შორის მეგობრული კონსულტაციების გზით.

მუხლი 10.11. კონსულტაციები

მხარეთა შორის ურთიერთგაგების ხელშეწყობის, ან ამ თავით გათვალისწინებული კონკრეტული საკითხების გადაწყვეტის მიზნით, თითოეული მხარე, მეორე მხარის მოთხოვნის საფუძველზე, გამართავს კონსულტაციებს მეორე მხარის მიერ წარმოდგენილ საკითხებთან დაკავშირებით. მხარე ვალდებულია, საჭიროების შემთხვევაში, აღნიშნულ მოთხოვნაში მიუთითოს, თუ რა გავლენას ახდენს დასმული საკითხი მხარეებს შორის ვაჭრობასა თუ ინვესტიციებზე.

თავი 11

ინტელექტუალური საკუთრება

მუხლი 11.1. მიზანი და პრინციპები

წინამდებარე თავის მიზანია ვაჭრობიდან და ინვესტიციებიდან მიღებული სარგებლის გაზრდა ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა დაცვისა და აღსრულების გზით. მხარეები აღიარებენ, რომ:

(a) ინტელექტუალური საკუთრების გამჭვირვალე სისტემების შექმნა და შენარჩუნება და ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა ადეკვატური და ეფექტიანი დაცვისა და აღსრულების ხელშეწყობა და შენარჩუნება უზრუნველყოფს სიცხადეს უფლებების მფლობელთათვის და მოსარგებლეთათვის;

(b) ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა დაცვა და აღსრულება ხელს უნდა უწყობდეს ტექნოლოგიური ინოვაციების პოპულარიზაციასა და ტექნოლოგიების გავრცელებას;

(c) ინტელექტუალური საკუთრების დაცვა ხელს უწყობს ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას და შეუძლია შეამციროს ხარვეზები და დაბრკოლებები საერთაშორისო ვაჭრობაში;

(d) ინტელექტუალური საკუთრების სისტემები ხელს უნდა უწყობდეს ღია, ინოვაციური და ეფექტიანი ბაზრების შექმნას, მათ შორის, ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა ეფექტიანად შექმნის, გამოყენების, დაცვისა და აღსრულების, შესაბამისი შეზღუდვებისა და გამონაკლისების დაწესებისა და უფლებათა მფლობელებს, მოსარგებლეებსა საზოგადოებრივ ინტერესს შორის სათანადო ბალანსის მიღწევის გზით;

(e) ინტელექტუალური საკუთრების სისტემები თავად არ უნდა იქცნენ კანონიერი ვაჭრობის ბარიერებად;

(f) შესაძლებელია საჭირო გახდეს სათანადო ზომების გატარება, იმ პირობით, თუ ისინი შეესაბამება „ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ (TRIPS)“ შეთანხმებისა[25] და წინამდებარე თავის დებულებებს, იმისათვის რომ თავიდან იქნეს აცილებული ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა ბოროტად გამოყენება მათი მფლობელების მიერ, ან ისეთი მეთოდების გამოყენება, რომლებიც უსაფუძვლოდ ზღუდავს ვაჭრობას, ეწინააღმდეგება კონკურენციას, ან უარყოფით ზემოქმედებას ახდენს საერთაშორისო დონეზე ტექნოლოგიების

გადაცემაზე; და

(g) შესაძლებელია გატარდეს ზომები, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვისა და კვებით უზრუნველყოფის მიზნით, იმ პირობით თუ ისინი შეესაბამება „ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ“ შეთანხმებისა და წინამდებარე თავის დებულებებს.

მუხლი 11.2. განმარტებები

წინამდებარე თავის მიზნებისთვის, თუ საპირისპირო განზრახვა არ წარმოიშვა:

(a) **ინტელექტუალური საკუთრების უფლებები** - ეხება საავტორო და მომიჯნავე უფლებებს, სასაქონლო ნიშნებთან, გეოგრაფიულ აღნიშვნებთან, დიზაინთან, პატენტებთან და ინტეგრალური მიკროსქემების ტოპოლოგიასთან დაკავშირებულ უფლებებს, მცენარეთა ჯიშებიდან გამომდინარე უფლებებს, დახურულ ინფორმაციასთან დაკავშირებულ უფლებებს, როგორც ეს განსაზღვრული და აღწერილია „ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ (TRIPS)“ შეთანხმებაში;

(b) **მხარის მოქალაქე** - შესაბამის უფლებასთან მიმართებაში, მოიცავს მხარის იურიდიულ პირსაც, რომელიც აკმაყოფილებს დაცვის უფლების მინიჭების კრიტერიუმებს, როგორც ეს გათვალისწინებულია TRIPS-ის შეთანხმების მე-1.3 მუხლში მითითებულ შეთანხმებებში;

(c) **TRIPS-ის შეთანხმება** - ნიშნავს „ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ“ შეთანხმებას, რომელიც მითითებულია ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის შეთანხმების 1C დანართში; და

(d) **WIPO** - ნიშნავს ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციას.

მუხლი 11.3. ვალდებულებები წარმოადგენს მინიმალურ ვალდებულებებს

თითოეული მხარე, როგორც მინიმუმ, უზრუნველყოფს წინამდებარე თავის დებულებათა ამოქმედებას. მხარეს შეუძლია, მაგრამ ვალდებული არ არის, ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვისა და აღსრულების მიზნით გაატაროს უფრო ფართო ზომები, ვიდრე ამას წინამდებარე თავი ითვალისწინებს, იმ პირობით თუ დაცვისა და აღსრულების ეს დამატებითი ზომები წინამდებარე შეთანხმების დებულებებს არ ეწინააღმდეგება. თითოეული მხარე თავისუფლად განსაზღვრავს წინამდებარე თავის დებულებათა განხორციელების მეთოდს, თავისი საკანონმდებლო სისტემისა და პრაქტიკის შესაბამისად.

მუხლი 11.4. საერთაშორისო შეთანხმებები

თითოეული მხარე ადასტურებს თავის ვალდებულებას TRIPS-ის შეთანხმების ფარგლებში და ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა მრავალმხრივი შეთანხმების ფარგლებში, რომლის მხარესაც წარმოადგენს ორივე მხარე.

მუხლი 11.5. ინტელექტუალური საკუთრება და საზოგადოებრივი ჯანმრთელობა

მხარეები აღიარებენ „TRIPS-ის შეთანხმებისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ დოჰას დეკლარაციით გათვალისწინებულ პრინციპებს, რომელიც მიღებულ იქნა 2001 წლის 14 ნოემბერს, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის მინისტრთა კონფერენციის მიერ.

მუხლი 11.6. ამოწურვა

ეს თავი არ ზღუდავს მხარეთა თავისუფლებას თავად განსაზღვრონ გამოიყენება თუ არა, და რა პირობებში, ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ამოწურვის რეჟიმი. მხარეები თანხმდებიან შემდგომშიც განიხილონ საპატენტო უფლებების ამოწურვასთან დაკავშირებული შესაბამისი საკითხები.

მუხლი 11.7: მოპოვებასა და შენარჩუნების პროცედურები

თითოეული მხარე:

(a) გააგრძელებს მუშაობას ექსპერტიზისა და რეგისტრაციის საკუთარი სისტემების გაძლიერებისათვის, მათ შორის ექსპერტიზის პროცედურებისა და ხარისხის სისტემების გაუმჯობესების გზით;

(b) განმცხადებელს წერილობით შეატყობინებს ინტელექტუალური საკუთრების უფლების მინიჭებაზე ან რეგისტრაციაზე უარის თქმის მიზეზების შესახებ;

(c) დაინტერესებულ მხარეებს მისცემს შესაძლებლობას გაასაჩივრონ ინტელექტუალური საკუთრების უფლების მინიჭება ან რეგისტრაცია, ან მოითხოვონ ინტელექტუალური საკუთრების არსებული უფლების გაუქმება, ანულირება ან გაბათილება;

(d) მოითხოვს რომ გადაწყვეტილებები გასაჩივრების, გაუქმების, ანულირების ან გაბათილების შესახებ იყოს დასაბუთებული და წერილობით; და

(e) გულისხმობს, რომ წინამდებარე მუხლის მიზნებისთვის, „წერილობითი“ და „წერილობითი შეტყობინებების გაგზავნა“ ასევე მოიცავს კომუნიკაციას და ტექსტური შეტყობინებების გაგზავნას ელექტრონული ფორმით.

მუხლი 11.8. პატენტუნარიანობის საკითხი

1. მე-2 და მე-3 პუნქტების გათვალისწინებით, პატენტები გაიცემა ნებისმიერი სახის გამოგონებაზე, იქნება ეს პროდუქტი თუ პროცესი, ტექნოლოგიის ყველა სფეროში, იმ პირობით თუ იგი არის ახალი, გააჩნია საგამომგონებლო დონე და სამრეწველო გამოყენებადობა.

2. მხარეებს შეუძლიათ პატენტუნარიან გამოგონებებთან მიმართებით, გამორიცხონ თავიანთ ტერიტორიებზე მათი კომერციული გამოყენებისაგან აღკვეთის შესაძლებლობა, რაც აუცილებელია საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად, მათ შორის, ადამიანის, ცხოველის ან მცენარის სიცოცხლის ან ჯანმრთელობის დასაცავად, ან გარემოსთვის მნიშვნელოვანი ზიანის თავიდან ასაცილებლად, იმ პირობით, რომ ასეთი გამორიცხვა არ უნდა დაწესდეს მხოლოდ იმის გამო, რომ გამოყენება აკრძალულია მათი კანონმდებლობით.

3. მხარეებს ასევე შეუძლიათ პატენტუნარიანობიდან გამორიცხონ:

(a) დიაგნოსტიკური, თერაპიული და ქირურგიული მეთოდები ადამიანების ან ცხოველების მკურნალობისთვის;

(b) მცენარეები და ცხოველები, გარდა მიკრო-ორგანიზმებისა, და არსებითად ბიოლოგიური პროცესები მცენარეების ან ცხოველების გამოყვანისთვის, გარდა არა-ბიოლოგიური და მიკრობიოლოგიური პროცესებისა.

მუხლი 11.9. ცვლილებები, შესწორებები და შენიშვნები საპატენტო განაცხადებთან დაკავშირებით

თითოეულმა მხარემ პატენტზე განმცხადებლებს უნდა მისცეს შესაძლებლობა წარმოადგინონ ცვლილებები, შესწორებები და შენიშვნები თავიანთ საპატენტო განაცხადებთან დაკავშირებით, თითოეული მხარის კანონების, რეგულაციებისა და წესების შესაბამისად.

მუხლი 11.10. გამჭვირვალობა

ინტელექტუალური საკუთრების სისტემის ტრანსპარენტულობის ხელშეწყობის მიზნით, თითოეული მხარე ინტერნეტში გამოაქვეყნებს მონაცემთა ბაზებს გაცემულ ან რეგისტრირებულ გამოგონების პატენტზე, სასარგებლო მოდელზე, მცენარის ჯიშზე, დიზაინზე, სასაქონლო ნიშანსა და გეოგრაფიულ აღნიშვნაზე.

მუხლი 11.11. ნიშნების, როგორც სასაქონლო ნიშნების ტიპები

მხარეები თანხმდებიან ითანამშრომლონ სიმბოლოების სასაქონლო ნიშნებად, მათ შორის ვიზუალურ და ხმოვან ნიშნებად დაცვის მექნიზმებზე.

მუხლი 11.12. საყოველთაოდ ცნობილი სასაქონლო ნიშნები

მხარეებმა უნდა უზრუნველყონ საყოველთაოდ ცნობილი სასაქონლო ნიშნების დაცვა როგორც მინიმუმ TRIPS-ის შეთანხმების 16.2 და 16.3 მუხლისა და *„სამრეწველო საკუთრების დაცვის შესახებ“* პარიზის 1883 წლის 20 მარტის კონვენციის მე-6 *bis* მუხლის შესაბამისად.

მუხლი 11.13. გეოგრაფიული აღნიშვნები

1. თითოეული მხარე აღიარებს, რომ გეოგრაფიული აღნიშვნები შეიძლება დაცულ იქნეს სასაქონლო ნიშნის, ან *sui generis* სისტემის, ან სხვა სამართლებრივი მექანიზმების მეშვეობით.[26]

2. წინამდებარე შეთანხმების მიზნებისთვის, გეოგრაფიული აღნიშვნა არის აღნიშვნა, რომელიც მიუთითებს, რომ პროდუქტი წარმოიშვა მხარის ტერიტორიაზე, ან ამ ტერიტორიაზე არსებულ რეგიონში ან რაიონში, და რომ პროდუქტის ხარისხი, რეპუტაცია ან სხვა მახასიათებლები ძირითადად განპირობებულია მისი გეოგრაფიული წარმოშობით.

3. TRIPS-ის შეთანხმების 22-ე და 23-ე მუხლების შეუზღუდავად, მხარეები, წინამდებარე შეთანხმების შესაბამისად, მიიღებენ ყველა აუცილებელ ზომას, გეოგრაფიული აღნიშვნების ურთიერთდაცვის უზრუნველყოფის მიზნით ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, რომლებიც გამოიყენება მხარეთა ტერიტორიაზე წარმოშობილი საქონლის აღნიშვნის მიზნით. თითოეული მხარე დაინტერესებულ მხარეებს უზრუნველყოფს სამართლებრივი საშუალებებით იმისათვის, რომ აღიკვეთოს ამგვარი გეოგრაფიული აღნიშვნების გამოყენება იდენტური ან მსგავსი საქონლისთვის, რომელიც არ არის წარმოშობილი იმ ადგილიდან, რომელზეც მიუთითებს კონკრეტული გეოგრაფიული აღნიშვნა.

მუხლი 11.14. სელექციონერთა უფლებები

მხარეები, თავიანთი კომპეტენტური უწყებების მეშვეობით, ითანამშრომლებენ სელექციონერთა უფლებების ხელშეწყობისა და მხარდაჭერის მიზნით, იმისათვის რომ:

(a) მოხდეს ორივე მხარის სელექციონერთა უფლებების მარეგულირებელი ადმინისტრაციული სისტემების უკეთესი ჰარმონიზება, მათ შორის გაუმჯობესდეს , საერთო ინტერესის სახეობათა დაცვა და ინფორმაციის გაცვლა; და

(b) შემცირდეს სელექციონერთა უფლებების ექსპერტიზის შესაბამის სისტემებს შორის პროცედურების ზედმეტი დუბლირების შემთხვევები.

მუხლი 11.15. საავტორო უფლებების კოლექტიური ერთობლივი მართვა

თითოეულმა მხარემ ხელი უნდა შეუწყოს შესაბამისი ორგანოების შექმნას საავტორო უფლებების კოლექტიური მართვის მიზნით და დაეხმაროს ამ ორგანოებს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მათი ეფექტიანი, გამჭვირვალე საქმიანობა და საკუთარი წევრების მიმართ ანგარიშვალდებულება.

მუხლი11.16. გენეტიკური რესურსები, ტრადიციული ცოდნა და ფოლკლორი

1. თითოეული მხარის საერთაშორისო ვალდებულებებისა და კანონმდებლობის შესაბამისად, მხარეები უფლებამოსილნი არიან შეიმუშაონ შესაბამისი ზომები გენეტიკური რესურსების, ტრადიციული ცოდნისა და ფოლკლორის დაცვის მიზნით.

2. მხარეები თანხმდებიან შეისწავლონ გენეტიკურ რესურსებთან, ტრადიციულ ცოდნასა და ფოლკლორთან დაკავშირებული საკითხების მომავალში განხილვის შესაძლებლობა, თავიანთ შესაბამის კანონებთან და მრავალმხრივ შეთანხმებებთან მიმართებაში განვითარებული მოვლენების გათვალისწინებით.

მუხლი 11.17. აღსრულება

1. თითოეული მხარე კისრულობს ვალდებულებას აამოქმედოს ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა აღსრულების ეფექტიანი სისტემები იმისათვის, რომ აღმოფხვრილ იქნეს იმ საქონლითა და მომსახურებებით ვაჭრობა, რომლითაც ირღვევა ინტელექტუალური საკუთრების უფლებები.

2. თითოეული მხარე უზრუნველყოფს სისხლის სამართლებრივი პროცედურებისა და სასჯელების TRIPS-ის შეთანხმების შესაბამისად გამოყენებას სულ მცირე ისეთ შემთხვევებში, როგორიცაა სასაქონლო ნიშნის განზრახ კონტრაფაქცია ან საავტორო უფლების მეკობრეობა კომერციული მიზნით. უფლებების განხორციელების სამართლებრივი საშუალებები უნდა მოიცავდეს პატიმრობას და/ან ფულად ჯარიმებს, საკმარისს იმისათვის, რომ შემაკავებელი ფაქტორის როლი შეასრულოს და თანაზომიერი იმ სასჯელებთან მიმართებაში, რომლებიც გამოიყენება შესაბამისი სიმძიმის დანაშაულებათა შემთხვევებში.

მუხლი 11.18. თანამშრომლობა - ზოგადი ნაწილი

1. თითოეული მხარე მეორე მხარის მოთხოვნით, გაუცვლის ინფორმაციას, რომელიც შეეხება:

(a) შესაბამის ადმინისტრაციაში ინტელექტუალური საკუთრების პოლიტიკას;

(b) ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ სისტემაში შეტანილ ცვლილებებს და ამ სისტემების განხორციელების პროცესში განვითარებულ მოვლენებს; და

(c) ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა მართვას და აღსრულებას.

2. თითოეული მხარე, მეორე მხარის მოთხოვნით, განიხილავს კერძო დაინტერესებული მხარეების ინტერესთა სფეროში შემავალ ინტელექტუალური საკუთრების უფლებებთან დაკავშირებულ საკითხებს და კითხვებს.

3. მხარეები შეისწავლიან არსებული შეთანხმებების ფარგლებში თანამშრომლობის გაგრძელების შესაძლებლობებს საერთო ინტერესის ისეთ სფეროებში, რომელთა მიზანია ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა სისტემის ფუნქციონირების, მათ შორის, ერთმანეთის იურისდიქციის ფარგლებში ადმინისტრაციული პროცესების გაუმჯობესება. ამგვარი თანამშრომლობა შეიძლება მოიცავდეს, და არა მხოლოდ, შემდეგ სფეროებს:

(a) საპატენტო ექსპერტიზის სფეროში სამუშაო გამოცდილების გაზიარება;

(b) ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა აღსრულება;

(c) ინტელექტუალურ საკუთრების საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლება;

(d) საპატენტო ექსპერტიზის ხარისხისა და ეფექტიანობის გაუმჯობესება; და

(e) პატენტის მიღების პროცედურის გამარტივება და მასთან დაკავშირებული ხარჯების შემცირება.

თავი 12

თანამშრომლობის სფეროები

მუხლი 12.1. ინვესტიციები

1. თითოეული მხარე, უცხოურ ინვესტიციებთან დაკავშირებით მათ მიერ გატარებული ზოგადი პოლიტიკიდან გამომდინარე, ხელს შეუწყობს თავის ტერიტორიაზე მეორე მხარის ინვესტორების მიერ ინვესტიციების განხორციელებას და განიხილავს ასეთ ინვესტიციებს შესაბამისი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობისა და მხარეებს შორის დადებული და ძალაში შესული საერთაშორისო შეთანხმებების ფარგლებში.

2. მხარეები დამატებით შეაფასებენ და აუცილებლობის შემთხვევაში, შეეცდებიან გამართონ მოლაპარაკებები საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას შორის გაფორმებულ ინვესტიციების წახალისებისა და ურთიერთდაცვის შესახებ შეთანხმების გადახედვის მიზნით.

მუხლი 12.2. ელექტრონული კომერცია

1. მხარეები აღიარებენ ელექტრონული კომერციის შედეგად გამოწვეულ ეკონომიკურ ზრდასა და შესაძლებლობას, მისი გამოყენებისა და განვითარების წახალისების მნიშვნელობას და WTO-ს შეთანხმების გამოყენებას იმ ზომებთან მიმართებით, რომლებიც გავლენას ახდენენ ელექტრონულ კომერციაზე.

2. მხარეები თანხმდებიან, რომ ერთმანეთს გაუზიარებენ ინფორმაციას და გამოცდილებას ელექტრონულ კომერციასთან დაკავშირებულ საკითხებზე, მათ შორის კანონებსა და რეგულაციებს, წესებსა და სტანდარტებს და საუკეთესო პრაქტიკას.

3. მხარეები წაახალისებენ თანამშრომლობას კვლევით და სასწავლო საქმიანობის სფეროში ელექტრონული კომერციის განვითარების მიზნით.

4. მხარეები ხელს შეუწყობენ ბიზნეს გაცვლებს, წაახალისებენ თანამშრომლობის ფარგლებში განსახორციელებელ ქმედებებსა და ელექტრონული კომერციის ერთობლივ პროექტებს.

5. მხარეები აქტიურად მიიღებენ მონაწილეობას რეგიონულ და მრავალმხრივ ფორმატებში დაგეგმილ ღონისძიებებში თანამშრომლობის გზით ელექტრონული კომერციის განვითარების ხელშეწყობის მიზნით.

თავი 13

გამჭვირვალობა

მუხლი 13.1. საჯაროობა

1. თითოეული მხარე უზრუნველყოფს, რომ ზოგადი გამოყენების კანონები, რეგულაციები, პროცედურები და ადმინისტრაციული გადაწყვეტილებები, რომლებმაც შესაძლოა გავლენა იქონიონ წინამდებარე შეთანხმებით გათვალისწინებულ რაიმე საკითხზე, დროულად იქნეს გამოქვეყნებული, მათ შორის, როდესაც მოსახერხებელია, ინტერნეტის მეშვეობით, ან საჯარო გახდეს სხვა ფორმით, იმგვარად, რომ დაინტერესებულ მხარეს მიეცეს მისი გაცნობის საშუალება.

2. მხარეები ვალდებულნი არიან დროულად გასცენ პასუხი კონკრეტულ კითხვებს და, მოთხოვნის შემთხვევაში, უზრუნველყონ ერთმანეთისთვის სრული ინფორმაციის მიწოდება პირველ პუნქტში განმარტებულ საკითხებთან დაკავშირებით.

3. წინამდებარე თავით განსაზღვრული არცერთი დებულება არ ავალდებულებს მხარეს, მეორე მხარეს მიაწოდოს ან მისცეს დაშვება ისეთ საიდუმლო ინფორმაციაზე, რომელიც შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის შესაბამისად მიჩნეულია საიდუმლო ინფორმაციად ან რომლის გამჟღავნება შეაფერხებს კანონის აღსრულებას ან სხვაგვარად ეწინააღმდეგება საჯარო ინტერესებს, ან რომელიც ლახავს კონკრეტული საჯარო თუ კერძო საწარმოს ლეგიტიმურ კომერციულ ინტერესებს.

მუხლი 13.2. შეტყობინება და ინფორმაციის მიწოდება

1. თითოეული მხარე ეცდება მეორე მხარეს მიაწოდოს ნებისმიერი ტიპის ინფორმაცია, რომელმაც, მხარის აზრით, შესაძლოა გავლენა იქონიოს წინამდებარე შეთანხმების მოქმედებაზე.

2. წინამდებარე მუხლით გათვალისწინებული ინფორმაცია ჩაითვლება მიწოდებულად, როდესაც იგი შესაბამისად მიეწოდება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციას ან გახდება საჯარო შესაბამისი მხარის კანონმდებლობის თანახმად ან გამოქვეყნდება მის ოფიციალურ, საჯარო და უფასოდ ხელმისაწვდომ

ვებ-გვერდზე.

3. წინამდებარე მუხლით გათვალისწინებული ნებისმიერი შეტყობინება, მოთხოვნა თუ ინფორმაცია მეორე მხარეს გადაეცემა წინამდებარე შეთანხმებით განსაზღვრული საკონტაქტო ორგანოების მეშვეობით.

მუხლი 13.3. ინკორპორირება

წინამდებარე შეთანხმების მიზნებისთვის, GATT შეთანხმების X და GATS შეთანხმების III მუხლები, *mutatis mutandis,* გაერთიანდება წინამდებარე შეთანხმებაში და გახდება მისი ნაწილი.

თავი 14

ინსტიტუციური დებულებები

მუხლი 14.1. FTA ერთობლივი კომისია

1. მხარეები აფუძნებენ საქართველო-ჩინეთის ერთობლივ კომისიას (შემდგომში წოდებული, როგორც „FTA ერთობლივი კომისია“), რომელიც შედგება თითოეული მხარის წარმომადგენლებისგან. ამ მიზნით, მხარეებს წარმოადგენენ მათ მიერ დანიშნული მაღალი თანამდებობის პირები.

2. FTA ერთობლივი კომისია:

a) განიხილავს წინამდებარე შეთანხმების იმპლემენტაციასთან დაკავშირებულ საკითხებს;

b) განიხილავს საკითხებს, რომლებიც მის წინაშე დააყენა რომელიმე მხარემ ან კომიტეტმა ან წინამდებარე შეთანხმების საფუძველზე შექმნილმა სამუშაო ჯგუფებმა;

c) წინამდებარე შეთანხმების მიზნებიდან გამომდინარე, შეისწავლის ზომებს მხარეებს შორის მომავალში ვაჭრობის გაფართოვების და ინვესტიციების წახალისების მიმართულებით;

d) განიხილავს ნებისმიერ შემოთავაზებას წინამდებარე შეთანხმებაში ცვლილებების შეტანის კუთხით და მხარეებისთვის გასცემს რეკომენდაციებს; და

e) განიხილავს ნებისმიერ სხვა საკითხს, რომელმაც შესაძლოა გავლენა იქონიოს წინამდებარე შეთანხმების შესრულებაზე.

3. FTA ერთობლივი კომისია უფლებამოსილია;

a) შექმნას დამატებითი კომიტეტები ან დროებითი სამუშაო ჯგუფები და, საჭიროების შემთხვევაში, რჩევისთვის საკითხი გადასცეს რომელიმე კომიტეტს ან სამუშაო ჯგუფს;

b) შემდგომში განახორციელოს წინამდებარე შეთანხმების შესრულება საიმპლემენტაციო ღონისძიებების გზით;

c) შეეცადოს მოაგვაროს ნებისმიერ უთანხმოება, რომელიც უკავშირდება წინამდებარე შეთანხმების ინტერპრეტაციას ან გამოყენებას;

d) შეეცადოს მიიღოს რჩევა არასამთავრობო პირების ან ჯგუფებისგან ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც ექცევა მისი პასუხისმგებლობის ფარგლებში, თუ ეს ხელს შეუწყობს მას დაკისრებული მოვალეობის შესრულებაში;

e) მიიღოს სხვა ზომები თავისი ფუნქციების შესასრულებლად, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

მუხლი 14.2. FTA ერთობლივი კომისიის რეგლამენტი

1. FTA ერთობლივი კომისია იღებს გადაწყვეტილებებს და აკეთებს რეკომენდაციებს მის ფუნქციაში შემავალ ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით, როგორც ეს განსაზღვრულია 14.1 მუხლით, ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე. გადაწყვეტილების აღსრულება დამოკიდებულია მხარის შიდა სამართლებრივი მოთხოვნების შესრულებაზე.

2. FTA ერთობლივი კომისია შეიკრიბება რეგულარული სესიების დროს წელიწადში ერთხელ, ასევე მხარეთა მოთხოვნით, ნებისმიერ სხვა დროს. FTA ერთობლივი კომისიის რეგულარული სესიების თავმჯდომარეობას მონაცვლეობით შეითავსებს ორივე მხარე. FTA ერთობლივი კომისიის სხვა სესიებს გაუძღვება მასპინძელი მხარე.

3. FTA ერთობლივი კომისია ჩვეულებრივ შეიკრიბება მაღალი თანამდებობის პირთა დონეზე, თუ რომელიმე მხარე არ მოითხოვს შეხვედრის გამართვას მინისტრების დონეზე.

4. მე-3 პუნქტის გათვალისწინებით, თითოეული მხარე ვალდებულია ჩამოაყალიბოს FTA ერთობლივი კომისიის საკუთარი დელეგაციის შემადგენლობა.

5. FTA ერთობლივი კომისიის თავმჯდომარე მხარე უზრუნველყოფს სესიისთვის საჭირო ადმინისტრაციულ დახმარებას და ჩაიწერს FTA ერთობლივი კომისიის მიერ მიღებულ ნებისმიერ გადაწყვეტილებას, რომლის ასლები გადაეცემა მეორე მხარეს.

მუხლი 14.3. საკონტაქტო ორგანო

წინამდებარე შეთანხმებით განსაზღვრულ ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მხარეთა შორის კომუნიკაციის ხელშეწყობის მიზნით, მხარეები გამოყოფენ შემდეგ საკონტაქტო ორგანოებს:

a) საქართველოს შემთხვევაში, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; და

b) ჩინეთის შემთხვევაში, კომერციის სამინისტრო.

თავი 15

დავების მოგვარება

მუხლი 15.1. თანამშრომლობა

მხარეებმა, ყოველთვის უნდა შეუწყონ ხელი თანამშრომლობას წინამდებარე შეთანხმების განმარტებასა და გამოყენებასთან დაკავშირებით და ყველანაირად ეცადონ, თანამშრომლობისა და როდესაც დავა წარმოიშობა, კონსულტაციების გზით, მიიღონ ორმხრივად დამაკმაყოფილებელი გადაწყვეტილება ნებისმიერ იმ საკითხთან დაკავშირებით, რომელმაც, შესაძლოა გავლენა მოახდინოს შეთანხმების მოქმედებაზე.

მუხლი 15.2. გამოყენების სფერო

თუ წინამდებარე შეთანხმებით სხვაგვარად არ არის განსაზღვრული, როგორც კი მხარე მიიჩნევს, რომ მეორე მხარემ ვერ განახორციელა წინამდებარე შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებები, გამოიყენება წინამდებარე თავით განსაზღვრული დავის მოგვარების შესახებ დებულებები.

მუხლი 15. 3. ფორუმის არჩევა

1. როდესაც დავა, ერთსა და იმავე ღონისძიებასთან დაკავშირებით წარმოიშობა წინამდებარე შეთანხმების და სხვა შეთანხმებების ფარგლებში, მათ შორის, თავისუფალი ვაჭრობის შესახებ სხვა შეთანხმებასთან დაკავშირებით, რომლის მონაწილეც არის ორივე მხარე ან WTO-ს შეთანხმებებთან მიმართებით, მოთხოვნის წარმდგენი მხარე უფლებამოსილია აირჩიოს ფორუმი, სადაც მოხდება დავების მოგვარება.

2. მას შემდეგ, რაც მოთხოვნის წარმდგენი მხარე შეარჩევს შესაბამის ფორუმს ამ მუხლის პირველი პარაგრაფის შესაბამისად, არჩეული ფორუმის გამოყენება გამორიცხავს ყველა სხვა ფორუმის გამოყენებას.

მუხლი 15.4. კონსულტაციები

1. მხარეები ყველანაირად უნდა ეცადონ, ნებისმიერ დავასთან დაკავშირებით, კონსულტაციების მეშვეობით მიიღონ ორმხრივად დამაკმაყოფილებელი გადაწყვეტილება, წინამდებარე მუხლის ან წინამდებარე შეთანხმებაში კონსულტაციებისთვის გათვალისწინებული სხვა დებულებების შესაბამისად.

2. მოთხოვნა კონსულტაციების გამართვის შესახებ წარმოდგენილი უნდა იყოს წერილობითი ფორმით და უნდა მოიცავდეს მოთხოვნის მიზეზებს, მათ შორის, საკითხთან დაკავშირებული ღონისძიებების იდენტიფიკაციას და მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის შესახებ მითითებას. მოთხოვნის წარმდგენმა მხარემ, მოთხოვნა უნდა ჩააბაროს მოპასუხე მხარეს.

3. თუ წარდგენილია მოთხოვნა კონსულტაციების გამართვის შესახებ, მოპასუხე მხარემ უნდა უპასუხოს მას, აღნიშნულის მიღების თარიღიდან 10 დღის განმავლობაში და უნდა დაიწყოს კონსულტაციებში კეთილსინდისიერად, მოთხოვნის მიღების დღიდან არაუმეტეს 30 დღის განმავლობაში, ორივე მხარისათვის დამაკმაყოფილებელი გადაწყვეტილების მიღების მიზნით. კონსულტაციები გადაუდებელ საკითხებთან დაკავშირებით, მათ შორის, მალფუჭებად საქონელთან მიმართებით, უნდა დაიწყოს კონსულტაციების გამართვის შესახებ მოთხოვნის მიღებიდან 15 დღის განმავლობაში.

4. თუ მოპასუხე მხარე არ მოახდენს რეაგირებას ზემოაღნიშნული 10 დღის განმავლობაში, ან არ დაიწყებს კონსულტაციებს ამ მუხლის მე-3 პარაგრაფით განსაზღვრული ვადის განმავლობაში, მოთხოვნის წარმდგენი მხარე უფლებამოსილია პირდაპირ გააკეთოს მოთხოვნა საარბიტრაჟო ტრიბუნალის შექმნასთან დაკავშირებით.

5. კონსულტაციები უნდა იყოს კონფიდენციალური და არ უნდა აყენებდეს ზიანს რომელიმე მხარის უფლებებს ნებისმიერ შემდგომ პროცესში.

მუხლი 15.5. საარბიტრაჟო ტრიბუნალის ჩამოყალიბება

1. იმ შემთხვევაში, თუ 15.4 მუხლით გათვალისწინებული კონსულტაციების მეშვეობით ვერ მოგვარდება საკითხი, კონსულტაციების გამართვის შესახებ მოთხოვნის მიღების თარიღიდან 60 დღის ან გადაუდებელ საკითხებთან, მათ შორის, მალფუჭებად საქონელთან დაკავშირებით, 30 დღის განმავლობაში, მოთხოვნის წარმდგენი მხარე, უფლებამოსილია, საქმის განხილვის მიზნით, წერილობითი ფორმით, მოითხოვოს საარბიტრაჟო ტრიბუნალის ჩამოყალიბება.

2. მოთხოვნის წარმდგენმა მხარემ, მოთხოვნაში უნდა მიუთითოს, გაიმართა თუ არა კონსულტაციები, განსაზღვროს კონკრეტული ღონისძიება/ღონისძიებები და წარმოადგინოს მომთხოვნი მხარის სამართლებრივი საფუძვლის მოკლე მიმოხილვა, საკმარისი იმისათვის, რომ ნათლად აღიწეროს პრობლემა, და უზრუნველყოს მოთხოვნის ჩაბარება მეორე მხარისათვის. საარბიტრაჟო ტრიბუნალის ჩამოყალიბების თარიღად მიიჩნევა მოთხოვნის ჩაბარების თარიღი.

მუხლი 15. 6. საარბიტრაჟო ტრიბუნალის შემადგენლობა

1. საარბიტრაჟო ტრიბუნალი შედგება სამი წევრისგან.

2. საარბიტრაჟო ტრიბუნალის შექმნიდან 15 დღის განმავლობაში, თითოეულმა მხარემ უნდა დანიშნოს საარბიტრაჟო ტრიბუნალის თითო წევრი.

3. დავის მხარეებმა, ურთიერთშეთანხმებით უნდა დანიშნონ მესამე არბიტრი, საარბიტრაჟო ტრიბუნალის შექმნიდან 30 დღის განმავლობაში. ამგვარად დანიშნული არბიტრი ხელმძღვანელობს საარბიტრაჟო ტრიბუნალს.

4. თუ საარბიტრაჟო ტრიბუნალის რომელიმე წევრ(ებ)ი არ დანიშნულა საარბიტრაჟო ტრიბუნალის ჩამოყალიბებიდან 30 დღის განმავლობაში, დავის რომელიმე მხარის მოთხოვნის საფუძველზე, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის გენერალური დირექტორი უფლებამოსილი იქნება დანიშნოს წევრ(ებ)ი შემდგომი 30 დღის განმავლობაში. თუ ერთი ან მეტი წევრი დანიშნულია წინამდებარე პარაგრაფის მიხედვით, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის გენერალური დირექტორი უფლებამოსილი იქნება დანიშნოს საარბიტრაჟო ტრიბუნალის თავმჯდომარე.

5. საარბიტრაჟო ტრიბუნალის თავმჯდომარე არ უნდა იყოს დავის რომელიმე მხარის მოქალაქე, ასევე არ უნდა ჰქონდეს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი დავის რომელიმე მხარის ტერიტორიაზე, არ უნდა იყოს დაქირავებული დავის რომელიმე მხარის მიერ, არ უნდა ჰქონოდა რაიმე სახის შეხება დავის საგანთან.

6. ყველა არბიტრს უნდა:

(a) ჰქონდეს სპეციალური ცოდნა და გამოცდილება სამართლის, საერთაშორისო ვაჭრობის, წინამდებარე შეთანხმებით განსაზღვრულ სხვა სფეროებში ან ისეთი დავების მოგვარებაში, რომელიც გამომდინარეობს საერთაშორისო ვაჭრობის შეთანხმებებიდან;

(b) იყოს არჩეული მხოლოდ ობიექტურობის, სანდოობის და კეთილგონიერების საფუძველზე;

(c) იყოს დამოუკიდებელი და არ იყოს აფილირებული რომელიმე მხარესთან ან არ იღებდეს ინსტრუქციებს რომელიმე მხარისგან; და

(d) იცავდეს ქცევის კოდექსს იმ წესების შესაბამისად, რომელიც განსაზღვრულია ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის WT/DSB/RC/1 დოკუმენტით.

7. თუ წინამდებარე მუხლის თანახმად დანიშნული არბიტრი გადადგება ან ვერ შეძლებს მოვალეობის შესრულებას, 15 დღის განმავლობაში დაინიშნება შემცვლელი არბიტრი, თავდაპირველი არბიტრის დანიშვნისთვის განსაზღვრული შერჩევის პროცედურების თანახმად და შემცვლელ არბიტრს ექნება იგივე უფლებამოსილებები და მოვალეობები, რაც თავდაპირველ არბიტრს. საარბიტრაჟო ტრიბუნალის საქმიანობა უნდა შეჩერდეს, შემცვლელი არბიტრის დანიშვნის პროცესის განმავლობაში.

მუხლი 15.7. საარბიტრაჟო ტრიბუნალის ფუნქციები

1. საარბიტრაჟო ტრიბუნალის ფუნქციას წარმოადგენს დავის საგნის ობიექტური შეფასება, მათ შორის, საქმის ფაქტების შესწავლა და წინამდებარე შეთანხმების გამოყენებადობა და მასთან შესაბამისობა.

2. იმ შემთხვევაში, თუ საარბიტრაჟო ტრიბუნალის დაასკვნის, რომ ღონისძიება შეუსაბამოა წინამდებარე შეთანხმებასთან, მან უნდა გასცეს რეკომენდაცია, რომ მოპასუხე მხარემ, მოიყვანოს ქმედება შესაბამისობაში წინამდებარე შეთანხმებასთან.

3. საარბიტრაჟო ტრიბუნალმა უნდა განიხილოს წინამდებარე შეთანხმება საერთაშორისო საჯარო სამართლის განმარტებასთან დაკავშირებული ჩვეულებითი ნორმების შესაბამისად. საერთაშორისო ტრიბუნალს არ შეუძლია, თავის დასკვნებსა და რეკომენდაციებში, გადააჭარბოს ან დააკნინოს წინამდებარე შეთანხმებით განსაზღვრული უფლებები და ვალდებულებები.

მუხლი 15.8. საარბიტრაჟო ტრიბუნალის პროცედურული წესები

1. თუ მხარეთა მიერ სხვაგვარად არ არის შეთანხმებული, საარბიტრაჟო საქმის განხილვა უნდა წარიმართოს 15-A დანართით განსაზღვრული პროცედურული წესების შესაბამისად.

2. წინამდებარე მუხლით განსაზღვრული და პირველ პარაგრაფში მითითებული წესების გარდა, საარბიტრაჟო ტრიბუნალი, დავის მხარეებთან კონსულტაციით, უფლებამოსილია მიიღოს დამატებითი პროცედურული წესები, მათ შორის, ისეთი, რომელიც უკავშირდება დავის მხარეთა უფლებებს, იქნან მოსმენილნი და საქმის განხილვას, რამდენადაც იგი ჩათვლის საჭიროდ, იმ პირობით, რომ აღნიშნული არ ეწინააღმდეგება წინამდებარე თავს და 15-A დანართს.

3. საარბიტრაჟო ტრიბუნალმა უნდა მიიღოს გადაწყვეტილებები კონსენსუსის საფუძველზე; იმ შემთხვევაში, თუ საარბიტრაჟო ტრიბუნალი ვერ მიაღწევს კონსენსუსს, მან შეიძლება მიიღოს გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით. არბიტრებმა შესაძლოა წარმოადგინონ განსხვავებული მოსაზრებები საკითხებზე, რომელთან დაკავშირებითაც ვერ მოხდა ერთობლივი გადაწყვეტილების მიღება. საარბიტრაჟო ტრიბუნალის გადაწყვეტილებაში განსაზღვრული ცალკეული არბიტრების მოსაზრებები, უნდა იყოს ანონიმური.

4. თუ საარბიტრაჟო ტრიბუნალის შექმნის თარიღიდან 20 დღის განმავლობაში დავის მხარეები სხვაგვარად არ შეთანხმდებიან, სამუშაო აღწერილობა განისაზღვრება შემდეგნაირად:

„შეისწავლოს, წინამდებარე შეთანხმების შესაბამისი დებულებების ფონზე, მოთხოვნაში მითითებული საკითხი საარბიტრაჟო ტრიბუნალის ჩამოყალიბების შესახებ მე-5 მუხლის თანახმად და მიზეზებთან ერთად, კანონის და ფაქტების ერთობლიობის საფუძველზე, გააკეთოს დასკვნები, დავების გადაწყვეტის მიზნით“.

5. არბიტრთა ანაზღაურება და საარბიტრაჟო პროცესის წარმართვასთან დაკავშირებული სხვა ხარჯები გაღებულ უნდა იქნეს დავის მხარეების მიერ, თანაბრად.

მუხლი 15.9. საქმისწარმოების შეჩერება ან შეწყვეტა

1. დავის მხარეები შესაძლოა შეთანხმდნენ, რომ საარბიტრაჟო ტრიბუნალმა შეაჩეროს თავისი საქმიანობა ნებისმიერ დროს, აღნიშნული შეთანხმების თარიღიდან არაუმეტეს 12 თვის პერიოდით. თუ საარბიტრაჟო ტრიბუნალის საქმიანობა შეჩერებულია 12 თვეზე მეტი პერიოდით, საარბიტრაჟო ტრიბუნალის უფლებამოსილება წყდება, გარდა იმ შემთხვევისა, თუ დავის მხარეების მიერ აღნიშნული სხვაგვარად არის შეთანხმებული.

2. დავის მხარეები უფლებამოსილნი არიან შეთანხმების საფუძველზე შეწყვიტონ საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ საქმისწარმოება.

მუხლი 15.10. საარბიტრაჟო ტრიბუნალის გადაწყვეტილება

1. საარბიტრაჟო ტრიბუნალმა, თავისი გადაწყვეტილება უნდა დააფუძნოს წინამდებარე შეთანხმების შესაბამის დებულებებზე და დავის მხარეთა წარდგინებებსა და არგუმენტებზე.

2. თუ დავის მხარეთა მიერ სხვაგვარად არ არის შეთანხმებული, საარბიტრაჟო ტრიბუნალმა ხელშემკვრელ მხარეებს უნდა წარუდგინოს გადაწყვეტილება, შექმნიდან 120 დღის განმავლობაში.

3. გამონაკლის შემთხვევებში, თუ საარბიტრაჟო ტრიბუნალი მიიჩნევს, რომ მას არ შეუძლია გადაწყვეტილების გამოცემა 120 დღის განმავლობაში, მან უნდა აცნობოს დავის მხარეებს წერილობითი ფორმით, დაგვიანების მიზეზების შესახებ, მიახლოებითი პერიოდის მითითებით, რა ვადაშიც ის წარმოადგენს გადაწყვეტილებას. ნებისმიერი დაგვიანება არ უნდა აჭარბებდეს 30 დღის პერიოდს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აღნიშნული დავის მხარეთა მიერ სხვაგვარად არის შეთანხმებული.

4. გადაუდებელ შემთხვევებში, მათ შორის მალფუჭებად საქონელთან დაკავშირებით, საარბიტრაჟო ტრიბუნალმა უნდა გამოიყენოს ყოველგვარი ძალისხმევა, რათა წარუდგინოს თავისი გადაწყვეტილება მისი შექმნის თარიღიდან 60 დღის განმავლობაში. გამონაკლის შემთხვევებში, აღნიშნული ვადა შესაძლოა გაგრძელდეს, რომელიც, ნებისმიერ შემთხვევაში, არ უნდა აღემატებოდეს საარბიტრაჟო ტრიბუნალის ჩამოყალიბების თარიღიდან 75 დღეს.

5. საარბიტრაჟო ტრიბუნალის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ აქვს სავალდებულო ძალა გარდა დავის მხარეებისა და წარმოდგენილი კონკრეტული საქმისა, რომელსაც ეხება გადაწყვეტილება.

6. გადაწყვეტილება ხელმისაწვდომი უნდა იყოს საზოგადოებისათვის გადაწყვეტილების წარდგენიდან არაუგვიანეს 15 დღისა, კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის პირობით და გარდა იმ შემთხვევისა, თუ დავის მხარე სხვაგვარად გადაწყვეტს.

მუხლი 15.11. საარბიტრაჟო ტრიბუნალის გადაწყვეტილების შესრულება

1. თუ თავის გადაწყვეტილებაში საარბიტრაჟო ტრიბუნალი დაადგენს, რომ მხარემ არ შეასრულა წინამდებარე შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებები, გადაწყვეტილება, რამდენადაც ეს შესაძლებელია, უნდა განსაზღვრავდეს, რომ მოპასუხე მხარემ აღმოფხვრას შეუსაბამობა.

2. მოპასუხე მხარემ, დროულად უნდა შეასრულოს საარბიტრაჟო ტრიბუნალის გადაწყვეტილებით გათვალისწინებული რეკომენდაციები და გადაწყვეტილებები. თუ დაუყოვნებლივი შესრულება შეუძლებელია, მოპასუხე მხარემ უნდა შეასრულოს რეკომენდაციები და გადაწყვეტილებები გონივრულ ვადაში.

მუხლი 15.12. გონივრული ვადა

1. გონივრული ვადა დავის მხარეთა მიერ ერთობლივად განისაზღვრება, იმ შემთხვევაში, თუ დავის მხარეები ვერ თანხმდებიან გონივრულ ვადაზე, საარბიტრაჟო ტრიბუნალის გადაწყვეტილების გამოტანიდან 30 დღის განმავლობაში, ერთ-ერთი მხარე, რამდენადაც ეს შესაძლებელია, გადასცემს საქმეს თავდაპირველ საარბიტრაჟო ტრიბუნალს, რომელიც განსაზღვრავს გონივრულ ვადას.

2. საარბიტრაჟო სასამართლომ დავის მხარეებს უნდა წარუდგინოს გადაწყვეტილება გონივრული ვადის შესახებ საკითხის გადაცემიდან 30 დღის განმავლობაში. როდესაც საარბიტრაჟო ტრიბუნალი მიიჩნევს, რომ მას არ შეუძლია აღნიშნული გადაწყვეტილების წარდგენა ამ ვადაში, იგი აცნობებს დავის მხარეებს წერილობით, გადავადების მიზეზების შესახებ, იმ სავარაუდო პერიოდის მითითებით, რომლის განმავლობაშიც იგი წარმოადგენს გადაწყვეტილებას. ნებისმიერი გადავადება არ უნდა აღემატებოდეს მომდევნო 15 დღეს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დავის მხარეები სხვაგვარად შეთანხმდებიან.

3. გონივრული ვადა, ჩვეულებრივ არ უნდა აღემატებოდეს საარბიტრაჟო ტრიბუნალის გადაწყვეტილების გამოტანის თარიღიდან 15 თვეს. გონივრული ვადა შესაძლოა გახანგრძლივდეს დავის მხარეების მიერ ერთობლივი შეთანხმებით.

მუხლი 15.13. შესაბამისობის განხილვა

1. როდესაც არსებობს უთანხმოება საარბიტრაჟო ტრიბუნალის რეკომენდაციებთან შესაბამისობისთვის განხორციელებულ ქმედებებსა და წინამდებარე შეთანხმების არსებობასა და თანმიმდევრულობათან დაკავშირებით, ამგვარი დავა უნდა მოგვარდეს წინამდებარე თავით გათვალისწინებული საარბიტრაჟო საქმისწარმოების თანახმად, მათ შორის, რამდენადაც შესაძლებელია, თავდაპირველ საარბიტრაჟო ტრიბუნალთან მიმართვით.

2. საარბიტრაჟო ტრიბუნალმა თავისი გადაწყვეტილება უნდა წარუდგინოს დავის მხარეებს მისთვის საკითხის წარდგენის თარიღიდან 60 დღის განმავლობაში. როდესაც საარბიტრაჟო ტრიბუნალი დაადგენს, რომ მას არ შეუძლია აღნიშნულის წარდგენა მოცემულ ვადაში, მან უნდა აცნობოს დავის მხარეებს წერილობით, გადავადების მიზეზების შესახებ, იმ სავარაუდო პერიოდის მითითებით, რომლის განმავლობაშიც იგი წარმოადგენს გადაწყვეტილებას. ნებისმიერი გადავადება არ უნდა აღემატებოდეს მომდევნო 15 დღეს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დავის მხარეები სხვაგვარად შეთანხმდებიან.

3. მუხლები, რომელიც წინამდებარე შეთანხმებაში ეხება საარბიტრაჟო ტრიბუნალის პროცედურებს, უნდა გამოიყენებოდეს *mutatis mutandis* საარბიტრაჟო საქმისწარმოებასთან მიმართებით.

მუხლი 15.14. კონცესიის ან სხვა ვალდებულებების შეჩერება

1. თუ 15.13 მუხლის თანახმად, საარბიტრაჟო ტრიბუნალი დაადგენს, რომ მოპასუხე მხარეს ვერ მოჰყავს შესაბამისობაში ღონისძიებები, რომლებიც შეუსაბამო იყო წინამდებარე შეთანხმებასთან ან ვერ ახორციელებს საარბიტრაჟო ტრიბუნალის რეკომენდაციებსა და გადაწყვეტილებას დადგენილ გონივრულ ვადაში, ან მოპასუხე მხარე, წერილობით გამოხატავს, რომ იგი არ განახორციელებს რეკომენდაციებს, ამგვარმა მხარემ, მოთხოვნის შემთხვევაში, არაუგვიანეს გონივრული ვადის გასვლამდე, უნდა აწარმოოს მოლაპარაკებები მოთხოვნის წარმდგენ მხარესთან, რათა შეთანხმდნენ კომპენსაციის ორმხრივად მისაღებ ოდენობაზე. თუ დავის მხარეები ვერ მიაღწევენ შეთანხმებას კომპენსაციის შესახებ მოლაპარაკების დაწყების თარიღიდან 20 დღის განმავლობაში, ან იმ შემთხვევაში

თუ კომპენსაციის შესახებ მოთხოვნა არ გაკეთებულა, მოთხოვნის წარმდგენი მხარე უფლებამოსილია მოპასუხე მხარეს შეუჩეროს კონცესიის ან სხვა ვალდებულებების მოქმედება. მოთხოვნის წარმდგენმა მხარემ უნდა აცნობოს მოპასუხე მხარეს, კონცესიის და სხვა ვალდებულებების შეჩერებამდე 30 დღით ადრე. შეტყობინება უნდა შეიცავდეს კონცესიის და სხვა ვალდებულებების შეჩერების დონესა და მასშტაბს.

2. კონცესიის ან სხვა ვალდებულებების შეჩერების დონე უნდა იყოს აღნიშნული შეზღუდვის ან გაუქმების დონის ეკვივალენტური.

3. იმის გათვალისწინებით, თუ რა კონცესია ან სხვა ვალდებულებები უნდა შეჩერდეს:

(a) მოთხოვნის წარმდგენმა მხარემ, პირველ რიგში, უნდა სცადოს შეაჩეროს კონცესია ან სხვა ვალდებულებები იმავე სექტორ(ებ)ში, რომელსაც ზიანი მიადგა ღონისძიებით, რომელიც საარბიტრაჟო ტრიბუნალმა მიიჩნია წინამდებარე შეთანხმებიდან გამომდინარე ვალდებულებებთან შეუსაბამოდ; და

(b) თუ მოთხოვნის წარმდგენი მხარე მიიჩნევს, რომ არ აირს მოსახერხებელი ან არაეფექტურია კონცესიის ან სხვა ვალდებულებების შეჩერება იმავე სექტორ(ებ)ში, იგი უფლებამოსილია შეაჩეროს კონცესია ან სხვა ვალდებულებები სხვა სექტორებში. შეტყობინება, სადაც იგი აცხადებს აღნიშნულ გადაწყვეტილებას, უნდა მოიცავდეს მიზეზებს, რომელსაც ის ეფუძნება.

4. დაინტერესებული მხარის წერილობითი მოთხოვისას, თავდაპირველმა საარბიტრაჟო ტრიბუნალმა უნდა განსაზღვროს, კონცესიის ან სხვა ვალდებულებების დონე, რომელიც უნდა შეჩერდეს მოთხოვნის წარმდგენი მხარის მიერ, არის თუ არა გადაჭარბებული, მე-2 პარაგრაფის თანახმად. თუ საარბიტრაჟო ტრიბუნალი ვერ დაკომპლექტდება თავისი თავდაპირველი წევრებით, იგი უნდა ჩამოყალიბდეს მე-15.6 მუხლით განსაზღვრული პროცედურით.

5. საარბიტრაჟო ტრიბუნალი წარმოადგენს თავის გადაწყვეტილებას მე-3 პარაგრაფით გათვალისწინებული მოთხოვნიდან 60 დღის განმავლობაში, ან თუ საარბიტრაჟო ტრიბუნალი ვერ დაკომპლექტდება თავისი თავდაპირველი წევრებით - უკანასკნელი საარბიტრაჟო ტრიბუნალის შედგენის თარიღიდან.

6. მოთხოვნის წარმდგენი მხარე არ არის უფლებამოსილი შეაჩეროს კონცესიის ან სხვა ვალდებულებების გამოყენება წინამდებარე მუხლის თანახმად საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე.

7. კომპენსაციის და კონცესიის ან სხვა ვალდებულებების შეჩერება წარმოადგენს დროებით ღონისძიებებს და გამოიყენება საჩივრის წარმდგენი მხრიდან, სანამ შეუსაბამო ღონისძიებები, შეთანხმებასთან არ იქნება ჩამოშორებული ან შეცვლილი ისეთნაირად, რომ შეთანხმებასთან მოყვანილ იქნეს შესაბამისობაში ან, სანამ მხარეები მივლენ ორმხრივ, დამაკმაყოფილებელ გადაწყვეტილებამდე.

მუხლი 15.15. შეჩერების შემდგომი პერიოდი

1.15.14 მუხლით გათვალილსწინებული პროცედურების შეუზღუდავად, თუ მოპასუხე მხარე მიიჩნევს, რომ მან აღმოფხვრა შეუსაბამობა, რომელიც საარბიტრაჟო ტრიბუნალმა დაადგინა, იგი უფლებამოსილია წერილობითი შეტყობინება გადასცეს მოთხოვნის წარმდგენ მხარეს, აღწერასთან ერთად, თუ როგორ აღმოფხვრა შეუსაბამობა. იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებელი მხარე არ ეთანხმება აღნიშნულს, მას შეუძლია საკითხი გადაუგზავნოს თავდაპირველ საარბიტრაჟო ტრიბუნალს აღნიშნული წერილობითი შეტყობინების მიღებიდან 45 დღის ვადაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოთხოვნის წარმდგენმა მხარემ დაუყოვნებლივ უნდა შეწყვიტოს კონცესიის ან სხვა ვალდებულებების შეჩერება.

2. საარბიტრაჟო ტრიბუნალმა უნდა გამოსცეს თავისი გადაწყვეტილება საკითხის გადაცემიდან 60 დღის განმავლობაში. თუ საარბიტრაჟო ტრიბუნალი დაასკვნის, რომ მოპასუხე მხარემ აღმოფხვრა შეუსაბამობა, მოთხოვნის წარმდგენმა მხარემ დაუყოვნებლივ უნდა შეწყვიტოს კონცესიის ან სხვა ვალდებულებების შეჩერება.

მუხლი 15.16. კერძო პირთა უფლებები

არცერთი მხარე არ უნდა ითვალისწინებდეს თავიანთი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის თანახმად წარმოების დაწყების უფლებას, მათ შორის, თავიანთ შესაბამის ეროვნულ სასამართლოებში საქმის აღძვრას მეორე მხარის წინააღმდეგ, იმ საფუძვლით, რომ მეორე მხარის მიერ განხორციელებული ქმედებები შეუსაბამოა წინამდებარე შეთანხმებასთან.

დანართი 15-A

საარბიტრაჟო ტრიბუნალის პროცედურული წესები

პირველი წერილობითი წარდგინება

1. მოთხოვნის წარმდგენმა მხარემ უნდა წარადგინოს პირველი წერილობითი წარდგინება საარბიტრაჟო ტრიბუნალის დაკომპლექტებიდან არაუგვიანეს 20 დღისა. მოპასუხე მხარემ უნდა წარადგინოს პირველი წერილობითი წარდგინება, მოთხოვნის წარმდგენი მხარის პირველი წერილობითი წარდგინების ჩაბარების თარიღიდან არაუგვიანეს 30 დღისა, გარდა იმ შემთხვევისა, თუ საარბიტრაჟო ტრიბუნალი სხვაგვარად გადაწყვეტს.

2. მხარემ უნდა წარუდგინოს თავისი პირველი წერილობითი წარდგინების ასლი თითოეულ არბიტრს და მეორე მხარეს. დოკუმენტის ასლი ასევე წარმოდგენილი უნდა იქნეს ელექტრონულ ფორმატში.

საქმის განხილვები

3. საარბიტრაჟო ტრიბუნალის თავმჯდომარემ უნდა დათქვას საქმის განხილვის თარიღი და დრო დავის მხარეებთან და საარბიტრაჟო ტრიბუნალის სხვა წევრებთან კონსულტაციით. საარბიტრაჟო ტრიბუნალის თავმჯდომარე წერილობით შეატყობინებს დავის მხარეებს საქმის განხილვის თარიღს, დროსა და ადგილმდებარეობას. გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ერთ-ერთი მხარე არ არის თანახმა, საარბიტრაჟო ტრიბუნალი უფლებამოსილია გადაწყვიტოს, არ დანიშნოს სხდომა.

4. საარბიტრაჟო ტრიბუნალმა შესაძლოა დანიშნოს დამატებითი მოსმენები.

5. ყველა არბიტრი წარმოდგენილი უნდა იყოს საქმის განხილვაზე.

6. საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ საქმის განხილვა უნდა განხორციელდეს დახურულ სხდომაზე.

დამატებითი წერილობით წარდგინებები

7. საქმის განხილვიდან 20 დღის განმავლობაში, თითოეული მხარე უფლებამოსილია გააკეთოს დამატებითი წერილობითი წარდგინება, რომელიც პასუხობს ნებისმიერ საკითხს, რაც წარმოიშვა საქმის განხილვის დროს. დამატებითი წერილობითი წარდგინებები უნდა განხორციელდეს წინამდებარე წესების მე-2 პარაგრაფის თანახმად.

წერილობითი კითხვები

8. საარბიტრაჟო ტრიბუნალი უფლებამოსილია, საქმისწარმოების ნებისმიერ დროს, წერილობითი ფორმით დაუსვას დავის მხარეებს შეკითხვები.

9. მხარემ უნდა მიაწოდოს წერილობითი პასუხი საარბიტრაჟო ტრიბუნალს და მეორე მხარეს. თითოეულ მხარეს ეძლევა შესაძლებლობა წარმოადგინოს წერილობითი კომენტარები მეორე მხარის პასუხთან დაკავშირებით.

კონფიდენციალურობა

10. საარბიტრაჟო საქმისწარმოება და საარბიტრაჟო ტრიბუნალისთვის წარდგენილი დოკუმენტები უნდა იყოს კონფიდენციალური. წინამდებარე თავი არანაირად არ უშლის ხელს დავის მხარეს, გაუმჟღავნოს საკუთარი პოზიციები საზოგადოებას. მეორე მხარის მიერ საარბიტრაჟო

ტრიბუნალისთვის წარდგენილი ინფორმაცია, რომელიც აღნიშნულმა მხარემ განსაზღვრა კონფიდენციალურად, განიხილება, როგორც კონფიდენციალური.

Ex parte კონტაქტი

11. საარბიტრაჟო ტრიბუნალი არ უნდა შეხვდეს ან დაეკონტაქტოს მხარეს, მეორე მხარის გარეშე.

12. არცერთ მხარეს არ შეუძლია საქმესთან დაკავშირებით დაეკონტაქტოს რომელიმე არბიტრს, მეორე მხარის ან სხვა არბიტრების გარეშე.

13. არცერთ არბიტრს არ შეუძლია განიხილოს საქმისწარმოებასთან დაკავშირებული დავის საგნის რაიმე ასპექტი დავის მხარესთან ან ორივე მხარესთან, მეორე მხარის ან სხვა არბიტრების გარეშე.

ექსპერტების როლი

14. მხარის მოთხოვნით, ან საკუთარი ინიციატივით, საარბიტრაჟო ტრიბუნალი უფლებამოსილია მოიძიოს ინფორმაცია და ტექნიკური რჩევა ნებისმიერი პირის ან ორგანოსგან, რომელსაც იგი მიიჩნევს საჭიროდ. ნებისმიერ ინფორმაცია, ამგვარად მოპოვებული, უნდა წარედგინოს დავის მხარეებს კომენტარებისთვის.

სამუშაო ენა

15. დავების მოგვარების პროცესის სამუშაო ენაა ინგლისური.

თავი 16

ზოგადი დებულებანი და გამონაკლისები

მუხლი 16.1. ინფორმაციის გამჟღავნება და კონფიდენციალობა

1. ამ შეთანხმების დებულებებით მხარეს არ მოეთხოვება, წარადგინოს ან დაუშვას ხელმისაწვდომობა საიდუმლო ინფორმაციაზე, რომელიც შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის შესაბამისად მიჩნეულია საიდუმლო ინფორმაციად ან რომლის გამჟღავნება ხელს შეუშლიდა კანონის აღსრულებას ან სხვაგვარად დაუპირისპირდებოდა საზოგადოებრივ ინტერესებს, ან შელახავდა გარკვეული საჯარო თუ კერძო დაწესებულებების კანონიერ კომერციულ ინტერესებს.

2. თუ ამ შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, თუ მხარე ამ შეთანხმების შესაბამისად გადასცემს წერილობით ინფორმაციას მეორე მხარეს და განსაზღვრავს ამ ინფორმაციას, როგორც საიდუმლოს, მეორე მხარემ უნდა შეინარჩუნოს ინფორმაციის კონფიდენციალობა. ასეთი ინფორმაცია გამოყენებულ უნდა იქნეს მხოლოდ აღნიშნული მიზნებისათვის და არ უნდა იყოს სხვაგვარად გამჟღავნებული ინფორმაციის მომწოდებელი მხარის კონკრეტული ნებართვის გარეშე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მისი გამოყენება ან გამჟღავნება აუცილებელია სამართლებრივი ან კონსტიტუციური მოთხოვნების დასაკმაყოფილელად ან სასამართლო საქმეთწარმოების მიზნით.

მუხლი 16.2. ზოგადი გამონაკლისები

1. მეორე (საქონლით ვაჭრობა), მესამე (წარმოშობის წესები და განხორციელების პროცედურები), მეოთხე (საბაჟო პროცედურები და ვაჭრობის ხელშეწყობა), მეხუთე (სანიტარული და ფიტოსანიტარული ზომები), მეექვსე (ტექნიკური ბარიერები ვაჭრობაში), მეშვიდე (ვაჭრობის დაცვის საშუალებები) თავების და აღნიშნული თავების დანართების მიზნებისთვის, GATT 1994-ის XX მუხლი, მათ შორის მისი განმარტებითი შენიშვნები, ინკორპორირებულია და წარმოადგენს ამ შეთანხმების ნაწილს, *mutatis mutandis.*

2. მერვე თავის (მომსახურებით ვაჭრობა) და მისი დანართის მიზნებისთვის, GATS-ის XIV მუხლი, მათ შორის მისი შენიშვნები (სქოლიო), ინკორპორირებულია და წარმოადგენს ამ შეთანხმების ნაწილს, *mutatis mutandis.*

მუხლი 16.3. უსაფრთხოების მიზნით დაშვებული გამონაკლისები

აღნიშნული შეთანხმების მიზნებისთვის, უსაფრთხოებიდან გამომდინარე გამონაკლისების გათვალისწინებით GATT 1994-ის XXI მუხლი და GATS-ის XIVbis მუხლი ინკორპორირებულია და წარმოადგენს ამ შეთანხმების ნაწილს, mutatis mutandis.

მუხლი 16.4.დაბეგვრა

1. ამ მუხლის მიზნებისათვის, ტერმინი „საგადასახადო ზომები“ არ მოიცავს ნებისმიერ საბაჟო ან იმპორტის მოსაკრებლებს.

2. თუ ამ მუხლით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ეს შეთანხმება არ ვრცელდება საგადასახადო ზომებზე.

3. ეს შეთანხმება მხოლოდ ანიჭებს უფლებებს ან აკისრებს ვალდებულებებს საგადასახადო ზომებთან დაკავშირებით, რომელშიც ასევე მინიჭებულია ან დაკისრებულია შესაბამისი უფლებები ან მოვალეობები GATT 1994-ის III მუხლის შესაბამისად.

4. მე-3 პუნქტის მიუხედავად, ეს შეთანხმება:

a) არ ავალდებულებს მხარეს, ამ შეთანხმებაში გამოიყენოს უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის ნებისმიერი ვალდებულება მხარესთან შეთანხმებული შეღავათის მიმართ, ნებისმიერი საგადასახადო კონვენციის შესაბამისად;[27]

b) არ ვრცელდება:

i. ნებისმიერი საგადასახადო ზომის შეუსაბამო დებულებაზე, რომელსაც იცავს მხარე ამ შეთანხმების ძალაში შესვლის დღეს

ii. ნებისმიერი ასეთი საგადასახადო ზომის გაგრძელებასა ან სწრაფ განახლებაზე,

iii. ნებისმიერი ასეთი საგადასახადო ზომის შესწორებაზე იმის გათვალისწინებით, რომ ეს ცვლილება არ შეამცირებს საგადასახადო ზომის ამ შეთანხმებასთან შესაბამისობას, როგორც იგი არსებობდა ამ შესწორებამდე;

c) ხელს არ უშლის მხარეს, გამოიყენოს ან აღასრულოს ნებისმიერი საგადასახადო ზომა, რომელიც მიზნად ისახავს სამართლიან ან ეფექტურ დაბეგვრას ან გადასახადების ამოღებას;

d) ხელს არ უშლის მხარეს, გამოიყენოს ან შეასრულოს დებულება, რომელიც განსაზღვრავს მიღებას ან გახანგრძლივებულ მიღებას შეღავათისა, რომელიც დაკავშირებულია საპენსიო ტრასტში, საპენსიო ფონდში ან სხვა ორგანიზაციაში გაკეთებულ შენატანებთან ან მათ შემოსავალთან პენსიის დანიშვნის, პენსიით ან მსგავსი შეღავათებით უზრუნველყოფის მიზნით იმის მოთხოვნით, რომ მხარე ასეთ ტრასტზე, ფონდზე ან სხვა ორგანიზაციაზე შეინარჩუნებს უწყვეტ იურისდიქციას, რეგულირების ბერკეტს და ზედამხედველობას.

